პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლელო

№290 (12 360) 12 დეკემბერი ოთხშაბათი 2007
გამოდის 1934 წლიდან
ფასი 50 თეთრი



## გოლის გემო მომენატრა

იაშვილი ზამთრის რეზიდენციას იცვლის 2



## ყენია სკოლაში, დებიუტი კი ერთ კვირაში 3

## კაპელო 24 საათში

მსოფლიო ფეხბურთი 6-10

# ტიმ ლეინი

## ნაკრების მწვრთნელობის ავსტრალიელი კანდიდატი



საქართველოს რაგბის კავშირი ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთელის ძიებაშია. თითქმის გადაწყვეტილია, რომ ბორჯღალოსნების ფიზმომზადების მწვრთნელად ფრანგი ნიკოლა ფულკიე დარჩება, მთავარ მწვრთნელად კი რამდენიმე კანდიდატურა განიხილება. ყველაზე რეალური კანდიდატია ავსტრალიელი ტიმ ლეინი, რომელიც 15 დეკემბერს თილისში ჩამოვა, რაგბის კავშირის ხელმძღვანელებთან მოლაპარაკების გასამართად.

ავსტრალიელამდე რამდენიმე ფრანგი (ანრი ბრონკანი, ტონი მარში, ჟერალ მერსერონი, ემილ ნტამაკი) და ერთ ზელანდიელი (ვერნ კოტერი) მწვრთნელის კანდიდატურები განიხილებოდა, მაგრამ არჩევანი ლეინზე შეჩერდა. სხვათა შორის, ნტამაკი საფრანგეთის ნაკრების მეორე მწვრთნელად დაინიშნა.

ტიმ ლეინს საინტერესო სამწვრთნელო ბიოგრაფია აქვს. ის ავსტრალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, როდ მაკქვინის ასისტენტი იყო 1999 წლის მსოფლიო თასზე, სადაც ვოლაბები ჩემპიონები გახდნენ. ლეინი უკანა ხაზს წვრთნიდა. 2002 წელს ლეინი სამხრეთი აფრიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელობის ერთ-ერთი კანდიდატი იყო, მაგრამ საბოლოოდ მხოლოდ რუდი სტრაულის ასისტენტად დაინიშნა. აქ მან ერთი წელი დაჰყო და ზედ მსოფლოს თასის წინ, სტრაულისთან უთანხმოების გამო, გუნდის დატოვება მოუხდა. ამ პერიოდში ლეინი ზე-12-ის კლუბის, იოჰანესბურგის „ქეთსის“ მთავარი მწვრთნელიც იყო. უმუშავია იტალიის ნაკრების სამწვრთნელო შტაბშიც.

ტიმ ლეინის სამწვრთნელო ნუსხაში ფრანგული კლუბებიც არის: 2001 წელს „მონფერანი“ საფრანგეთის ჩემპიონატის ფინალში გაიყვანა, წვრთნიდა გია ლაბაძის „ტულონს“ და ბოლოს - პირველი დივიზიონის კლუბ „ბრივს“. ამჟამად უმუშევარია.

რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტმა გია ნიჟარაძემ გვითხრა: - *გახდება თუ არა ტიმ ლეინი საქართველოს ნაკრების მწვრთნელი, მოლაპარაკებაზეა დამოკიდებული. ამასთან, რაგბის კავშირს, სხვა კანდიდატებიც ჰყავს.*

ნიჟარაძეს არ დაუკონკრეტებია, ვინ არიან სხვა კანდიდატები.

ბესიკ ჯანგავაძე




მარსელი-ლივერპული 0:4. ტორესის გოლის შემდეგ

## ორი ქართველი მერვედფინალში

### კალაძეს კობიაშვილიც მიჰყვა

| | |
|---|---|
| ოლიმპიაკოსი | მილანი |
| სელტიკი | ბარსელონა |
| პორტუ | მანჩესტერი |
| ლივერპული | რომა |
| ჩელსი | ინტერი |
| არსენალი | სევილია |
| რეალი | შალკე |

**დღეს:** რეინჯერსი ან ლიონი, ფენერბაჩე ან ეინდჰოვენი

*წინასამატჩო* 6

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge

ეროვნული ნაკრები

# ადიდასი, იაკო, ზალერი... თუ ისევ დიადორა?

გასულ შესარჩევ ციკლში საქართველოს ეროვნულმა და სხვა ასაკობრივმა ნაკრებებმა სპორტული ეკიპირების მწარმოებელ იტალიურ კომპანია "დიადორას" ამინუციით იასპარეზა. ამ ფირმასთან ორი წლის წინათ გაფორმებული კონტრაქტის ვადა წლის ბოლოს იწურება. შესაბამისად საინტერესოა თუ ვინ იქნება ჩვენი ნაკრების ტექნიკური სპონსორი მომავალ შესარჩევ ციკლში ანუ ვისი ეკიპირებით იასპარეზებს გუნდი?

ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა იანვარში "დიადორას" თავკაცობას შეხვდება. როგორც გავიგეთ იტალიურ კომპანიას ქართულ მხარესთან თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი აქვს. ახლა ისაა საკითხავი პარტნიორობის გარძელების შემთხვევაში რა პირობებს შემოგვთავაზებს "დიადორა". ამასთან, ფედერაციას ანალოგიური პრიფილით მომუშავე სხვა ფირმებიდანაც აქვს წინადადებები. მსურველთა შორის გერმანული კომპანიები "იაკო", "ზალერი" და ცნობილი ბრენდი "ადიდასიცაა".

*"დიადორასთან" კონტრაქტის ვადა იწურება და ჩვენი ნაკრები გუნდებსთვის ამხანაგური მატჩების ორგანიზების გარდა, ამ მიმართულებითაც ვმუშაობთ.*

*იანვარში "დიადორას" ხელმძღვანელებთან გვექნება შეხვედრა. ვნახოთ თუ რა პირობებს შემოგვთავაზებენ... "იაკოსა" და "ზალერსაც" აქვთ სურვილი ჩვენთან პარტნიორობისა. საუბარია "ადიდასზეც". ამ საკითხზე მუშაობას ვაგრძელებთ და იანვარში უკვე კონკრეტული შეხვედრებიც გვექნება"*, - აღნიშნა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამ.**

**დავით ცაბაძე**

21-წლამდელთა ნაკრები. ამხანაგური მატჩი

# გუნდი სრულად შეიკრიბა

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები ლუქსემბურგში ადგილობრივ 21-წლამდელებთან გასვლითი ამხანაგური მატჩის ჩასატარებლად გუშინ ეწვია დანიშნულების ადგილს. **პეტარ სეგრტის** გუნდი სრულად შეიკრიბა და საღამოს, თბილისის დროით 19 საათზე "გრენგენვალდზე" ივარჯიშა.

**თევდორაძე, ლორია, ლობჟანიძე, ნავალოვსკი, თომაშვილი, სანაია, გვაძაბია, ჩიხრაძე, ბჟალავა, ხიდეშელი, გრიგალაშვილი, კლიმიაშვილი, ბენაშვილი, დაუშვილი, აფრიამაშვილი, შეყილაძე, ბ. გოცირიძე, კობახიძე, ბეგლარიშვილი** –19 ფეხბურთელი მონაწილეობდა გუშინდელ ვარჯიშში.



წინა დღეებისაგან განსხვავებით ნაკრები გუშინ უკვე სეგრტმა ავარჯიშა, რომელიც გუნდს ლუქსემბურგში დახვდა. ცხრამეტივე ფეხბურთელი ჯამრთელადაა და წარმატების იქდეც აქვთ. დღევანდელი მატჩი თბილისის დროით 19 საათზე დაიწყება.

ლუქსემბურგის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალურმა ვებგვერდმა ჩვენი დღევანდელი მეტოქე გუნდის შემადგენლობა გამოაქვეყნა:

**იანიკ აფუნი მირკო ალბანესი (ორივე იენესი), იან არნოლდი (ბისენი), შტეფანო ბენსი (რუმელანჟი), კრისტიან ბრაუნი (გრევენმახერი), ანტე ბუკვიჩი (დიფერდანჟი), ჟერარდ ჟისბუში (უკლუბოდ), მათიას იანიში (უკლუბოდ), კიმ კინზიგერი (დიფერდანჟი), ჟოელ კიტენგი (ემენდინგენი), ტიმ ლენენი (იუნესი), კევინ ლეიტი (ბისენი), ანდრე ორიგერი (ვურმელდანჟი), ჟაკ პლეინი (ეტელბრუკი), ანდრე როდრიგესი (დიფერდანჟი), კრის საგრამოლა (იუნესი), კრისტოფ შოლერი (დიფერდანჟი), ენდი შაუმანი (შტეინფორტი).**

ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში რუსეთის ნაკრების შინ ძლევის (2:0) შემდეგ ჯგუფურ მატჩებში საკმაოდ გრძელი პაუზაა. ჩვენ გუნდს მომდევნო მატჩი სექტემბერში უწევს. ჯგუფურ ეტაპზე კი ორი მატჩილა დაგვრჩა ჩასატარებელი, რუსეთთან სტუმრად და შინ პოლონეთთან.

**დავით ცაბაძე**

# კალენდარზე სოფიაში იმსჯელებენ

25 ნოემბერს დურბანში ჩატარებულმა წილისყრამ 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჩვენი ჯგუფის მეტოქეები გაარკვია. თუმცა, კალენდარი ჯერ კიდევ არაა შეთანხმებულ-დადგენილი. ამის თაობაზე მეტოქე გუნდების ხელმძღვანელობა შეიკრიბება და იმსჯელებს. ბოლოს მოწოდებული ინფორმაციით ამ შინაარსის შეხვედრა სოფიაში 10-15 იანვრის პერიოდში უნდა შედგეს. ეს ორი კვირას წინათ გაცხადდა. ამის მერე მხარეებს კიდევ ჰქონდათ ერთმანეთთან კონტაქტი და შეხვედრის ზუსტი თარიღიც დადგინდა. ჩვენი ჯგუფის წარმომადგენლები სოფიაში 15 იანვარს შეიკრიბებიან.

"სოფიაში 15 იანვარს შევიკრიბებით. იმედი მაქვს ეს შეხვედრა და თათბირი შედეგიანად ჩაივლის და კალენდარსაც შევათანხმებთ", - გვითხრა უჩა უგულავამ.

**დავით ცაბაძე**

# გოლის გემო მოემენატრა

## იაშვილი ზამთრის რეზიდენციას იცვლის

„კიკერმა" **ალექსანდრე იაშვილი** ბუნდესლიგის ბოლო ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა. იაშვილის „კარლსრუემ" სტუმრად „ბოხუმთან" 2:2 ითამაშა,ჩვენებურმა საგოლე პასი შეასრულა და „კიკერისგან" საკმაოდ მაღალე შეფასება - 2 ბალი დაიმსახურა.

იაშვილი „კარლსრუეში" პირველ სეზონს ატარებს და **ედმუნდ ბეკერის** გუნდს მალევე ვერ შეეწყო, მწვრთნელიც დიდად არ ენდობოდა ქართველს, თუმც ჩვენებურის „ფრაიბურგიდან" გადაბირება მისი იდეაც იყო. შეიძლება ითქვას, იაშვილს დრო დასჭირდა ახალ გუნდში ადაპტირებისთვის, „ბოხუმთან" კი მან მართლაც ძლიერად ითამაშა.

*„კარგად გავისარჯე „შალკესთან" და „დორტმუნდთან", „ბოხუმთან" კი სეზონში ჯერჯერობით საუკეთესო მატჩი ვითამაშე, რაც პრესაშიც აღნიშნეს. „ბოხუმთან" მარცხენა შემტევად ვითამაშე, ბეკერი მეტწილად ამ პოზიციაზე მამწესებს"* - გვითხრა იაშვილმა, როცა მას გერმანიაში შევეხმიანეთ .

„იაში" - ასე ეძახდნენ მას „ფრაიბურგის" ფანები. კარლსრუეც ბადენვიურტემბერგშია და იქაც ასე მოიხსენიებენ მას . *„ჩემი მიზანიც ის არის,რომ ახალ გუნდში სისტემატურად ვითამაშო იმ დონეზე, როგორც „ბოხუმთან" ვითამაშე. ერთ მატჩს კარგად თითქმის ყველა ფეხბურთელი თამაშობს, მთავარია, ასეთი თამაში სტაბილურად აჩვენო"*- ამბობს იაშვილი, რომელიც **კლაუს ტოპმიოლერმა** ეროვნულ გუნდს ჩამოაშორა - გასული შესარჩევის ბოლო სამი მატჩისთვის არ გამოიძახა.

იაშვილმა გვითხრა, რომ ნაკრების სამწვრთნელო შტაბიდან მას არავინ შეხმიანება და ამ მომენტში ის ყველაზე უფრო ბუნდესლიგის პირველი წრის ბოლო მატჩზე ფიქრობს - 15 დეკემბერს „კარლსრუე" „ჰამბურგს" მასპინძლობს.

*„ბოხუმთან'' თამაში ჩემთვის ფსიქოლოგიურადაც ძალიან მნიშვნელოვანი იყო. პირველი წრე მთავრდება და გოლი ჯერ არ გამიტანია. ძალიან მინდა,რომ „ჰამბურგთან" გავტეხო ნავსი, რისთვისაც „ბოხუმთან" მატჩმა ფსიქოლოგიურად კარგად შემამზადა".*

პირველი წრის დასრულების შემდეგ იაშვილი შვებულებას თბილისში გაატარებს, სამეორეწრეო შეკრება კი „კარლსრუეს" 10 იანვარს დაეწყება თურქეთში.

„ბოლო ათი წელი,"ფრაიბურგში" თამაშისას ზამთრის შეკრებაზე სულ პორტუგალიაში დავდიოდით და რა გასაკვირია, რომ სხვა ქვეყანაში წასვლა ძალიან მინდოდა. სხვათაშორის, წლეულს თურქეთში ბევრი გერმანული გუნდი მიდის, მათ შორის „შალკეც" და „ფრაიბურგიც" - გვამცნო იაშვილმა და ვინ იცის, იქნებ „ზამთრის რეზიდენციის" გამოცვლა მას სასიკეთოდ წაადგეს.

**დავით თავართქილაძე**

# ჩვენ ირლანდიისკენ, ირლანდია სერბეთისკენ

საქართველოს კი სურს ირლანდიას შეხვდეს ამხანაგურ მატჩში, მაგრამ ირლანდიას ჯგუფში ჩერნოგორიის მეტოქეობა აღელვებს და სურს ამ მეტოქის შესწავლის მიზნით ანალოგიურ სტილში მოასპარეზე გუნდთან მოსინჯოს ძალები. სწორედ ამ თემას ეხება ირლანდიის საფეხბურთო ასოციაციის ოფიციალურ ვებგვერდზე გუშინ მოძიებული ინფორმაცია.

"მსოფლიო ჩემპიონატის წილისყრამ მე-6 კალათიდან ყველაზე კარგი გუნდი, ჩერნოგორია გვარგუნა მეტოქედ. მართალია ჩერნოგორია შესარჩევ ციკლში დებიუტანტია, მაგრამ ბევრ მეტოქეს სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის. გვინდა ეს მეტოქე სათანადოდ შევისწავლოთ და მის მსგავს გუნდთან ჩავატაროთ ამხანაგური მატჩი. ამ ცოტა ხნის წინათ, სანამ ფიფა და უეფა ჩერნოგორიას დამოუკიდებელ წევრად ცნობდა, ჩერნოგორიელები სერბეთის ნაკრებში ასპარეზობდნენ. ამ გუნდმა გერმანიაში ჩატარებულ მსოფლიო ჩემპიონატზე კარგი თამაში აჩვენა. გვინდა სერბეთთან ჩავატაროთ ამხანაგური მატჩი და მათთან მოლაპარაკებას ვაწარმოებთ, რომელიც იმედია შედეგიანად დასრულდება".

**დავით ცაბაძე**



ალექსანდრე იაშვილი ფარერებთან მატჩში

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ დავით დევდარიანთან

# ორი წელი დავკარგე

## ჰაერში ჩაშლილი ტრანსფერი და ცაკარიასის აღმოჩენა

სიტყვა ტალანტი საქართველოში გააუფასურეს. ლამის ყოველ მეორე ბავშვს ასე ნათლავენ, გავა ერთი-ორი წელი, დაეტაკებიან ეს „სუპერტალანტები" კუნთმაგარ ჯეელებს და მითი მათი ნიჭიერების შესახებ იმსხვრევა.

ამის გამო, ბოლო დროს ცოტა არ იყოს და მორიდებით, მოკრძალებით ვახსენებთ სიტყვა ტალანტს. თუმცა ყოველგვარი მორიდების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ რუსთავის „ოლიმპს" ძალიან გაუმართლა, როდესაც გუნდის ოფისში 19 წლის ბიჭმა შეაბიჯა და თავი შეახსენა. ეს ბიჭი ნახევარმცველი დავით დევდარიანია.

დათო ჩემპიონატის პირველ წრეში „ლელომ" რამდენჯერმე ტურის სიმბოლურ ნაკრებში დაასახელა. გორში „ფოლკსვაგენის თასის" გათამაშებაში რუსთავის „ოლიმპმა" 1:4 წააგო „ამერთან", მაგრამ დევდარიანი ორივე გუნდში ერთ-ერთი გამორჩეული გახლდათ.

საიდან ალმოჩნდა ჩემპიონის შემადგენლობაში გულშემატკივრებისთვის უცნობი ახალგზარდა, რა იმედი აქვს პეტერბურგში გამგზავრებამდე და რა აკაშვირებს ლუის ცაკარიასთან, ამას ჩვენი საუბრიდან შეიტყობთ.

**- დათო, ჯერ სუპერთასზე ვილაპარაკოთ. შენი აზრით, ასეთი დიდი ანგარიშით რატომ წააგეთ?**

- ერთი დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, მსაჯს თამაში რომ არ გაეფუჭებინა, მაყურებელი ლამაზ შეხვედრას იხილავდა. მნიშვნელოვანი თამაში იყო და რა თქმა უნდა, ორივეს მოგება გვსურდა.

**- მსაჯმა რატომ გააფუჭა თამაში?**

- ორბელაძის გაგდებას ვგულისხმობ.

**- მან ხომ მსაჯს შეაგინა?**

- ნალდად არ შეუგინებია, მხოლოდ შეეპასუხა, არა მგონია, სუპერთასზე ასეთი სიმკაცრე საჭირო ყოფილიყო. უფრო დაძაბული და ლამაზი თამაში გამოვიდოდა.

**- როგორ ალმოჩნდი რუსთავის „ოლიმპში"? სეზონის დაწყებამდე განაცხადშიც არ იყავი.**

- „თბილისში" 2005 წელს ვთამაშობდი. უმაღლეს ლიგაში 16 წლისას მქონდა დებიუტი. მაშინ გუნდს ლუის ცაკარიასი წვრთნიდა, მეორე გუნდიდან გადამიყვანა და ხშირად მათამაშებდა.


დავით დევდარიანი

ამის შემდეგ საფრანგეთში წავედით მე და ბაჩანა ცხადაძე. გაგვსინჯეს, პასუხს დიდხანს ველოდი, მაგრამ სამუშაო ვიზა პრობლემად მექცა და ვერ წავედი. ამას ვინ ჩივის, მალე ტრავმა მივიღე, კუნთი გამიწყდა და მთელი ორი წელი გამიცდა. წლეულს კი რუსთავში ამიყვანს.

**- სად გნახა ანატოლი პისკოვეცმა?**

- თავიდანვე „ოლიმპის" აკადემიაში ვიზრდებოდი. წლეულს ვარჯიშის დაწყება რომ გადავწყვიტე, ისევ „ოლიმპს" მივაკითხე, დუბლებში ამიყვანეს და პისკოვეცმა რამდენიმე თამაშის შემდეგ ძირითადში გადამიყვანა.

**- კონტრაქტი როდემდე გააფორმე?**

- სეზონის ბოლომდე, მაგრამ უკვე გახანგრძლივებაზე დამელაპარაკნენ და ალბათ, მეც დავთანხმდები. წინააღმდეგი ნალდად არ ვარ.

**- „ოლიმპში" დარჩენა გიღირს ახალგაზრდა ფეხურთელს? არის გასაზრდელად საჭირო პირობები?**

- ნელ-ნელა წინ მივდივართ. ბაზა გააკეთეს, საცხოვრებელი კორპუსი შეარემონტეს და საქართველოსთვის საკმაოდ ნორმალური პირობებია. ტრენაჟორები შეიძინეს და ასეთ პირობებში ფეხბურთელი გაიზრდება, რატომაც არა.

**- მალე „ოლიმპი" თანამეგობრობის თასზე ითამაშებს. ჩვენი ფეხბურთის დონე ბოლო 15 წელიწადია ძალიან დაეცა და რისი იმედით მიემგზავრები?**

- დონე დაეცა თუ არა, მაქსიმალური შედეგის მისაღწევად მივდივართ. იმედია, ქართული ფეხბურთის რეიტინგს ოდნავ მაინც ავწევთ. მინიმალური შედეგი არავის დაგვაკმაყოფილებს.

**- რუსთავის „ოლიმპს" ძალიან ძლიერი მოთამაშეები ჰყავს, მაგრამ გუნდი შარშანდელის აჩრდილია, თამაშს ველარ აჩვენებს. შენი აზრით, რა სჭირს?**

- თავიდან მართლა იყო პრობლემები, სეზონი მძიმედ დავიწყეთ. თუმცა ტურიდან ტურამდე უკეთესად ათამაშდით, გუნდი შეიკრა და შემიძლია ვთქვა, რომ ბოლო ტურებში საკმაოდ ნორმალურადაც გამოვიყურებოდით. თავიდან ცუდად სუპერთასზეც არ გამოვიყურებოდით, მაგრამ მაინც ვერ ვაჩვენეთ ჩვენი შესაძლებლობები.

**- სუპერთასზე ნახევარდაცვის ცენტრშიც თამაშობდი და ფლანგზე. თავად სად გირჩევნია გამოსვლა?**

- გამთამაშებლობა მირჩევნია, ბავშვობიდან ამ პოზიციაზე ვთამაშობ.

**- რომელიმე ნაკრებში თუ გითამაშია?**

- ადრე 17 და 18-წლამდელებში მიწვევდნენ, მერე ტრავმის გამო 2 წელი გამიცდა და ბუნებრივია, მიწვევაზე ლაპარაკი არც იქნებოდა. ასაკით ახალგაზრდულში თამაში კიდევ შემიძლია და იმედია, გუნდშიც მოვხვდები.

**მერაბ მამულაშვილი**


ლევან ყენია

# ლევან ყენია გელზენკირხენის სკოლაში შევიდა

## დებიუტი კი ერთი კვირით გადაიდო

17 წლის **ლევან ყენია** ქართული ფეხბურთისთვის მხოლოდ იმედი კი არ არის, უკვე ეროვნული ნაკრების ერთ-ერთი საკვანძო ფეხბურთელია - ასეთად წარმოჩინდა ის ევრო 2008-ის შესარჩევის ბოლო შეხვედრებში უკრაინასთან, შოტლანდიასთან და ლიტვასთან.

ჯერ კიდევ წინა სეზონში, სანამ **კლაუს ტოპმიოლერი** ყენიას ეროვნულ გუნდში მიიწვევდა, მანამდე იყო გადაწყვეტილი, რომ ლევანი გელზენკირხენის „შალკეს" ჭაბუკთა გუნდში ჩაირიცხებოდა. სავიზო პრობლემის და სხვა ფორმალობების გაჭიანურების გამო ყენია „შალკეში" დაახლოებით თვენახევრის წინათ მივიდა, თუმცა 19-წლამდელთა ბუნდესლიგაში ჯერაც არ უთამაშია.

ყენიას დებიუტი აიუგენდლიგაში 9 დეკემბერს უნდა შემდგარიყო, მაგრამ ისევ საჭირო დოკუმენტაციის სრულყოფაში ვერმოყვანის გამო მისი გერმანული დებიუტი გადაიდო.

ლევანს გუშინ შევეხმიანეთ გერმანიაში და პირველ რიგში სწორედ ამაზე ჩამოვუგდეთ სიტყვა.

- 9 დეკემბერს იმიტომ ვერ ვითამაშე, რომ ამის უფლება არ მქონდა. აიუგენდლიგის მომდევნო ტური 16 დეკემბერსაა და თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ვითამაშებ. საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან უკვე ჩამოვიდა საჭირო დოკუმენტაცია და „შალკეს" ცხრამეტწლამდელთა გუნდში თამაშის საშუალებაც მომეცა.

**- „შალკეს" პირველი გუნდის ქართველი გელზენკირხენში არ ცხოვრობს. ლევან კობიაშვილის დარად შენც დიუსელდორფი აირჩიე საცხოვრებლად?**

- არა, მე გელზენკირხენში ვცხოვრობ, კლუბმა აქ გამომიყო ბინა.

**- ახალ გუნდს, ახალ ატმოსფეროს როგორ შეეგუე?**

- ყველაფერი კარგად მიდის, ვარჯიშებიც კარგია, ყველასთან ნორმალური ურთიერთობა ჩამომიყალიბდა.

**- ენობრივი ბარიერი არ გაქვს?**

- ცოტა გერმანული ვიცი და მალე კარგად ავითვისებ ამ ენას.

**- მასწავლებელთან უკვე ემზადები?**

- არა, სპეციალურ სკოლაში დავდივარ, სადაც რუსულიდან გერმანულზე კი არა, გერმანულიდან გერმანულზე ასწავლიან - მე ხომ ცოტა გერმანული უკვე ვიცი.

**- გერმანიის 19-წლამდელთა ბუნდესლიგაში თამაში სხვა ქვეყნის ევროკავშირელი ჭაბუკებისთვისაც პრობლემატურია, ამას მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში უშვებენ. „შალკეს" ჭაბუკთა გუნდში ალბათ ერთადერთი ლეგიონერი ხარ...**

- არა, აქ კიდევ ერთი უცხოელია - პერუელი, მე და ის ერთ ბინაში ვცხოვრობთ. გერმანული მანაც იცის და ერთმანეთთან საუბარი არ გვიჭირს. მარტო ცხოვრება ჩემთვის ძალიან რთული იქნებოდა.

**- „შალკეში" ჯერ უკონტრაქტოდ ხარ. როდის გააფორმებ ხელშეკრულებას?**

- პროფესიული კონტრაქტის გაფორმებისთვის 18 წლის უნდა იყო. თვრამეტი წელი გაისად, ოქტომბერში მისრულდება, მაგრამ კონტრაქტის გაფორმება სეზონის დასრულების შემდეგ, ზაფხულში შემეძლება და დამდეგი სეზონისთვის „შალკეს" პირველი გუნდის ფეხბურთელი უნდა გავხდე.

**- აიუგენდლიგაში როგორ მიდის „შალკეს" საქმეები?**

- 19-წლამდელთა ბუნდესლიგა სამ ჯგუფად არის დაყოფილი, თითო ჯგუფიდან პირველი ორი გუნდი გადის მომდევნო ეტაპზე. ჩვენი ჯგუფი ათგუნდიანია და ამ დროისთვის მე-4 ადგილზე ვართ. ჯგუფში მატჩები ორ წრედ იმართება.

**დავით თავართქილაძე**

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK
გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:
CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;
დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ირ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge, www.cdn.ge
24 საათის განმავლობაში
უწყვეტი მომსახურება
ტექნიკური მხარდაჭერა
გარანტირებული ხარისხი
გადახდა სახლიდან გაუსვლელად
სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!



www.kazbegi.com
გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.pfl.ge
ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოს XIX ჩემპიონატი

www.pfl.ge

## უმაღლესი ლიგა. ნოემბერ-დეკემბრის ნომინანტები

### მწვრთნელი — დუშან უჰრინი (დინამო)



დუშან უჰრინი

...ბუნდესლიგის ისტორიაში თითქმის არ ყოფილა შემთხვევა, როცა „შემოდგომის ჩემპიონს“ საბოლოო წარმატება სხვა გუნდისთვის გადაელოცა. რა თქმა უნდა, მეორე წრესაც სტაბილური და დამაჯერებელი ასპარეზობა სჭირდება, მაგრამ სეზონის პირველ ნახევარში მოპოვებულ ქულებს გაზაფხულზე, მართლაც, ოქროს ფასი აქვს. ინფრასტრუქტურით, სტადიონებით, მოედნებითა და, რაც მთავარია, ფეხბურთის დონით გერმანიამდე ბევრი გვიკლია; თუმცა, ადრეც არაერთხელ აღვნიშნეთ, რომ რასაც ჩვენს ჩემპიონატს ვერ დავუკარგავთ, ეს - ინტრიგაა! ახლაც, ჯერ ნოემბერში ველოდით „დინამო“-“ზესტაფონის“ დაპირისპირებას; მერე ცნობილი მოვლენების გამო ეს მატჩი გადაიდო და საბოლოოდ ისე მოხდა, რომ სწორედ ამ გუნდების შეხვედრამ გამოავლინა „შემოდგომის ჩემპიონის“ ვინაობა. ვინც ამ შეხვედრას უცქირა, ყველა დაგვეთახმება, რომ „დინამომ“ უშუალო კონკურენტს ყველა კომპონენტში აჯობა და დამსახურებულადაც გაიმარჯვა. ჰოდა, რახან დამსახურებაზე მიდგა საქმე, მთავარი მწვრთნელიც უნდა ვახსენოთ - **დუშან უჰრინი** ნოემბერ-დეკემბრის საუკეთესო მწვრთნელად ვცანით! საერთოდაც, ალბათ, ლოგიკურიც იყო, რომ ამ სეზონში თვის მწვრთნელებად „დინამოს“, „ზესტაფონისა“ და „ვიტ-ჯორჯიას“ თავკაცებს ვასახელებდით: სწორედ ეს სამი გუნდი უდგას სათავეში გათამაშების ცხრილს. იმასაც შეგახსენებთ, რომ აგვისტოში საუკეთესო **ნესტორ მუმლაძე** („ვიტ-ჯორჯია“) იყო, სექტემბერში - დუშან უჰრინი და **თემურ მახარაძე** („ზესტაფონი“), ოქტომბერში - თემურ მახარაძე და ნესტორ მუმლაძე. და აი, ნოემბერ-დეკემბერში, სავსებით დამსახურებულად, ეს პატივი „დინამოს“ ჩეხ მწვრთნელს დუშან უჰრინს ერგო. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, უჰრინის სწორედ არჩეული ტაქტიკის წყალობით „დინამომ“ მთავარ კონკურენტს და ბოლო წლების მეტისმეტად უხერხულ მეტოქეს აჯობა. თანაც, ცხრილში პირველობაც დაიბრუნა და, მართალია, არაოფიციალურად, მაგრამ მაინც ფასეული „შემოდგომის ჩემპიონიც“ გახდა.

### ნოემბერ-დეკემბრის სიმბოლური ნაკრები




### ფეხბურთელ(ებ)ი — მიხეილ ხუციშვილი, გიორგი მერებაშვილი (ორივე - დინამო)



მიხეილ ხუციშვილი



გიორგი მერებაშვილი

წინა სეზონში ერთი თუ ორი შემთხვევა იყო, როცა „თვის ფეხბურთელად“ ერთდროულად ორ მოთამაშეს ვასახელებდით. დანარჩენ შემთხვევებში ყოველთვის ერთი ნომინანტი გვყავდა; ფეხბურთელი, რომელიც კოლეგებშიც გამორჩეული იყო და მარტოს რომ შეეძლო თამაშის ბედის გადაწყვეტა. XIX ჩემპიონატში კი საქმე სულ სხვაგვარად წარიმართა - ყოველ თვეში ორ-ორი ნომინანტი გვყავდა! შეგახსენებთ, რომ აგვისტოში საუკეთესოები **ალექსანდრე კაიდარაშვილი** („მესხეთი“) და **ლევან ყენია** („ლოკომოტივი“) ვცანით, სექტემბერში - **შოთა გრიგალაშვილი** („ბორჯომი“) და **მიხეილ ხუციშვილი** („დინამო“), ოქტომბერში - **კახა ჩხეტიანი** („ზესტაფონი“) და **რევაზ ჯიქია** („ოლიმპი“). ანალოგიური სიტუაცია შეიქმნა ახლაც, როცა ნოემბერ-დეკემბერში საუკეთესოებად „დინამოს“ ორი ლიდერი - მიხეილ ხუციშვილი და **გიორგი მერებაშვილი** ვცანით. ხუციშვილისთვის ეს სეზონი, მართლაც, გამორჩეულია და ნამდვილად არ არის შემთხვევითი, რომ პირველ წრეში უკვე მეორედ დავასახელეთ „თვის ფეხბურთელად“. თანაც, დუშან უჰრინმაც ოპტიმალური პოზიცია შეურჩია - ხუციშვილი ყველაზე კარგად თავს უკანდახეული ფორვარდის პოზიციაზე გრძნობს (ანუ, ერთდროულად გამთამაშებელიც არის და ეგრეთ წოდებული მეორე თავდამსხმელიც). ამ ფეხბურთელს რომ მოედნის კარგი ხედვა და პასის კულტურა ჰქონდა, ადრეც ვიცოდით; ამ სეზონში კი გოლიადორული თვისებებიც გამოავლინა და პირველი წრის საუკეთესო ბომბარდირთა სიასაც ლიდერობს.

არანაკლებ შთამბეჭდავი ეთქმის „დინამოს“ კიდევ ერთი ლიდერის - გიორგი მერებაშვილის ასპარეზობასაც. უნდა ვაღიაროთ, რომ, ჩვენი აზით, სწორედ მერებაშვილს უნდა ჰქონოდა პრეტენზია ყოველი თვის კი არა, საერთოდ, ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელობაზე. სამწუხაროდ, ამ ჩემპიონატის სტარტი მერებაშვილს ისეთი არ გამოუვიდა, როგორსაც მისგან ელოდნენ. არადა, ამ უნივერსალ ფეხბურთელს დიდი შესაძლებლობები რომ აქვს, არაერთხელ დაუმტკიცებია. და აი, ნოემბერ-დეკემბერში მერებაშვილი ჩვეულად ათამაშდა და ჩემპიონატსა თუ თასის მატჩებში მოედანს უგოლოდ არ ტოვებდა. ყველაზე უცნაური კი ის იყო, რომ სწორედ ამ პერიოდში ...საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში აღარ იწვევდნენ. იმ გუნდში, რომლის ერთ-ერთი ლიდერი და კაპიტანი იყო...

### მოვლენა

ამ პერიოდში მოხდა ერთობ მნიშვნელოვანი მოვლენაც: 6 დეკემბერს დასრულდა „ზესტაფონის“, მართლაც, სარეკორდო წაუგებელი სერია! ჰო, თუ არ ვცდებით, შარშან 4 სექტემბერს რომ წააგო ამ გუნდმა („ვიტ-ჯორჯიასთან“), მას მერე ჩემპიონატში თემურ მახარაძის ხელმძღვანელობით 35 (!) მატჩი დაუმარცხებლად მიდიოდა. მაგრამ, ყველაფერს აქვს დასასრული და პირველი წრის ბოლო ტურის შეხვედრაში „დინამომ“ შეძლო „ზესტაფონის“ სარეკორდო სერიის შეჩერება...

კიდევ ერთი ფაქტიც მივიჩნიოთ „თვის მოვლენად“: 1 დეკემბერს „ბათუმმა“ ჩემპიონატში პირველი გამარჯვება მოიპოვა! რა დრო დადგა? ეს გუნდი საქართველოს ჩემპიონი არ ყოფილა, თორემ თასიც აულია (ოთხჯერ ფინალისტობას დასჯერდა), სუპერთასიც, ვერცხლის პრიზიორიც იყო და ბრინჯაოსიც. ახლა კი, სატურნირო ცხრილის ბოლო ადგილზეა და ნამდვილად არ გვინდა „ტორპედოს, „გურიას“, „კოლხეთისა“ და „სამტრედიის“ ბედი გაიზიაროს.

### სკანდალი

პირველი წრის ბოლო ტურში „ამერისა“ და „ვიტ-ჯორჯიას“ მატჩი ჩაიშალა! მეცხრამეტე ჩემპიონატს ვატარებთ და ვერ გაგვიხსენებია, ბოლოს როდის იყო მსგავსი რამ. არა, 90-იანი წლების დასაწყისში მსგავსი რამ მომხდარა, მაგრამ იმას ვერ ვიხსენებთ, გუნდს მოედანი ხელმძღვანელობის მითითებით დაეტოვებინოს. ისე, ფეხბურთელებიც აღარ აპირებენ თამაშის გაგრძელებას - მათი აზრით, მსაჯობა ტენდენციური იყო (ისე როგორც წინა შეხვედრაში). ამ ფაქტს, რაღა თქმა უნდა, სერიოზული რეზონანსი მოყვა და „ამერის“ მწვრთნელ-ხელმძღვანელ-ფეხბურთელებსაც სანქციები არ ასცდათ. თუმცა, „გაბრაზებულმა“ „ამერმა“ თავის რეალური შესაძლებლობა სუპერთასზე გამოამჟღავნა; როცა დამაჯერებლად სძლია მოქმედ ჩემპიონ „ოლიმპს“. „ამერზეც“, „ოლიმპზეც“ და ყველა დანარჩენ გუნდებზე უახლოეს ნომრებში ვისაუბრებთ, როცა პირველ წრეს შევაჯამებთ.

...მეორე, ოღონდ, უფრო გაუხმაურებელი სკანდალი კი ჭიათურაში მოხდა, როცა თასის ჯგუფური ეტაპის პრინციპულ შეხვედრაში „მალაროელი“ თბილისის „ვიტ-ჯორჯიას“ მასპინძლობდა. რა თქმა უნდა, არანაირი გამართლება არ ჰქონდა იმ ფაქტს, როცა სტუმართა ახალგაზრდა მეკარემ მსაჯის მიმართ უკმაყოფილება არასპორტულად გამოხატა. თუმცა, მასპინძელთა ქომაგთა ნაწილი და, რაც მთავარია, მთავარი მწვრთნელი იმ ეპიზოდში ნამდვილად შორს იდგნენ იმერული სტუმართმოყვარეობისგან...

გვერდი მოამზადა გია ტუხაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახსენი...
# ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი

www.kazbegi.com www.pfl.ge

## საქართველოს XIX ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა. გუნდები. მესხეთი

# გაშინაურებული ახალწვეული

ერთი შეხედვით, „მესხეთს" მხოლოდ უმაღლეს ლიგაში დასარჩენად უნდა ებრძოლა, მაგრამ დებიუტანტებმა ახალ ტურნირს თავიდანვე იოლად აუღეს ალღო და „ოქროს შუაგულში" დამკვიდრნენ. გუნდმა სეზონის პირველი ნახევარი სტაბილურად, თვალსაჩინო ჩავარდნების გარეშე ჩაამთავრა. ერთადერთი უარყოფითი მოვლენა თასიდან გამოვარდნა იყო. ძნელი წარმოსადგენია, მეორე წრეში ახალციხელთა სატურნირო მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდეს, ასე რომ, სამცხელთა სეზონი უკვე შეიძლება დადებითად შეფასდეს.

### კობა თედიაშვილი
მთავარი მწვრთნელი

„პირველი წრე მეშვიდე პოზიციაზე ჩავამთავრეთ, რაც დებიუტანტი გუნდისთვის მშვენიერი შედეგია. კლუბის ხელმძღვანელობაც, გულშემატკივრებიც და მწვრთნელებიც კმაყოფილები ვართ, მაგრამ სეზონის მეორე ნახევარში მოდუნება არაფერს გვარგებს".

### საუკეთესო მატჩი
„ახალციხეში „სიონთან" ფრეს დავჯერდით, მაგრამ კარგი შთაბეჭდილება დავტოვეთ, მანამდე კი თბილისში „ლოკომოტივს" დამაჯერებლად ვაჯობეთ".

### ყველაზე ცუდი მატჩი
„ყველაზე უხარისხო ფეხბურთი ჩემპიონატში „მგლებთან", თასზე კი „სპარტაკთან" ვითამაშეთ".

### პლუსი
„ძლიერი კოლექტიური თამაში, გუნდური სულისკვეთება და ბრძოლისუნარიანობა - ეს „მესხეთის" ძლიერი მხარეებია"

### მინუსი
„ჩვენი რამდენიმე ფეხბურთელი უკვე ასაკშია, მათ 90 წუთის განმავლობაში მაღალი ტემპის გაძლება უჭირთ და შესაბამისად, ხშირად მეტოქე ფიზიკურად გვჯობნის"

### პროგრამა მინიმუმი პროგრამა მაქსიმუმი
„ჩვენი მთავარი მიზანი უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებაა, ისე კი, შევეცდებით, რაც შეიძლება მაღალი საფეხური დავიკავოთ".

### მზადება მეორე წრისთვის
„დაახლოებით 5-10 იანვარს შევიკრიბებით, ვარჯიშს ახალციხეში დავიწყებთ, შემდეგ კი ალბათ, ბაკურიანში გავივლით შეკრებას".

### საკადრო პოლიტიკა
„გუნდის ძირითადი ბირთვი უცვლელი დარჩება, პირველი წრე წარმატებით ჩავატარეთ და გასაშვებად ვერავის გავიმეტებთ. სავარაუდოდ, კიდევ ორ-სამ ძლიერ ფეხბურთელს დავიმატებთ".

### რჩეული შეგირდები
„ჩემი ფეხბურთელების გამორჩევა არ მიყვარს, საერთო საქმეში ყველამ დიდი წვლილი შეიტანა".

### პირველი წრის რჩეულნი
1. მიხეილ ხუციშვილი (დინამო)
2. რევაზ გეწაძე (ოლიმპი)
3. შოთა გრიგალაშვილი (ბორჯომი)

### ფინანსური მდგომარეობა
„ახალი წლიდან შესაძლოა, საბიუჯეტო გუნდებს დაფინანსება მოგვეხსნას, რაც მძიმე მდგომარეობაში ჩაგვაგდებს. თუმცა გვაქვს იმის შანსიც, რომ ძლიერმა კერძო კომპანიებმა დაგვაფინანსონ. მოკლედ, ახალი წლის შემდეგ ბევრი რამ გაირკვევა".

### მესხეთი და ქომაგი
„ახალციხელები „მესხეთს" მხურვალედ ქომაგობენ, სხვა ქალაქებს თუ შევადარებთ, ჩვენს თამაშებზე საკმაო რაოდენობის გულშემატკივარი დადის".

### მსაჯობა
„ჩვენი ახალგაზრდა მსაჯების მიმართ სასაყვედურო არაფერი მაქვს, ისინი საქმეს პროფესიულად უდგებიან. ზოგჯერ მეც ვყოფილვარ მსაჯობით უკმაყოფილო, მაგრამ ემოციები მომითოკავს. ყველამ ასე უნდა ვქნათ და წარუმატებლობის მიზეზები საკუთარ თავში ვეძებოთ".

### ორი ჩემპიონატის შედარება
„წინა ჩემპიონატი უფრო საინტერესო იყო, შარშან ჩემპიონობისთვის რამდენიმე გუნდი იბრძოდა, წელს კი პირველობის შანსი მხოლოდ „დინამოსა" და „ზესტაფონს" აქვთ. როცა ინტრიგა ნაკლებია, მაშინ დონეც იკლებს".

### სკანდალები
„მწვრთნელები, ფეხბურთელები და კლუბების ხელმძღვანელები წყობილებიდან იოლად გამოდიან, რასაც ბევრი მიზეზი აქვს - თუნდაც ის, რომ ქვეყანაში ცხოვრების არცთუ მაღალი დონეა. თუმცა, ეს გასამართლებელი საბუთი არაა. საჭიროა, საქმეს ყველანი მეტი პროფესიონალიზმით მივუდგეთ და ამდენი ექსცესი აღარ მოხდება".

### პროგნოზები
„ვფიქრობ, საქართველოს ჩემპიონი „დინამო" გახდება, თასს კი „ზესტაფონი" მოიგებს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. დინამო | 13 | 12 | 0 | 1 | 35:4 | 36 |
| 2. ზესტაფონი | 13 | 11 | 1 | 1 | 26:6 | 34 |
| 3. ვიტ ჯორჯია | 13 | 10 | 1 | 2 | 25:8 | 31 |
| 4. ბორჯომი | 13 | 7 | 4 | 2 | 17:9 | 25 |
| 5. ოლიმპი | 13 | 7 | 3 | 3 | 13:8 | 24 |
| 6. ამერი | 13 | 7 | 0 | 6 | 21:16 | 21 |
| **7. მესხეთი** | **13** | **6** | **2** | **5** | **15:17** | **20** |
| 8. მგლები | 13 | 5 | 0 | 8 | 14:19 | 15 |
| 9. სიონი | 13 | 4 | 3 | 6 | 16:17 | 15 |
| 10. სპარტაკი | 13 | 3 | 3 | 7 | 5:14 | 12 |
| 11. მერანი | 13 | 3 | 1 | 9 | 7:23 | 10 |
| 12. ლოკომოტივი | 13 | 3 | 0 | 10 | 8:21 | 9 |
| 13. დილა | 13 | 1 | 3 | 9 | 7:24 | 6 |
| 14. ბათუმი | 13 | 1 | 1 | 11 | 5:28 | 4 |

**მესხეთი**

| | მატჩი | ძირითადში | გოლი | ყვითელი | წითელი |
|---|---|---|---|---|---|
| ზ. ჩხეტიანი | 13 | 13 | 2 | 9 | - |
| გ. თურმანიძე | 13 | 13 | - | - | - |
| გვირჯიშვილი | 13 | 12 | - | 1 | - |
| ინასარიძე | 13 | 9 | 4 | - | - |
| ლეკიშვილი | 12 | 12 | - | 5 | - |
| მ. თაყაძე | 12 | 11 | - | 2 | 1 |
| სომხიშვილი (მეკ.) | 11 | 11 | -16 | 3 | 1 |
| გ. ნადირაშვილი | 10 | 10 | - | 2 | - |
| ჟვანია | 10 | 9 | 2 | 3 | 1 |
| კობესაშვილი | 10 | 5 | - | 1 | - |
| ძამსაშვილი | 9 | 9 | - | 1 | - |
| კაიდარაშვილი | 9 | 9 | 3 | 1 | - |
| მ. ლონლაძე | 9 | 3 | 1 | 2 | - |
| ვ. აკოფიანი | 8 | 8 | - | 1 | - |
| გ. სუდაძე | 7 | - | 1 | 1 | - |
| აფრიამაშვილი | 6 | 3 | 1 | - | - |
| კევლიშვილი | 6 | - | - | - | - |
| ძამუნაშვილი (მეკ.) | 3 | 2 | -1 | 1 | - |
| ჰ. აკოფიანი | 3 | 1 | - | - | - |
| რუსია | 2 | 1 | - | - | - |
| ჭოჩორაშვილი | 1 | 1 | - | - | - |

**I ტური**
10.08 შ მგლები 1:0
გოლი: ზ. ჩხეტიანი

**II ტური**
18.08 შ ზესტაფონი 0:2

**III ტური**
24.08 ს ლოკომოტივი 3:2
გოლები: კაიდარაშვილი (2), ჟვანია

**IV ტური**
2.09 შ დილა 2:0
გოლები: კაიდარაშვილი, ინასარიძე

**V ტური**
14.08 ს ოლიმპი 0:0

**VI ტური**
23.09 შ სიონი 2:2
გოლები: აფრიამაშვილი, მენთესაშვილი (ავტ.)

**VII ტური**
28.09 ს ბორჯომი 0:2

**VIII ტური**
5.10 შ მერანი 2:1
გოლები: ინასარიძე, ჟვანია

**IX ტური**
20.10 ს სპარტაკი 2:0
გოლები: ინასარიძე (2)

**X ტური**
27.10 შ დინამო 0:2

**XII ტური**
24.11 შ ამერი 1:2
გოლი: გ. სუდაძე

**XIII ტური**
1.12 ს ვიტ ჯორჯია 0:3

**XI ტური**
5.12 ს ბათუმი 2:1
გოლები: ზ. ჩხეტიანი, მ. ლონლაძე

**მესხეთი I წრეში**




## გრძელდება ქართველ ფეხბურთელთა მომზადება არგენტინაში

დიდი ტრამპლინი საქართველოს ნაკრები გუნდებისა და ევროპის კლუბებისკენ

ედუარდო დელგადო და მისი მწვრთნელი შტაბი აგრძელებს ქართველ ფეხბურთელთა მომზადებას არგენტინაში. ედუარდო დელგადო იწვევს და მაღალ დონეზე მოამზადებს 17-18 წლის პერსპექტიულ 2 მეკარეს, 5 მცველს და 4 ნახევარმცველსა და 4 თავდამსხმელს არგენტინაში. მომზადების პროცესში ისინი ითამაშებენ ამხანაგურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში. ამას გარდა, არგენტინაში სტაჟირებაზე მყოფ ფეხბურთელთა ნაკრებს, კვირაში ერთხელ ექნებათ ამხანაგური შეხვედრები არგენტინის კლუბებიდან. სტაჟირების ვადა 6 თვიდან ერთ წლამდეა. სტაჟირების სრული კურსის დაძლევის შემდეგ ფეხბურთელები დელგადოს მიერ წარდგენილნი იქნებიან არგენტინის კლუბებში, სადაც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს. სტაჟირების პროცესი ფასიანია. ასევე, ავიაბილეთების, ადგილზე ცხოვრების, კვების, არგენტინის ვიზისა და შიდა ტრანსპორტით გადაადგილების ხარჯები გაღებულ უნდა იქნას მსურველთა ან მათ სპონსორთა მიერ. დელგადოს მიერ მომზადებულ ფეხბურთელებს, რომლებიც ითამაშებენ ოფიციალურ თამაშებს არგენტინულ კლუბებში, შეეძლებათ ითამაშონ და გააფორმონ კონტრაქტი ევროპის კლუბებთანაც, მაღალი ფინანსური პირობებით. ფეხბურთელები არგენტინაში გაემგზავრებიან 2008 წლის 15 იანვრიდან.

დაწვრილებითი ცნობებისთვის მსურველთა მიღება იწარმოებს მისამართზე: თბილისი, ლეონიძის ქ. 4 (თავისუფლების მოედანი, ეროვნული ბანკის მოპირდაპირედ). მსურველთა მიღებას აწარმოებს არგენტინის წარმომადგენელი საქართველოში, მიმდინარე წლის 24 დეკემბრიდან 10 იანვრამდე, ყოველდღე 13 საათიდან 15 საათამდე, კვირის გარდა. საკონტაქტო ტელეფონი: 899 23-55-20.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტურის წინ

# ფინალი გლაზგოში: რეინჯერსი თუ ლიონი?

## ტოტი წილისყრაზე ფიქრობს: ოღონდ ბარსელონა არა!



რეინჯერსი...

### E ჯგუფი
### რეინჯერსი-ლიონი

„რეინჯერსისა" და „ლიონის" დაპირისპირება არა მხოლოდ ამ ჯგუფის, არამედ მთლიანად ტურის ცენტრალური მატჩია, რადგან მომხვდურებმა მერვედფინალში გამსვლელის ვინაობა უნდა გაარკვიონ. „აიბროქსზე" ეს ორი გუნდი ერთმანეთს ჯგუფში მეორე ადგილის დაკავებისთვის შეებრძოლება. ფაქტია, რომ ფრანგებს მხოლოდ და მხოლოდ მოგება აძლევთ ხელს, შოტლანდიელებს კი ფრეც ეყოფათ იმისათვის, რომ მერვედფინალში „ბარსელონასთან" ერთად გავიდნენ. ორივე გუნდს თანაბარი ქულები აქვს, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ პირველი მატჩი, ლიონში „რეინჯერსმა", ყველასათვის მოულოდნელად, 3:0 მოიგო, ფრე, ანუ, საბოლოო ჯამში თანაბარი ქულების დაგროვება, სწორედ გლაზგოელებს აძლევს ხელს. შესაბამისად, შოტლანდიელთა ამოცანა გაცილებით მარტივია: მათ არ უნდა წააგონ და „რეინჯერსს" უდიდეს უპირატესობას აძლევს ის ფაქტიც, რომ ეს გუნდი საკუთარ მოედანზე თამაშობს (შოტლანდიური ქომაგობის ამბავი კი ყველამ კარგად ვიცით). „ლიონს" კი შანსი აქვს, ეს თამაში მოიგოს და ჩემპიონთა ლიგის მერდვეფინალში ზედიზედ მეხუთედ გავიდეს. უნდა ითქვას, რომ პირველი ორი ტურის შემდეგ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ფრანგებს ფლეი ოფში გასვლის შანსი კიდევ მიეცემოდათ, რადგან როგორც გახსოვთ, პირველი ორი თამაში წააგეს და თანაც, ორივე 0:3. მაგრამ მერე „შტუტგარტთან" ორივე თამაშში 6 ქულა მოიპოვეს, წინა ტურში კი „ბარსელონას" დაუზავდნენ (2:2). ამასობაში, „რეინჯერსმა" „შტუტგარტთან" წააგო და აი, დღეს ამ გუნდებს თანაბარი ქულები აქვთ.

*„ჩემს გუნდს ნებისმიერის დამარცხება შეუძლია. ამისათვის საჭიროა, მაქსიმალურად მობილიზებულები ვიყოთ და შეცდომები არ დავუშვათ. გლაზგოში თამაში ყოველთვის ძალიან ძნელია და გამონაკლისი არც ეს მატჩი იქნება,"* – განაცხადა „ლიონის" თავკაცმა **ალენ პერენმა** მატჩისწინა პრესკონფერენციაზე.

სავარაუდო შემადგენლობები

**რეინჯერსი:** მაკგრეგორი, კუელარი, ჰატონი, უეირი, პაპაცი, მაკკალოხი, უაითეკერი, ბ. ფერგიუსონი, ტომსონი, ადამი, დარშევილი.

**ლიონი:** ვერკუტრი, რევეილერი, სკილაჩი, ანდერსონი, ბელჰაჯი, კალსტრიომი, ტულალანი, ბოდმერი, ბაროში, ბენ არფა, კეიტა.

**მსაჯი:** ლუბომ მიხელი (სლოვაკეთი).

### ბარსელონა-შტუტგარტი

„ბარსელონას" ჯგუფში პირველი ადგილი განალდებული აქვს და რაკი ეს ასეა, **ფრანკ რიიკაარდი** აუცილებლად დაასვენებს წამყვან ფეხბურთელებს, მით უმეტეს, რომ კატალონიურ გრანდს ესპანეთის ჩემპიონატში წინ ძალიან მძიმე მატჩები ელის „ვალენსიასთან" და „რეალთან". სამაგიეროდ, დიდი შანსია, რომ მოედანზე **სამუელ ეტო'ო, დეკუ** და **ედმილსონი** ვიხილოთ, რომლებსაც ფორმის აღდგენა სჭირდებათ, რადგან საკმარისზე მეტი დაისვენეს. ბოლო დროს იშვიათად თამაშობდნენ **ლილიან ტურამი, ოლეგერი** და **სილვინიო**, რომლებსაც რიიკაარდი დღეს ალბათ სასტარტო შემადგენლობაში გაამწესებს. მიმომხილველები ელიან, რომ "ბარსას" სასტარტო შემადგენლობაში აუცილებლად იქნებიან ახალგაზრდა ტალანტები, 17 წლის **ბოიან კრკიჩი** და 18 წლის **ჯოვანი დოს სანტოსი**. ასევე სავარაუდოა 19 წლის **მარკ კროსასის** გამოჩენაც.

როცა კალენდარი შედგა, „შტუტგარტის" ფეხბურთელები ამბობდნენ, დიდი შანსია, რომ ბოლო ტურში „ბარსელონასთან" ერთგვარი ფინალი გვქონდეს და ჩვენც სწორედ ასეთი რანგის მატჩზე ვოცნებობდითო. მაგრამ ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე სეზონში გერმანიის მოქმედმა ჩემპიონმა ყველას იმედები გაუცრუა, რის გამოც შვაბ ფეხბურთელთათვის საოცნებო მატჩი აბსოლუტურად უმნიშვნელო და უმტივაციო შეხვედრად გადაიქცა. შტუტგარტელთა სიხარულის საბაბი ახლა მხოლოდ ისაა, რომ ისინი უბრალოდ „ბარსელონას" ეთამაშებიან და მეტი არაფერი, რადგან ერთმა გუნდმა დიდი ხანია, რაც მერვედფინალში გასვლა გაინალდა, მეორემ კი მეოთხე ადგილი.

შვაბთა დამრიგებელი **არმინ ფეე** პირდაპირ ამბობს, რომ წამყვანი ფეხბურთელების გარკვეულ ნაწილს აუცილებლად დაასვენებს, რადგან „ბარსასთან" ოფლის ღვრა კი კარგია, მაგრამ შტუტგარტს ბუნდესლიგა აქვს მისახედი, თანაც, ფეხბურთელები დაღლილები არიან. *„არც ის მინდა, რომ მეორე გუნდი ვათამაშო და არც ის, რომ წამყვანი ფეხბურთელები ძალიან გადავღალო. მაგალითად, რობერტო ჰილბერტი ძალიან დაღლილია. ძალიან მინდა, რომ ეს თამაში არ წავაგოთ. ერთი სიტყვით, ყველაფერს თამაშის წინ გადავწყვეტ,"* – აცხადებს ფეე. ფაქტია, რომ კარს ისევ **რაფაელ შეფერი** დაიცავს, თავდასხმაში კი **ჩიპრიან მარიკა** ითამაშებს. სხვა დანარჩენს კი მწვრთნელი ლიად ტოვებს. **კაკაუ**, **გომესი** და **ხედირა** ტრავმირებულები არიან. კითხვის ნიშნის ქვეშაა **პაველ პარდოს** ასპარეზობაც. მოკლედ, „ნოუ კამპზე" თამაშის შანსი ეძლევათ ისეთ ფეხბურთელებს, როგორებიც არიან: **ფარნერუდი, ბოკა** და **მაისნერი**.

სავარაუდო შემადგენლობები

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი, ტიურამი, ოლეგერი, გ. მილიტო, სილვინიო, მარკესი, ჩავი, დეკუ, დოს სანტოსი, კრკიჩი, ეტო'ო.

**შტუტგარტი:** რ. შეფერი, ოსორიო, ტასკი, დელპიერი, მანინი, მაისნერი, მეირა, ფარნერუდი, ბაშთურქი, მარიკა, ევერტონი.

**მსაჯი:** სტეფენ ლანუა (საფრანგეთი).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 5 | 3 | 2 | 0 | 9-2 | 11 |
| 2. რეინჯერსი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-6 | 7 |
| 3. ლიონი | 5 | 2 | 1 | 2 | 8-10 | 7 |
| 4. შტუტგარტი | 5 | 1 | 0 | 4 | 6-12 | 3 |

### F ჯგუფი
### რომა-მანჩესტერი

მას მერე, რაც „მანჩესტერ იუნაიტედმა" ჩემპიონთა ლიგის გასული სეზონის მეოთხედფინალში „რომას" შავი დღე აყარა, რვა თვე გავიდა. იმ შეხვედრის შემდეგ მანკუნიანელები იტალიის დედაქალაქში პირველად ჩადიან და რა საკვირველია, „ოლიმპიკოს" მათდამი სიყვარულით განწყობილი ნამდვილად არ იქნება. მაგრამ მატჩს სატურნირო თვალსაზრისით არანაირი მნიშვნელობა არა აქვს – „მანჩესტერმა" ხუთივე თამაში მოიგო და პირველი ადგილი განაღდებული აქვს, „რომას" კი მეორე ადგილიდან ველარ ჩამოაგდებენ. შესაბამისად, ეს შეხვედრა მხოლოდ და მხოლოდ ფორმალობაა, ოღონდ არა „რომას" ქომაგებისთვის, რომლებიც თავიანთი საყვარელი გუნდის ფეხბურთელებს აუცილებლად შურისძიებას მოსთხოვენ.

„მანჩესტერს" რომში ვერ გაჰყვა **გარი ნევილი**, რომელსაც ძველი ტრავმა გაუმიზეზდა. „რომას" კი, როგორც იცით, **ფრანჩესკო ტოტი** დაუბრუნდა და ეს უკანასკნელი დღეს აუცილებლად იასპარეზებს. სხვათა შორის, ტოტიმ მომავალი წილისყრის შესახებ ისაუბრა. *„ჯგუფში მეორე ადგილი დავიკავეთ, რაც იმას ნიშნავს, რომ მერვედფინალში რომელიმე გრანდი შეგვხვდება. სულაც არ ვინერვიულებ, თუკი „ჩელსისთან" ან „რეალთან" მოგვიწევს თამაში. ერთადერთი გუნდი, რომელიც არ მინდა, რომ შეგვხვდეს, „ბარსელონაა"*, - განაცხადა „რომას" კაპიტანმა.

როგორც იცით, ცოტა ხნის წინათ **რაიან გიგზმა** პრემიერლშიგაში მე-100 გოლი გაიატანა ამით ე.წ. „ასიანთა კლუბში" შევიდა. ლეგენდარულ უელსელს შეუძლია, რომ კიდევ ერთ ასეთ კლუბში ამოყოს თავი. თუ გიგზი დღეს ითამაშებს (და ეს ალბათ ასეც იქნება), ეს მისთვის რიგით მე-100 საჩემპიონთალიგო მატჩი გამოდგება.

სავარაუდო შემადგენლობები:

**რომა:** დონი, პანუჩი, ჟუანი, ფერარი, ტონეტო, ჟიული, დე როსი, მანსინი, პიზარო, ტადეი, ტოტი.

**მანჩესტერი:** ვან დერ სარი, ბრაუნი, ფერდინანდი, ვიდიჩი, ევრა, კ. რონალდო, ქერიკი, ანდერსონი, გიგზი, რუნი, ტევესი.

**მსაჯი:** მარტინ ჰანსონი (შვედეთი).

### სპორტინგი-დინამო

აბსოლუტური ფორმალობაა „სპორტინგისა" და კიევის „დინამოს" მატჩიც, რადგან უკვე ცნობილია, რომ უეფას თასზე პორტუგალიური კლუბი გადაინაცვლებს. ერთადერთი ინტრიგა ის გახლავთ (თუ შეიძლება, რომ ამას ინტრიგა ეწოდოს), რომ უკრაინულ კლუბს ხუთივე თამაში წაგებული აქვს და მაქსიმალურად ეცდება, რომ მე-6 არ წააგოს.

სავარაუდო შემადგენლობები

**სპორტინგი:** პატრისიო, აბელი, პოლგა, ტონელი, ჰადი, ჟოაო მუტინიო, რომანიოლი, ველოსო, იზმაილოვი, ლიდსონი, პუროვიჩი.

**დინამო:** რიბკა, ვაშჩუკი, დოპილკა, გავრანჩიჩი, ნესმაჩნი, დიოგო რინკონი, როტანი, გუსევი, გიოანე, ნინკოვიჩი, ბანგურა.

**მსაჯი:** სტიუარტ დუგალი (შოტლანდია).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერი | 5 | 5 | 0 | 0 | 12-3 | 15 |
| 2. რომა | 5 | 3 | 1 | 1 | 10-5 | 10 |
| 3. სპორტინგი | 5 | 1 | 1 | 3 | 6-8 | 4 |
| 4. დინამო | 5 | 0 | 0 | 5 | 4-16 | 0 |

### G ჯგუფი
### ეინდჰოვენი-ინტერი

„ინტერი" ეინდჰოვენში ჯგუფის გამარჯვებულის რანგში ჩადის – **რობერტო მანჩინის** სამწყსომ პირველი ადგილი დაიკავა და შეუძლია, ძალები დაზოგოს. აი, ჰოლანდიურ კლუბს კი ამ შეხვედრაში მხოლოდ მოგება აძლევს ხელს და ისიც იმ შემთხვევაში, თუ პარალელურ მატჩში „ფენერბაჰჩე" ცსკა-ს ვერ მოუგებს. პსვ-ს ქომაგებს ძალიან უნდათ, რომ მათი საყვარელი გუნდი ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში ზედიზედ მეოთხედ გავიდეს. ყოველ შემთხვევაში, თუ „ეინდჰოვენი" ჯგუფში ჩარჩება, მაშინ მესამე ადგილს დაიკავებს და უეფას თასზე გადაინაცვლებს. მესამე პოზიცია ფილიპსელებმა მოსკოვში მოპოვებული მნიშვნელოვანი გამარჯვებით (1:0) გაინაღდეს.

სავარაუდო შემადგენლობები

**ეინდჰოვენი:** გომეში, სალსიდო, მარსელისი, ზონეველდი, რაიკოვიჩი, აფელეი, სიმონსი, მენდესი, ბაკალი, ფარფანი, კუვერმანსი.

**ინტერი:** ჟულიო სეზარი, მაიკონი, კორდობა, მატერაცი, კივუ, ხ. ძანეტი, კამბიასო, სოლარი, სეზარი, კრუსი, სუაზო.

**მსაჯი:** მარკუს მერკი (გერმანია).



...და ლიონი. ვინ ვის?

### ფენერბაჰჩე-ცსკა

თუ „ეინდჰოვენი" „ინტერს" ვერ მოუგებს, მაშინ „ფენერბაჰჩეს" არაფერი ექნება სანერვიულო, რადგან თურქულ კლუბი ასეთ შემთხვევაში მერვედფინალში ავტომატურად გავა. მაგრამ რაკი „ინტერი" უმოტივაციოა, არავის სჯერა, რომ პსვ-ს მილანური კლუბის დამარცხება გაუჭირდება. ასეთ შემთხვევაში კი, „ფენერს" მოსკოვის ცსკასთან მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვება დასჭირდება.

*„გასულ უქმეებზე „გალათასარაის" შევხვდით, ახლა კი კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი შეხვედრა გველის. ძალიან ცუდია, რომ 4 დღეში 2 ასეთი მატჩი გვქონდა ჩასატარებელი. „გალათასარაისთან" ბიჭები 100 პროცენტით კონცენტრირებულები იყვნენ და მოვიგეთ, ცსკა-სთან შეხვედრა კი, ჩემი აზრით, „ფენერის" ისტორიაში უდიდესი გამოცდაა,"* – აცხადებს თურქული კლუბის მთავარი მწვრთნელი **ზიკო** და იქვე დასძენს, - *„ჩემი მოვალეობა ის არის, რომ ფეხბურთელები თამაშისთვის მოვამზადო, მაგრამ არ შემიძლია, კომენტარის გარეშე დავტოვო განცხადებები, რაც ამ დღეებში გაკეთდა. ვიღაც-ვიღაცეები მიიჩნევენ, რომ ცსკა-ს იოლად მოვუგებთ. მე გეტყვით, რომ ევროპაში იოლი მატჩი აღარ არსებობს. მართალია, მოსკოველებს რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი არ ეყოლებათ, მაგრამ კიდევ ერთხელ ვიმეორებ: რაც არ უნდა სუსტი ან შესუსტებული იყოს მეტოქე, ჩვენთვის ყველა ძლიერი და პატივსაცემია!"*

თურქული გაზეთი „ფანატიკი" იტყობინება, რომ ამ მატჩისთვის „ფენერის" ბოსებმა ფეხბურთელებს სოლიდური პრემია გაუმზადეს: თუ „ფენერბაჰჩე" ცსკა-ს დაამარცხებს, მოთამაშეები მილიონ დოლარს მიიღებენ. აქვე გეტყვით, რომ „გალათასარაის" დამარცხებისთვის მათ უკვე მიიღეს ერთი მილიონი.

სავარაუდო შემადგენლობები

**ფენერბაჰჩე:** ვოლქან დემირელი, ედუ დრაჩენა, ლუგანო, გიონული, რობერტო კარლოსი, აურელიო, ალექსი, შაჰინი, ვედერსონი, შენთურქი, დეივიდი.

**ცსკა:** აკინფეევი, ა. ბერეზუცკი, ვ. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, ოდია, შემბერასი, ალდონინი, ჟირკოვი, გრიგორიევი, რამონი, იანჩიკი.

**მსაჯი:** მატეო სიმონე ტრეფოლონი (იტალია).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 5 | 4 | 0 | 1 | 11-4 | 12 |
| 2. ფენერბაჰჩე | 5 | 2 | 2 | 1 | 5-5 | 8 |
| 3. ეინდჰოვენი | 5 | 2 | 1 | 2 | 3-5 | 7 |
| 4. ცსკა | 5 | 0 | 1 | 4 | 6-11 | 1 |

### H ჯგუფი
### არსენალი-სტიაუა

ამ ჯგუფში გარკვეულია, თუ რომელი გუნდები ითამაშებენ მერვედფინალში („სევილია" და „არსენალი"), ვინ დარჩება უეფას თასზე (სლავია) და ვინ ხახამშრალი (სტიაუა). მაგრამ ჯერ კიდევ გასარკვევია, ვის დარჩება პირველი ადგილი. ბოლო ტურის წინ ლიდერი „სევილიაა", რომელიც „არსენალს" ორი ქულით უსწრებს. შესაბამისად, დღეს ლონდონელებმა აუცილებლად უნდა დაამარცხონ ბუქარესტის „სტიაუა", რომლისთვისაც ეს მატჩი ლამაზი გასეირნებაა ლონდონში.

სავარაუდო შემადგენლობები

**არსენალი:** ალმუნია, კლიში, კოლო ტურე, გალასი, სანია, დიარა, ებუე, ჟილბერტო სილვა, როსიცკი, ადებაიორი, ედუარდო.

**სტიაუა:** ზაპატა, გოიანი, მარინი, ემეგარა, რადა, კრისტოჩეა, ლოვინი, დიკა, პეტრე, ნეაგა, ბადეა.

**მსაჯი:** იური ბასკაკოვი (რუსეთი).

### სლავია-სევილია

„სევილიას" კი თავის მხრივ პრალაში გამარჯვება სჭირდება იმისათვის, რომ ლიდერობა არ დაკარგოს. ანდალუსიელები დღეს რუს თავდამსხმელ **ალექსანდრ კერჟაკოვს** ვერ დაიხმარენ – ეს უკანასკნელი ტრავმირებულია. ძირითადმა გოლკიპერმა **ანდრეს პალოპმა** კი, როგორც იცით, ხელი მოიტეხა. მის ნაცვლად „სევილიის" კარს **მორგან დე სანქტისი** დაიცავს.

სავარაუდო შემადგენლობები

**სლავია:** ვანიაკი, ბრაბეცი, დრიუდალი, ჰუბაჩეკი, სუხი, შმიცერი, პუდილი, კრაიჩიკი, ტავარესი, ვოლეშაკი, ივანა.

**სევილია:** დე სანქტისი, დანიელ ალვეში, დრაგუტინოვიჩი, ფაციო, მოსკერა, დუდა, რენატო, ხესუს ნავასი, მარესკა, ლუიშ ფაბიანო, ჩევანტონი.

**მსაჯი:** ვიქტორ კასაი (უნგრეთი).

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სევილია | 5 | 4 | 0 | 1 | 11-7 | 12 |
| 2. არსენალი | 5 | 3 | 1 | 1 | 12-3 | 10 |
| 3. სლავია | 5 | 1 | 2 | 2 | 5-13 | 5 |
| 4. სტიაუა | 5 | 0 | 1 | 4 | 3-8 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინგლისის ნაკრები

# კაპელოს ხვალ დანიშნავენ?

## იტალიელი მწვრთნელი ერიქსონზე ნაკლებ ხელფასს მიიღებს. მას ალბათ ძოლა, პირსი, შირერი და ადამსი დაეხმარებიან...



ფაბიო კაპელოს ინგლისში ელოდებიან

**ფაბიო კაპელო** ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის მაღალჩინოსნებს უახლოესი 24 საათის განმავლობაში შეხვდება. ეს ინფორმაცია გუშინდელი „სანში" ამოვიკითხეთ. იტალიელი მწვრთნელის ბედს გასაუბრება გადაწყვეტს. დონ ფაბიოს ჩინებული შანსი აქვს, ინგლისის ეროვნული ნაკრების ისტორიაში მეორე უცხოელი დამრიგებელი გახდეს. **ჟოზე მოურინიომ** ვაკანტური პოსტის დაკავებაზე უარი განაცხადა. კაპელო, ფაქტობრივად, უალტერნატივო კანდიდატად იქცა. მას ლონდონის ბილეთები დაჯავშნილი აქვს. შეხვედრა დაგეგმილია ხვალ ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის შტაბბინაში. იტალიელ სპეციალისტს აღმასრულებელი დირექტორი **ბრაიან ბარვიკი** მიიღებს. დონ ფაბიო ინგლისში შვილ, **პიერფილიპო კაპელოსთან** ერთად ჩავა. ეს უკანასკნელი მამამისის იურიდიული მრჩეველია. „სანი" იუწყება, თუ გასაუბრება წარმატებით ჩაივლის, კაპელოს მეორე დღესვე დანიშნავენო. ესე იგი, სავსებით რეალურია, ხვალ ინგლისელებს ახალი დამრიგებელი ჰყავდეთ. ეს დამრიგებელი კი საკლუბო ფეხბურთში სახელმოხვეჭილი დონ ფაბიო აღმოჩნდეს.

კაპელო არ მალავს, რომ ამ სამსახურის მიღება სურს. ის არ აპირებს განსაკუთრებული პირობების მოთხოვნას. ინგლისში მუშაობის სურვილი იმდენად დიდია, რომ მწვრთნელი თანახმაა, უსიტყვოდ მიიღოს ის პირობები, რასაც ასოციაცია შესთავაზებს. რა თქმა უნდა, ეს არარეალურად დაბალ ანაზღაურებას არ ნიშნავს. ინგლისური ფეხბურთის მამებმა კაპელოს ფასი შესანიშნავად იციან. მაგრამ ყველა დარწმუნებულია, რომ დანიშვნის შემთხვევაში კაპელოს **სვენ გორან ერიქსონზე** ნაკლებს გადაუხდიან. ეს უკანასკნელი წელიწადში 5 მილიონ გირვანქას იხვეჭდა და მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე შემოსავლიანი საფეხბურთო სპეციალისტი იყო. როგორც ამბობენ, მოურინიო 6 მილიონს ითხოვდა. კაპელო კი მოკრძალებულ 4 მილიონსაც დათანხმდება.

„სანი" კაპელოს სამწვრთნელო შტაბზეც ავრცელებს ინფორმაციას. თითქმის გადაწყვეტილია, რომ დონ ფაბიოს მარჯვენა ხელი **ჯანფრანკო ძოლა** იქნება. დღესდღეობით ის იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებში მოღვაწეობს, სადაც მთავარი მწვრთნელის, **პიერლუიჯი კაზირაგის** ასისტენტია. „სანის" ვარაუდით, ნაკრებში მიიწვევენ **სტიუარტ პირსს, ალან შირერსა** და **ტონი ადამსსაც**. პირსი შეთავსებით ინგლისის ახალგაზრდულ ნაკრებშიც იმუშავებს, ადამსი კი პორტსმუთის მეორე მწვრთნელია. ინგლისელი ასისტენტები მნიშვნელოვან როლს ითამაშებენ. კაპელომ ინგლისური არ იცის. ის პირობას დებს, რომ ენას უმოკლეს დროში შეისწავლის. საფეხბურთო ასოციაციას ეს საკითხი გადაულახავ პრობლემად არ ესახება. „სანი" ინგლისელი თანაშემწეების საკითხს კიდევ იმიტომ თვლის მნიშვნელოვნად, რომ კაპელოს აბარგების შემდეგ ინგლისელებს ორი მზა კანდიდატები ეყოლებათ. ინგლისში ინგლისელი სპეციალისტის მუშაობას, თანაც ქვეყნის უმთავრეს გუნდში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ამ თემაზე ბევრს თითქოს არ საუბრობენ, მაგრამ ეს ყოველ წუთს იგრძნობა. ამასობაში, „სანი" თითქმის 90 პროცენტითაა დარწმუნებული, რომ ინგლისის ნაკრების ახალი თავკაცი ფაბიო კაპელო იქნება.

კაპელომ სახელი 1990-იანი წლების დასაწყისში, „მილანში" მუშაობისას გაითქვა. მან გუნდს ხუთ წელიწადში ოთხი სკუდეტო მოუტანა. 1991 წლის 19 მაისიდან 1993 წლის 21 მარტამდე „როსონერიმ" იტალიის ჩემპიონატში 58 წაუგებელი მატჩი ჩაატარა. მან 1991-92 წლების ჩემპიონატი დაუმარცხებლად მოიგო. შთამბეჭდავი სერია „პარმასთან" მატჩში (0:1) დასრულდა. კაპელოს სტილი კატენაჩოზე იყო დაფუძნებული, თუმცა 1994 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალში „მილანმა" **იოჰან კრუიფის** „ბარსელონა" მიწასთან გაასწორა, 4:0. კაპელომ მილანში მოღვაწეობა 1996 წელს, მორიგი სკუდეტოთი დაასრულა და მადრიდში წავიდა. „რეალმა" ესპანეთის ჩემპიონატში გაიმარჯვა. 1997 წელს დონ ფაბიო ისევ „მილანში" დაინიშნა. მისი დაბრუნება ხანმოკლე და წარუმატებელი აღმოჩნდა.

1999 წელს კაპელომ „რომას" მიაშურა. 2001 წელს „ჯალოროსიმ" სკუდეტო მოიგო. ეს რომაელთა პირველი ტიტული იყო ბოლო ათწლეულის განმავლობაში. წარმატების მიუხედავად, კაპელოს გულშემატკივრებთან დაძაბული ურთიერთობა ჰქონდა. მისი პოზიციები საბოლოოდ შეასუსტა **ფრანჩესკო ტოტისთან** კონფლიქტმა. მას წამყვანი ფეხბურთელების გაყიდვასა და კლუბისათვის საბოტაჟის მოწყობაშიც კი დასდეს ბრალი. „რომას" ტიფოზებს კაპელო სძულთ, რადგან ახალგაზრდობაში მოსისხლე „ლაციოს" ქომაგობდა.

რომის შემდეგ იყო „იუვენტუსი". 1969-76 წლებში კაპელომ ტურინელთა შემადგენლობაში 165 მატჩი ჩაატარა და 27 გოლი შეაგდო. ის მშობლიურ კლუბში დაბრუნდა და ზედიზედ ორჯერ მოიპოვა სკუდეტო. 2006 წლის ზაფხულში ატეხილი სკანდალის გამო, ტურინელებს ორივე ტიტული ჩამოართვეს. თუმცა ამ დროს კაპელო უკვე მადრიდში იყო. მან „იუვედან" ორი საუკეთესო ფეხბურთელი, **ფაბიო კანავარო** და **ემერსონი** წაიყვანა, რის გამოც ტურინელი გულშემატკივრების რისხვა დაატყდა თავს. კაპელოს ქომაგებთან ყოველთვის გართულებული ურთიერთობა ჰქონდა. მან მადრიდელი ფანები მალევე აიმხედრა. ერთ-ერთ პირველსავე ინტერვიუში მწვრთნელმა განაცხადა, სანახაობრივი ფეხბურთი მოძველებულია, დღეს ამინდს შედეგი ქმნისო.

გუნდმა სეზონი მძიმედ დაიწყო. მწვრთნელს განუწყვეტელი კონფლიქტები ჰქონდა წამყვან ფეხბურთელებთან. 2007 წლის თებერვლის მიწურულს რეალი ჩემპიონთა ლიგას გამოეთიშა და პრიმერა დივიზიონშიც მეოთხე საფეხურზე იმყოფებოდა. მიმომხილველები კაპელოს დათხოვნას ვარაუდობდნენ, მან კი მდგომარეობა უმოკლეს დროში გამოასწორა და საბოლოოდ, სამეფო კლუბს 30-ეჯერ მოაგებინა ჩემპიონატი. ტიტული თანამშრომლობის გასაგრძელებლად საკმარისი არ აღმოჩნდა. კაპელო დაითხოვეს. იმ ამბებიდან ნახევარი წლის შემდეგ სახელოვანი მწვრთნელის კარიერაში ახალი ეტაპი იწყება. დანიშვნის შემთხვევაში მისი დებიუტი გაისად 6 თებერვალს შედგება. ინგლისს შვეიცარიასთან ამხანაგური მატჩი აქვს დაგეგმილი. იმავე დღეს **დევიდ ბექჰემმა** ნაკრებში მე-100 შეხვედრა უნდა ჩაატაროს.

ჩელსი

# შევჩენკო მზადაა

## ითამაშებს თუ არა დროგბა აფრიკის თასზე...



ანდრეი შევჩენკო სანდერლენდის კარში გატანილ გოლს ზეიმობს

**ანდრეი შევჩენკოს** იმედი აქვს, რომ **დიდიე დროგბას** ღირსეულად შეცვლის. გასულ უქმეებზე კოტდივუარელ თავდამსხმელს მუხლის ოპერაცია გაუკეთეს. ის გაურკვეველი ვადით ჩამოშორდა მინდორს. დიდია ალბათობა, რომ დროგბამ აფრიკის ერთა თასი გამოტოვოს. ტურნირი 20 იანვრიდან 10 თებერვლამდე განაში ჩატარდება. კონტინენტის პირველობაზე გამგზავრების შემთხვევაშიც, „ჩელსის" მისი შემცვლელი დასჭირდება. ამ ფუნქციის შესრულება სწორედ შევჩენკოს ეკისრება. დიდიემ ტრავმის გამო ერთი თამაში უკვე გამოტოვა. შაბათს „ჩელსი" სანდერლენდს შეხვდა. დროგბას არყოფნაში ძირითადში გამწესებულმა შევჩენკომ ერთი გოლი გაიტანა. მას მომდევნო მატჩებშიც სასტარტოში ვიხილავთ.

აი, რა განაცხადა ანდრეიმ „მირორისათვის" მიცემულ ინტერვიუში: *„კმაყოფილი ვარ, რომ მწვრთნელმა თამაშის საშუალება მომცა. მინდა, რამდენიმე გოლი გავიტანო. ეს თავდაჯერებულობას შემმატებს. იმედი მაქვს, ძირითად შემადგენლობაში რეგულარულად ვითამაშებ. დიდიეს ტრავმა სერიოზული დანაკლისია. ვეცდები, მისი არყოფნა გუნდის შედეგებზე არ აისახოს."* შევჩენკოს იმედი აქვს „არისტოკრატების" თავკაც **ავრამ გრანტსაც**: *„ანდრეი უმაღლესი კლასის თავდამსხმელია. გოლების გატანა მისი უშუალო მოვალეობაა. გასულ სეზონში მან 14 გოლი მიითვალა, წელს მხოლოდ ოთხი. მისთვის ეს ძალიან მოკრძალებული მაჩვენებელია. დარწმუნებული ვარ, მოუმატებს და იმედებს არ გაგვიცრუებს."*

ამასობაში, ცნობილი გახდა, რომ დიდიე დროგბა კოტ დივუარის ნაკრების გაფართოებულ შემადგენლობაში შეიყვანეს. აფრიკელთა მთავარმა მწვრთნელმა **ული შტილიკემ** იმედი გამოთქვა, რომ საუკეთესო ფეხბურთელი ტურნირის დაწყებამდე გამოჯანმრთელდება. შტილიკეს 26-კაციანი სიიდან მხოლოდ ერთი ფეხბურთელი თამაშობს კოტ დივუარის ეროვნულ ჩემპიონატში. 25 ლეგიონერია, მათ შორის, **კოლო ტურე** და **ემანუელ ებუე** „არსენალიდან", **იაია ტურე** „ბარსელონიდან", **სალომონ კალუ** „ჩელსიდან" და **არუნა კონე** „სევილიიდან". აფრიკის ერთა თასის ბოლო გათამაშებაში, რომელსაც 2006 წლის დასაწყისში ეგვიპტემ უმასპინძლა, კოტ დივუარმა ფინალში გააღწია და მასპინძლებთან პენალტების სერიაში წააგო.

## ინტერმა მასკერანო მოიკითხა

„ინტერი" **ხავიერ მასკერანოს** შეძენას აპირებს. არგენტინელი ნახევარმცველი „ლივერპულში" თამაშობს. მისი სატრანსფერო უფლებები **კია ჯურაბჩიანის** ხელშია. მერსისაიდელები 17 მილიონი გირვანქის გადახდას არ ჩქარობენ. „ინტერს" კი სწორედ ამ თანხად აქვს გადაწყვეტილი ფეხბურთელის დაუფლება. „ნერაძური" მასკერანოს წარმომადგენლებს უკვე შეეხმიანა. ფეხბურთელს სარფიანი კონტრაქტი შესთავაზეს. ხავიერს სხვა ევროპული გრანდებიც ეპატიჟებიან. მან „ბარსელონისა" და „იუვენტუსის" ყურადღება მიიპყრო. რამდენიმე კვირის წინ მასიმო მორატიმ განაცხადა, რომ იანვრის ტრანსფერებში ფულის დახარჯვას არ აპირებდა. რობერტო მანჩინიმ ნახევარმცველის შეძენა მოითხოვა და როგორც ჩანს, მიაღწია კიდეც საწადელს. მას **პატრიკ ვიეირა** და **ოლივიე დაკური** ჰყავს დაშავებული. შუა ხაზის გაძლიერება არ აწყენდა „იუვენტუსსაც". ზაფხულში ნაყიდი **სერჟიო ალმირონი** და **ტიაგო** იმედებს ვერ ამართლებენ.

## ვან დერ სარი ბარსელონაში?

„ბარსელონას" მეკარე სჭირდება. სათადარიგო გოლკიპერი **ალბერტ ხორკერა** კლუბიდან აბარგებას აპირებს. მისი კონტრაქტი ივნისში იწურება. ხორკერა თავისუფალი აგენტი ხდება. ეს გარემოება მას სარფიან ტრანსფერში შეუწყობს ხელს. კატალონიელებმა მისი შეცვლა **ედვინ ვან დერ სარით** გადაწყვიტეს. ჰოლანდიელი მეკარე 37 წლისაა. მას მანჩესტერთა ხელშეკრულება სეზონის ბოლოს უმთავრდება. „იუნაიტედმა" ვან დერ სართან თანამშრომლობის გაგრძელება მოისურვა, მაგრამ სურვილს შეთავაზება ჯერ არ მოჰყოლია. „ბარსელონა" ამ გაურკვევლობით აპირებს, რომ ისარგებლოს. ვან დერ სარის გარდა, „დეპორტივოსა" და ისრაელის ნაკრების მეკარის, **დუდუ ავათის** კანდიდატურაც განიხილება.

არსენალი. ტრანსფერები

# ვენგერი მეკარეს ეძებს

## კიდევ ერთი თინეიჯერი ესპანელი ინგლისში?

„არსენალი" მექსიკური „ამერიკის" მეკარე **გილერმო ოჩოათი** დაინტერესდა. ამ ბიჭს „მანჩესტერ იუნაიტედი" და „ბაიერნიც" აკვირდებიან. ოჩოა 22 წლისაა. ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, ის მექსიკის ნაკრების შეუცვლელი გოლკიპერია. გილერმომ უკვე დიდი გამოცდილება დააგროვა. მისი ევროპაში ტრანსფერი გარდაუვალია. ოჩოა იმედოვნებს, რომ ბებერ კონტინენტზე ახლა თუ არა, სეზონის ბოლოს აუცილებლად გადაბარგდება. „არსენალმა" ამ ბიჭის გარდა, კრუზეიროელი **ფაბიოც** ამოიღო მიზანში. ფაბიო იტალიური პასპორტიც აქვს. ეს მის კანდიდატურას კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის. 27 წლის ფაბიოს „კრუზეიროსთან" კონტრაქტი 2009 წელს ეწურება. კიდევ ერთი სამიზნეა „სელტიკისა" და პოლონეთის ნაკრების მეკარე **არტურ ბორუცი**. მას გლაზგოდან აბარგება სურს. სელტიკელებმა სანაცვლოდ 10 მილიონი გირვანქა მოითხოვეს. ბორუცს ეს თანხა არარეალურად ეჩვენება, მაგრამ იმედი აქვს, რომ ტრანსფერში ხელი არ შეეშლება. არტურს შოტლანდიური კონტრაქტი 2009 წლის ზაფხულში უმთავრდება. ამჟამად ის დაშავებულია და მუხლის მცირე ოპერაციისათვის ემზადება.

აქვე გეტყვით, რომ „მეთოფეები" სხვა რგოლების გაძლიერებაზეც ფიქრობენ. ისინი „მონაკოს" 27 წლის მცველ **სებასტიან სკილაჩით** დაინტერესდნენ. სკილაჩი ცენტრალური მცველია. ერთ თვეში, როცა **ემანუელ ებუე** აფრიკის თასზე გაემგზავრება, სებასტიანს შეუძლია, ძირითადში ითამაშოს. ლონდონელებს მისი ტრანსფერი 7 მილიონი გირვანქა დაუჯდებათ. და კიდევ, **არსენ ვენგერმა** მორიგი თინეიჯერი ესპანელი ამოიღო მიზანში. ასის ცნობით, „არსენალის" თავკაცი „რეალის" სარეზერვო გუნდისა და ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრების ვუნდერკინდ **დანიელ პარეხოს** ეპატიჟება. მადრიდელთა საპატიო პრეზიდენტი **ალფრედო დი სტეფანო** პარეხოს „რეალის" საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელად მიიჩნევს. მას პროფესიული კონტრაქტი უკვე გაფორმებული აქვს. ამიტომ სხვა თინეიჯერებთან შედარებით, საკმაოდ ძვირი, 14 მილიონი ევრო ღირს.



არსენ ვენგერი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბაიერნი. ახალი სკანდალი

# ჰიტცფელდმა კანი მოკვეთა

## ერთმატჩიანი დისკვალიფიკაცია და ჯარიმა 25 000 ევრო! ოფიციალური მიზეზი: უდისციპლინობა!



ჰიტცფელდმა კანი უდისციპლინობის გამო დასაჯა

**ინფორმაციამ, რომელიც გუშინ გერმანულმა მედიამ გაავრცელა, მიუნხენის „ბაიერნის" გულშემატკივრები შოკში ჩააგდო. მოხდა ის, რომ ყველასათვის მოულოდნელად, რეკორდმაისტერის მთავარმა მწვრთნელმა ოტმარ ჰიტცფელდმა ოლივერ კანი დროებით გუნდიდან მოკვეთა. „გენერალმა" გადაწყვიტა, რომ ოლის დისკვალიფიკაცია მიუსაჯოს და ამრიგად, კანი ბუნდესლიგის პირველი წრის ბოლო ტურში (ჰერტასთან) განაცხადში არ იქნება.**

*„ოტმარ ჰიტცფელდმა გადაწყვიტა, რომ ოლივერ კანი დროებით გუნდიდან მოკვეთოს. ასეთი გადაწყვეტილების მიზეზი ფეხბურთელის უდისციპლინობაა,"* – ნათქვამია „ბაიერნის" პრეს-რელიზში. ამასთან, გაცხადდა ისიც, რომ კანს 25 000 ევროს გადახდა დაეკისრა.

ამ ყველაფერში გაუგებარი არაფერია: **ჰიტცფელდმა კანი** დროებით მოკვეთა. მაგრამ რატომ? რა დააშავა „ტიტანმა"? ოფიციალური ვერსია უდისციპლინობაა, მაგრამ კანი ხომ აქამდე არასდროს გამოირჩეოდა ასეთი საქციელებით? პირიქით, ოლი დისციპლინისა და წესრიგის მოყვარული ადამიანია. მაშ რა მოხდა? ერთი სიტყვით, ნამდვილი მიზეზი თუ მიზეზები არავინ იცის და ჩვენც ისღა დაგვრჩენია, რომ ჩვენი გერმანელი კოლეგების დარად ვიმარჩიელოთ.

კანმა ბოლო ინტერვიუში თანაგუნდელები გააკრიტიკა. გასული უქმეების შემდეგ ოლი განსაკუთრებით **ფრანკ რიბერისა** და **ლუკა ტონის** შემოსწყრა (როგორც იცით, შაბათს „ბაიერნმა" ბოლოს წინა ადგილზე მყოფ „დუისბურგს" ვერ მოუგო). აი, რა განაცხადა მან „კიკერისთვის" მიცემულ ინტერვიუში: *„სეზონის კარგად დაწყება საკმარისი არ არის! კარგად დაწყებული, კარგადვე უნდა გააგრძელო და ძალიან კარგად უნდა დაასრულო. კარგმა ფეხბურთელმა მთელი სეზონის განმავლობაში უმაღლეს დონეზე უნდა ითამაშოს! ყველამ უნდა შეიგნოს, რომ მხოლოდ 2 ან 3 მატჩის მაღალ დონეზე ჩატარება საკმარისი არ არის. „ბაიერნი" არც მარსელის „ოლიმპიკია" და არც ფლორენციის „ფიორენტინა", „ბაიერნი" „რეალის", „მანჩესტერის", „ბარსას" და „მილანის" დონის გუნდია. იმედი მაქვს, რომ ეს ყველა ჩემმა თანაგუნდელმა კარგად იცის!"*

ოლის ეს განცხადება ერთ-ერთი სავარაუდო მიზეზია მათ შორის, რასაც ჟურნალისტები ვარაუდობენ. ამას გარდა, არ წყდება სპეკულაციები იმის შესახებ, რომ გასულ უქმეებზე კანმა ძალიან გაანაწყენა „ბაიერნის" ხელმძღვანელები, როცა წინასაშობაო ზეიმი ნაადრევად დატოვა, თანაც ისე, რომ არავის დამშვიდობებია. გამოცემა „ველტი" წერს, კანმა ამით კაპიტნის მოვალეობა არ შეასრულა და გუნდის კანონები დაარღვიაო. ოლი ამბობს, „დუისბურგთან" ვერმოგებული თამაშის შემდეგ ზეიმის ხასიათზე ნამდვილად არ ვიყავი და თუ სხვებს ეზეიმებოდათ, კიდეც დარჩნენ და ბოლომდე იზეიმესო. მაგრამ „ტიტანი" იქვე ამატებს, დამერწმუნეთ, ჩემს დასჯას ამ ამბავთან არანაირი კავშირი არ აქვსო.

რაც შეეხება უშუალოდ მისი მოკვეთის ფაქტს. სხვა შემთხვევებისგან განსხვავებით, ოლი ამ ამბავმა არააფეთქა. *„სიმართლე გითხრათ, ეს ამბავი არ გამიკვირდა. ჰიტცფელდის გადაწყვეტილება ჩემთვის გასაგები და მისაღებია. დისციპლინა ყველაზე და ყველაფერზე მაღლა დგას!"* – ამბობს კანი.

*„მწვრთნელმა ეს ამბავი გასახდელში გვამცნო. ყველას ძალიან გაგვიკვირდა და ყველამ ერთად გადავხედეთ კანს, რომელიც რატომღაც გაკვირვებული არ ჩანდა,"* – ეს სიტყვები კი **ფილიპ ლამს** ეკუთვნის. ამასობაში, „ბილდი" ასეთ კითხვას სვამს: იქნებ ჰიტცფელდს ამ გადაწყვეტილებით თავისი ძალის და ფეხბურთელებთან შედარებით, მწვრთნელის უპირატესობის დემონსტრირება სურს? ყოველ შემთხვევაში ფაქტია, რომ ბოლოდროინდელი წარუმატებლობების გამო „გენერალი" საკმაოდ მძიმე წნეხის ქვეშაა მოქცეული. თანაც, ესეც არ იყოს, უკვე რამდენიმე კვირაა, რაც „ბაიერნის" მომავალს ხან **ჟოზე მოურინიოს** უკავშირებენ, ხან **რაფა ბენიტესს** და ხანაც **ლოთარ მათეუსს**.

და როგორ წერდა თავის ტრადიციულ სვეტში, **ფრანც ბეკენბაუერი**? *„ოტმარს ბოლოდროინდელი იმედგაცრუებები და სიბრაზე სახეზე აწერია. მე არ ვიცნობ სხვა ადამიანს, რომელსაც ასე ნათლად აესახება სახის გამომეტყველებაზე საკუთარი გრძნობები. დარჩება თუ არა ჰიტცფელდი გაისად, ამას ზამთარში გადავწყვეტთ."*

„ბაიერნში" ჰიტცფელდის გარშემო შექმნილი დაძაბული ვითარება ყველაზე მეტად შვეიცარიელებს სიამოვნებთ. როგორც იცით, მათ უნდათ, რომ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ ჰიტცფელდი შვეიცარიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი გახდეს და გუნდი 2010 წლის მუნდიალისთვის მოამზადოს. შვეიცარული გამოცემა „ბლიკი" წერს: *„ბაიერნში ნამდვილი ჯოჯოხეთია. მილიონერმა ფეხბურთელებმა ისეთი კაციც კი, როგორიც ოტმარ ჰიტცფელდია, წყობიდან გამოიყვანეს. შესაბამისად, შვეიცარია სულ უფრო და უფრო უახლოვდება ოტმარს. ეს ჩვენთვის იდეალური გამოსავალი იქნება, გამოსავალი სახელწოდებით „როლს როისი"!*

თუმცა დავუბრუნდეთ კანის შემთხვევას. ოლი დარწმუნებულია, რომ 19 დეკემბერს, უეფას თასის მატჩში მონაწილეობას აუცილებლად მიიღებს. *„დისკვალიფიკაცია მხოლოდ ერთ მატჩს მოიცავს. შესაბამისად, სალონიკის „არისთან" შეხვედრისთვის მზადებას ვიწყებ. უკვე ვესაუბრე მწვრთნელსა და მენეჯერს. ყველაფერი შეთანხმებული და გარკვეულია,"* – განაცხადა ოლიმ გუშინ სალამოს. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, ულამაზო ფაქტად, რის გამოც „ბაიერნის" მორიგ სკანდალზე გვიხდება წერა. ეს კი, ბოლო ერთი თვის მანძილზე, მეოთხე სკანდალია. მანამდე იყო **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** შეტევა ჰიტცფელდზე, მერე **ჰიონესის** სკანდალური გამოსვლა წლის საერთო კრებაზე, მერე იყო **ვილი სანიოლისა** და ჰიტცფელდის დაპირისპირება, ახლა კი კანი და მისი მოკვეთა. მოკლედ, 2007 წელი რეკორდმაისტერისთვის ერთობ ქაოტურად სრულდება...

**გოტფრიდ ლენცი**



ასე ერთობოდნენ რაკიტიჩი და კრსტაიჩი დისკოთეკაზე

შალკე. სკანდალი

# არაყი, ლუდი, სიგარეტი...

## სლომკამ კრსტაიჩი და რაკიტიჩი შერისხა!

„შალკეს" გუშინ ძალიან მნიშვნელოვანი მატჩი ჰქონდა ჩემპიონთა ლიგაში (რუსენბორგთან) და თუ დააკვირდებით, ხსენებული შეხვედრის ტექნიკურ შედეგებში ვერც **ივან რაკიტიჩის** გვარს ალმოაჩენთ და ვერც **მლადენ კრსტაიჩისა**. არა, არცერთი მათგანი არ არის არც ტრავმირებული და არც დისკვალიფიცირებული. საქმე იმაშია, რომ მატჩამდე რამდენიმე საათით ადრე, გელზენკირხენელთა მთავარმა მწვრთნელმა **მირკო სლომკამ** ორივე მათგანი გუნდიდან მოკვეთა და განაცხადიდან ამოშალა.

რა მოხდა? შაბათს, „აინტრახტთან" მატჩის (2:2) შემდეგ, რომელიც ნამდვილად არ დასრულდა იმ შედეგით, რომ შალკელებს ზეიმის საფუძველი ჰქონოდათ, დუისბურგის დისკოთეკა „ქლაბ ინტაქტში" სერბი მომღერლის, **მილე კიტიჩის** სალამო იყო. ღამის პირველ საათზე ხსენებულ დისკოთეკას შალკელები, კრსტაიჩი, რაკიტიჩი და **ჯერმეინ ჯონსი** ესტუმრნენ. კრსტაიჩი არაყს მიეძალა და სიგარეტს სიგარეტზე აბოლებდა, მერე კი, მთვრალმა, თანამემამულე მომღერალთან ერთად იმღერა. რაკიტიჩი ლუდს სვამდა, რაც სლომკასთვის არც ისე სამწუხაროა, ხოლო ჯონსი კი ღვინოს წრუპავდა. ფეხბურთელთათვის საუბედუროდ, ხსენებულ დისკოთეკაზე გამოცემა „ბილდის" ჟურნალისტიც იმყოფებოდა...

*„ძალიან გაბრაზებული და იმედგაცრუებული ვარ,"* – აცხადებს „შალკეს" გენერალური მენეჯერი **ანდრეას მიულერი**, - *„ამ დღეებში გადავწყვეტთ, კიდევ რით დავსაჯოთ ეს მოთამაშეები. ჯონსი ჯერ დაუსჯელად დავტოვეთ, რადგან ის „რუსენბორგთან" მაინც ვერ ითამაშებდა, რადგან დისკვალიფიკაცია ჰქონდა."*

სლომკა: *„ასეთ მნიშვნელოვან მატჩამდე სამი დღით ადრე ალკოჰოლის მიღება არ შეიძლება! კრსტაიჩმა და რაკიტიჩმა გუნდის კანონები დაარღვიეს. ცხადი იყო, რომ სასჯელს ვერ გადაურჩებოდნენ!"*

ბარსელონა

# რონალდინიომ თავი აიგდო

## რატომ მიატოვა გაუჩრომ ვარჯიში?

გუშინ „ბარსელონის" ვარჯიშზე მორიგი ინციდენტი მოხდა. **რონალდინიოს** ვარჯიშიდან მის დასრულებამდე რამდენიმე წუთით ადრე გაპარვა სურდა. მაშინ, როცა მთელი გუნდი მაღალ ტემპში დარბოდა, ბრაზილიელი ჯგუფს ჩუმად გამოეყო და გასახდელში წასვლა გადაწყვიტა. **ფრანკ რაიკაარდმა** შეგირდის უპასუხისმგებლო საქციელი დროულად შენიშნა და ბრაზილიელს კატეგორიულად მოთხოვა ვარჯიში გაეგრძელებინა. ბუნებრივია, ჟურნალისტები მომხდარის მიზეზით დაინტერესდნენ. რონალდინიომ ასეთი რამ თქვა: *„როგორც წესი კალენდარული შეხვედრების შემდეგ ორი დღის განმავლობაში მთავარი მწვრთნელი მსუბუქად გვავარჯიშებს ხოლმე. დარწმუნებული ვიყავი, რომ ამჯერადაც ასე მოხდებოდა. თუმცა სენიორ რაიკაარდმა ტაქტიკა ოდნავ შეცვალა და გუნდს დიდი დატვირთვა მისცა. ვერ წარმოვიდგენდი, რომ ასე მოხდებოდა. ამიტომ, ვიფიქრე დროა შხაპი გადავივლო და სახლში წავიდე-მეთქი. თურმე ვარჯიში დასრულებული არ ყოფილა. მთავარმა მწვრთნელმა ყველაფერი მშვიდად ამიხსნა და მის მითითებას უსიტყვოდ დავემორჩილე. ძალიან გთხოვთ, მშვიდად აღიქვათ ყველაფერი და სკანდალი არ მოაწყოთ."*

რონალდინიოს თხოვნის მიუხედავად, საფეხბურთო წრეებში ჭორების მთელი ტალღა აგორდა. ითქვა, რომ გაუჩოს ვარჯიში ძალიან ეზარება და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მუქთახორობით გაიტანოს თავი. ამით აღშფოთებული ხელმძღვანელობა კი ინტენსიურად მუშაობს, რათა ბრაზილიელი სასწრაფოდ გაყიდოს.

გუშინ გვიან ღამით ესპანურმა საინფორმაციო სააგენტოებმა „ბარსელონის" პრეზიდენტის, **ჟოან ლაპორტას** განცხადება გაავრცელეს: *„ვიცი, ახლა ერთი ამბავი ატყდება, რონალდინიო არ ვარჯიშობს და დირექტორატი მას იანვრის პირველივე დღეს გაასხვისებსო. ამთავითვე მინდა ვთქვა, რომ ჩვენ ასეთი გეგმა არ გაგვაჩნია. როგორც პრეზიდენტი ოფიციალურად ვაცხადებ, რომ „ბარსელონა" რონალდინიოს არ გაყიდის. უკვე დავილალე ამ თემაზე საუბრით. ბრაზილიელი „ბარსას" ერთ-ერთი ლიდერია. მას ჯეროვნად ვაფასებთ და გვჯერა, რომ საუკეთესო მატჩები ჯერაც არ ჩაუტარებია. შესაძლოა, ახლა გარკვეული პრობლემები აქვს, მაგრამ დარწმუნებული გახლავართ, რომ ეს დროებითი მოვლენაა. რონალდინიოს მსოფლიოს ერთ-ერთ უნიჭიერეს ფეხბურთელად მივიჩნევ."*




რონალდინიო

რეალი

# კალდერონი აღაშფოთეს

## სამწუხაროა, რომ განაწყენებულმა მწვრთნელმა ცილი დამწამაო...

ორი დღის წინ **ფაბიო კაპელომ** „დიარიო მარკას" ინტერვიუ მისცა და სკანდალური განცხადება გააკეთა. „რეალის" ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა წარსული გაიხსენა და აღნიშნა, რომ პრეზიდენტი **რამონ კალდერონი რაულის** იჯარით გასხვისებაზე ძალიან სერიოზულად ფიქრობდა. კაპელოს თქმით, სამეფო კლუბის შეფს ამ მზაკვრულ განზრახვაზე უდიდესი ძალისხმევის ფასად აალებინა ხელი. იტალიელმა ისიც დაამატა, რომ ბატონი რამონი გონსალეს ბლანკოს უსახური თამაშით იმდენად იყო აღშფოთებული, რომ ხშირად მასთან მისალმებასაც კი თავს არიდებდა...

გასაკვირი არ არის, რომ ასეთი მძიმე ბრალდებით შეწუხებულმა კალდერონმა საგანგებო პრესკონფერენცია მოიწვია და კაპელოს აბსოლუტურად ყველა სიტყვა უარყო: *„წარმოდგენა არ მაქვს, რაში დასჭირდა კაპელოს ასეთი რამ. ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენი ყოფილი მთავარი მწვრთნელი უსირცხვილოდ ტყუის. რაულის გასხვისებაზე არასოდეს მიფიქრია. ამ სისულელისთვის ცხოვრების ერთი წამიც კი არ დამიკარგავს. ყველამ იცის, რომ კაპიტანს გუნდის ლიდერად მივიჩნევ. როგორ შეიძლება, პრეზიდენტმა ასეთი ფიგურა კლუბიდან გაუშვას. ეს მართლაც უდიდესი აბსურდია. ეჭვიც არ მეპარება, რომ მადრიდული საფეხბურთო საზოგადოება დასკვნებს თავად გამოიტანს და იოლად მიხვდება, რომ განაწყენებულმა ფაბიო კაპელომ ცილი დამწამა. ჩემთვის უაღრესად უსიამოვნოა, რომ ჩვენს ყოფილ დამრიგებელზე ასე ვსაუბრობ, თუმცა ყველაფერი მისი ბრალია. მან თავად დაიწყო ბრძოლა. არადა, ამისათვის არანაირი საფუძველი არ არსებობდა."*



რამონ კალდერონი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ფრანჩესკო ტოტისთან

# ოქროს ბურთს მესის მივცემდი

## ათიანი რომაელი კაპიტნის ნომერია

იტალიის ნაკრების ყოფილი და რომაელთა მარადიული ლიდერი ფრანჩესკო ტოტი „გაძეტა დელო სპორტის“ კორესპონდენტს გაესაუბრა მძიმე ტრავმის შემდეგ მოედანზე დაბრუნებაზე, ეროვნული გუნდში დაბრუნების შანსებზე, „ინტერთან“ სკუდეტოსთვის ბრძოლაზე, იტალიის ნაკრების პერსპექტივებზე ევრო 2008-ზე და ყოფილ თანაგუნდელ ანტონიო კასანოზე. ერთი სიტყვით, ჟურნალისტმა და ფეხბურთელმა საინტერესო საუბარი გააბეს. სუპერვარსკვლავის მოსაზრებების გაცნობა არ უნდა იყოს უინტერესო საქმე.

**- ცოტა ხნის წინათ წიგნი გამოუშვით. რაზეა ის?**

- წიგნში მოთხრობილია ჩემი ცხოვრების პირველი 30 წლის შესახებ. თავის დროზე მე გადავწყვიტე, რომ ეს წიგნი დამეწერა არა იმიტომ, რომ ახლა ჩემი „რომა“ მწვერვალებს ეთამაშება, არამედ იმ მიზნით, რომ კიდევ უფრო მაღლა აფრენა მოვახერხოთ. ძალიან კმაყოფილი ვარ გუნდში შეკრებილი ბიჭებით და ჩვენი ყველასი მისწრაფებით, საქმე რაც შეიძლება უკეთ ვაკეთოთ.

**- თქვენ პირადად მოედანზე დასაბრუნებლად მზად ხართ?**

- დიახ, მზად გახლავართ. ფიზიკურად იდეალურად ვარ, რადგან მაშინაც კი ძალიან ბევრს ვვარჯიშობდი, როდესაც ბურთს საერთოდ ვერ ვეხებოდი. ასე რომ, კონდიციები შენარჩუნებული მაქვს. იმედი მაქვს, მოედანს ძალიან მალე დავუბრუნდები. უკვე თვენახევარია, რაც არ მითამაშია, ეს კი ჩემთვის ძალიან ბევრია... ყოველ შემთხვევაში, დღემდე არ დამიკარგავს მონდომება, რომ ისეთივე დატვირთვით ვივარჯიშო ხოლმე, როგორც ადრე. იმიტომ, რომ არასოდეს მიფიქრია კარიერის, ვთქვათ, 34 წლის ასაკში დასრულებაზე.

**- ისე ჩანს, რომ სკუდეტო ისევ „რომასა“ და „ინტერს“ შორის გათამაშდება...**

- ჩვენს გუნდებს შორის სხვაობა სულ რაღაც 3 ქულაა. ეს არაა ისეთი საშინელი სხვაობა, რაც გასულ წელს იყო. ვშიშობ, რომ ეს სხვაობა ჩემპიონატის ბოლომდე შენარჩუნდება. ერთადერთი თამაში, სადაც არაფერი გამოგვივიდა, სწორედ „ინტერთან“ საშინაო მატჩი იყო. ყველაფრის მიუხედავად, გადაწყვეტილი ჯერ არაფერია. ჩემპიონატის ბოლომდე წინ კიდევ დიდი მანძილი გვაქვს გასავლელი. გარდა ჩვენი, „მილანისა“ და „იუვენტუსის“ დავიწყებაც არ შეიძლება. დიდი იმედი მაქვს, რომ მანჩინის გუნდს არამხოლოდ დავეწევით, ზურგს უკანაც მოვიტოვებთ.

**- არც ისე იოლი იქნება გუნდის ძირითადში იმ ადგილის დაბრუნება, რომელიც მირკო ვუჩინიჩმა დაისაკუთრა. თუკი ისევ სასტარტოში დადგებით, როგორ უნდა აუხსნათ ეს ჩერნოგორიელს?**

- უკეთესი იქნება, თუკი ყველაფერ ამას მწვრთნელი აუხსნის. რაც უნდა კარგად ესასპარეზა მირკოს ჩემს არყოფნაში, ის ვერაფრით მოახერხებდა ჩემზე უკეთ თამაშს. ამასთან, აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ ის მაღალი დონის ფეხბურთელია. ვინც კი ამბობს, რომ ჩვენ მოედანზე ერთად ვერ ვითამაშებთ, სისულელეს ამტკიცებს. ნებისმიერ შემთხვევაში, „რომა“ ტოტის გარეშეც კარგად თამაშობდა. ახლა კი, ჩემთან ერთად, უფრო გავძლიერდებით. მე გულწრფელად ვამაყობ კოლექტივით. კლუბმა სეზონის წინ ძალიან კარგი სატრანსფერო კამპანია აწარმოა, რისი შედეგებით ტკბობაც ახლა შეიძლება. ისე იშვიათად ხდება ხოლმე, რომ კლუბმა ბევრი ფეხბურთელი შეიძინოს და ყველა მაღალი დონის აღმოჩნდეს. სწორი შენაძენების წყალობით, როგორც ევროპაში, ისე იტალიაში ჩვენ კონკურენტუნარიანი გუნდი გავხდით.

**- რომაული დერბის შემდეგ „ლაციო“ საშუალო გუნდების სიაში შეიყვანეთ. ვისაც ეს ეხებოდა, ხუმრობა ვერ გაიგო. რას ეტყვით მათ ამის თაობაზე?**

- თუკი ასეთი რამეები სწყინთ, ჩემი ბრალი არაა. ეს მხოლოდ ხუმრობა იყო და მეტი არაფერი. ვიღაცამ შეიძლება მათ ჩემი სიტყვები დამახინჯებულად გადასცა, მე მათი მისამართით სიტყვა „პროვინციელები“ არასოდეს მიხმარია. ეს იყო მხოლოდ და მხოლოდ თამაშის ჩემეული შეფასება, მაგრამ ასეთი რამ პირველად არ ხდება. გასულ წელს მათ 3:0 მოგვიგეს და ჩვენი მისამართით საშინელი რამეები ილაპარაკეს. წლეულს ჩვენი პასუხი ასეთი იყო. ასეც უნდა ხდებოდეს.

**- რას ფიქრობთ ევრო 2008-ზე ჩვენს ქვეჯგუფზე?**

- ძალიან მძიმე ქვეჯგუფია. საფრანგეთი, ჰოლანდია და რუმინეთი არასასიამოვნო მეტოქეები არიან, იმიტომ, რომ მათში ყველას შეუძლია ევროპის ჩემპიონატის მოგება. და იმ დროს, როდესაც სამივე ჩვენთანაა, ძალიან ცუდია. იტალიას ყოველთვის შეეძლო, გამოენახა შესაძლებლობა და ნებისმიერი სიტუაციიდან გამომძვრალიყო, რაც უნდა ძნელი ყოფილიყო ამის გაკეთება. ჩვენ ამას ყოველთვის ისე ვახერხებდით, რომ თავი მუდამ ამაყად გვეჭირა და ტალახში არასოდეს ჩავფლულვართ.

**- ნაკრებში თქვენი დაბრუნების შანსი კიდევ არსებობს?**

- ამ საკითხის ირგვლივ ერთმნიშვნელოვანი პასუხი არასოდეს იქნება. თუკი ისე მოხდა, რომ ამა თუ იმ მიზეზით ბევრი თავდამსხმელი გამოგვაკლდა და ამ შემთხვევაში დამიძახებენ, აუცილებლად დავბრუნდები. ამ ეტაპზე კი ეს შეუძლებელია. ჩემი მიზნების შესახებ კარგად მოგეხსენებათ - ნაკრების ქომაგობას სახლიდან ვაპირებ.

**- ამას წინათ თუ ნახეთ, როგორ დაესხა თავს ანტონიო კასანო ანტონიო ულივიერის?**

- მე მქონდა ბედნიერება, რომ ანტონიოსთან ერთად გუნდში მეთამაშა. კასანო იმ იშვიათ ფეხბურთელთა რიცხვში შედის, ვისაც შეუძლია ფეხბურთისგან სიამოვნება მიიღოს და ამით თანაგუნდელებიც გაანებივროს. ამასთან, ყველამ ვიცით, თუ რა რთული ხასიათი აქვს ამ ადამიანს. არ ვიცი, ამ მხრივ შეიცვალა თუ არა მას შემდეგ, რაც „რომადან“ წავიდა, მაგრამ კარგად ვხედავ, რომ ის დღემდე ნიჭიერ ფეხბურთელად რჩება. დარწმუნებული ვარ, თავის შესაძლებლობებს ის კიდევ გამოავლენს.

**- როგორ შეაფასებდით „ფრანს ფუტბოლის“ ოქროს ბურთის წლევანდელ პოდიუმს?**

- ყველაფერი სამართლიანად გადაწყდა. სამივემ ბრწყინვალე სეზონი ჩაატარა, მაგრამ პირველ ადგილზე მე ყველა შემთხვევაში ლიონელ მესის გავიყვანდი, მეორეზე - კაკას, მესამეზე კი კრისტიანო რონალდოს.

**- ელოდით, რომ თქვენ მხოლოდ მეათე ადგილას აღმოჩნდებოდით?**

- ათიანი ეს ჩემი ნომერია მასურაზე... მე უკვე ვუთხარი კურჩის (რომას მეკარე. რედ.), რომ მომავალ წელს აუცილებლად გადმომცეს ოქროს ბურთი (იცინის). ეს ხუმრობით. მართალია, მე ფეხბურთისგან უკვე ძალიან ბევრი მივიღე, მაგრამ ეს პრიზი ჩემთვის სხვა ჯილდოების დარად მნიშვნელოვანია. ეტყობა, პრიზის დამწესებლებისთვის მე უსიამოვნო პირად ვრჩები. ვინ იცის, თუკი ისინი ჩემს წიგნს წაიკითხავდნენ...



ფრანჩესკო ტოტი



არბიტრმა მარინერმა იბრაჰიმა სონკოს ვერცერთი უხეშობა ვერ შანიშნა

უცნაური ამბები

# რატომ ჩაგრავენ ლივერპულს?

## რედინგთან მატჩში დანიშნულმა გამოგონილმა პენალტმა ძველი ამბები ამოატივტივა...

ინგლისის ჩემპიონატის ბოლო ტურში „ლივერპულმა“ „რედინგთან“ 1:3 წააგო. მიმომხილველთა აზრით, შედეგზე დიდი გავლენა იქონია მსაჯის გადაწყვეტილებებმა. არბიტრმა **ანდრე მარინერმა** „რედინგს“ არარსებული პენალტი დაუნიშნა. მერსისაიდელებს კი სამართლიან 11-მეტრიანზე სამჯერ უთხრა უარი. **რაფა ბენიტესს** ამ სეზონში უჩვეულო პენალტები დასჩემდა. „რედინგთან“ მატჩი პირველი არ ყოფილა, რომელშიც ბენიტესის შეგირდები უსამართლო პენალტების გამო დაისაჯნენ. „მირორმა“ რამდენიმე საინტერესო თამაში გაიხსენა.

„ლივერპულის“ უსიამოვნებები პირველ ტურში დაიწყო. „ასტონ ვილასთან“ მატჩისას არბიტრმა **მაიკლ რაილიმ** გადაწყვიტა, რომ **ჯეიმი კარაგერმა** საკუთარ საჯარიმოში ხელით ითამაშა. მან მაშინვე 11-მეტრიანი დანიშნა. „ლივერპულმა“ ის თამაში მაინც მოიგო, 2:1.

მესამე ტურში (ეს „ეშმაკების“ მეორე თამაში იყო) არბიტრმა **რობ სტაილზმა სტივ ფინენი** დააჯარიმა. სამაგიეროდ, „ჩელსის“ წისქვილზე დაასხა წყალი. „არისტოკრატებმა“ იმ პენალტით ანგარიში გაათანაბრეს და მეტოქე ორი ქულა ამოაცალეს ჯიბიდან, 1:1.

მეექვსე ტურში, უკვე ყველასათვის კარგად ნაცნობი **მაიკლ რაილი** ლივერპულელთა კარში მორიგი საეჭვო პენალტს ნიშნავს, ამჯერად „პორტსმუთის“ სასარგებლოდ. **ჰარი რედნაპის** შეგირდები საჩუქარს ვერ ირგებენ. **ხოსე რეინამ ნვანკვო კანუმ** დარტყმა მოიგერია, 0:0.

სამი დღის შემდეგ ტენდენციამ ევროპული მასშტაბი შეიძინა. „პორტუსთან“ ჩემპიონთა ლიგის მატჩში სლოვაკი არბიტრი **ლუბოშ მიხელი ტარიკ სექტაუის** სიმულაციაზე წამოეგო. მე-8 წუთზე „ლივერპულს“ პენალტით გაუტანეს, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს, აღინიშნოს, რომ მერსისაიდელებმაც პენალტით გაათანაბრეს ანგარიში. საბოლოოდ 1:1.

და აი, მივადექით 8 დეკემბერსაც. „რედინგთან“ მატჩში ანდრე მარინერმა მივიწყებული ტრადიცია აალორძინა და ყველა მოლოდინს გადააჭარბა. **ჯეიმი კარაგერმა** მეტოქე საჯარიმოს ხაზიდან ლამის ერთ მეტრში წააქცია, მაგრამ პენალტის დასანიშნად ეს მაინც საკმარისი არგუმენტი აღმოჩნდა.

საინტერესოა, იქნება თუ არა გაგრძელება?

მოსალოდნელი დანიშვნა

# სად მიდის მოურინიო?

## ინტერმა პორტუგალიელთან მოლაპარაკებების ფაქტი კატეგორიულად უარყო, მილანი კომენტარის გაკეთებას არ ჩქარობს...

**მასიმო მორატიმ** კატეგორიულად უარყო ინფორმაცია, თითქოს მისი კლუბი **ჟოზე მოურინიოსთან** მოლაპარაკებას აწარმოებდეს. „გაძეტა დელო სპორტის“ ცნობით, პორტუგალიელმა მწვრთნელმა ინგლისის ნაკრებზე იმიტომ თქვა უარი, რომ „ინტერმა“ თანამშრომლობა შესთავაზა. მილანელთა პრესსამსახურმა სპეკულაციების გასაფანტავად საგანგებო განცხადება გამოაქვეყნა: *„გაძეტა დელო სპორტში“ დაბეჭდილი სტატიის პასუხად, მასიმო მორატი კატეგორიულად უარყოფს რაიმე კავშირს და მით უფრო, მოლაპარაკებას ჟოზე მოურინიოსთან. ეს ინფორმაცია სრული სიცრუეა და ჩვენს კლუბში დაძაბულობის შემოტანას ისახავს მიზნად.“*

მორატის კატეგორიული ტონის შემდეგ ტონი შეცვალეს გაზეთებმაც. ახლა მორატის „მილანში“ დანიშვნა უწინასწარმეტყველეს. „როსონერის“ პრობლემები აქვს. გუნდი უსახურ სეზონს ატარებს. მართალია, მან ვადაზე ადრე გაინაღდა ჩემპიონთა ლიგის ფლეი ოფში ასპარეზობა, მაგრამ სერია A-ში მისი გამოსვლა ვერავითან კრიტიკას ვერ უძლებს. 13 მატჩში დაგროვებული 18 ქულით მილანელებს მე-10 ადგილი უკავიათ და ლიდერ „ინტერს“ 19 ქულით ჩამორჩებიან. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემპიონობის შანსი, ფაქტობრივად, დაკარგულია. გავითვალისწინოთ, რომ იტალიაში საშობაო არდადეგებიც კი არ დაწყებულა. „როსონერის“ მოსალოდნელი სამწვრთნელო გადაადგილებებთან დაკავშირებით კომენტარი არ გაუკეთებია.

### ჰიდინკი ჰოლანდიის ნაკრებში ბრუნდება?

**გუუს ჰიდინკი** უარყოფს ინფორმაციას, თითქოს გაისად ჰოლანდიის ნაკრებში დაბრუნებას აპირებდეს. ჰოლანდიელთა დღევანდელი თავკაცი **მარკო ვან ბასტენი** პოსტს ტოვებს. ის ევროპის ჩემპიონატის დასრულებისთანავე გადადგება. მარკო ძალების მოსინჯვას საკლუბო ფეხბურთში აპირებს. ჰიდინკს კი ეროვნულ გუნდში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. გუუსმა ჟურნალისტებს შეახსენა, რომ რუსეთის საფეხბურთო კავშირს თანამშრომლობის გაგრძელებაზე მოურიგდა. ჰიდინკს კონტრაქტი 2010 წლამდე შესთავაზეს. მწვრთნელი მას უყოყმანოდ დათანხმდა. ჰოლანდიელმა სპეციალისტმა რუსეთი (ინგლისელთა ბედოვლათობის ხარჯზე) ევროპის ჩემპიონატზე გაიყვანა. მოსკოვში მას ძალიან ემადლიერებიან, მაგრამ ჰოლანდიაში მიაჩნიათ, რომ შანსი ჯერ კიდევ აქვთ. შეთანხმების მიუხედავად, ჰიდინკს კონტრაქტზე ხელი ჯერ არ მოუწერია.

### სპორტინგი კეირუშის წინააღმდეგ

ლისაბონის „სპორტინგმა“ **კარლუშ კეირუში** პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა. პორტუგალიელები „მანჩესტერ იუნაიტედის“ მეორე მწვრთნელს სატრანსფერო კანონმდებლობის უხეშ დარღვევასა და უპატივცემულობაში ადანაშაულებენ. კეირუშს ბრალად ედება „სპორტინგის“ ახალგაზრდა ნახევარმცველ **მიგელ ველოსოსთან** ფარული მოლაპარაკებები მისი ინგლისში ტრანსფერისათვის. კეირუში ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს. კონფლიქტს ინტრიგას მატებს ის გარემოება, რომ სერ კარლუში „სპორტინგის“ ყოფილი დამრიგებელია. ადამიანებს, რომლებმაც მას მძიმე ბრალდებები წაუყენეს, ის შესანიშნავად იცნობს. 21 წლის ველოსოს ტრანსფერზე ახალი ინფორმაცია არ გავრცელებულა. „მანჩესტერი“ დაინტერესებულია, მაგრამ „სპორტინგი“ დათმობას არ აპირებს.

### პელეგრინი 2010 წლამდე

გუშინ „ვილიარეალის“ ხელმძღვანელობამ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება მიიღო. **ფრანსისკო როიგმა მანუელ პელეგრინის** კონტრაქტი გაუხანგრძლივა. ჩილელი სპეციალისტი „ელ მადრიგალზე“ 2010 წლის 30 ივნისამდე იმუშავებს. „ვილიარეალის“ უმაღლესი ხელისუფალი შეთანხმებით უაღრესად კმაყოფილი დარჩა: *„პელეგრინი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო მწვრთნელია. უზომოდ ბედნიერი გახლავართ, რომ ის სწორედ ჩვენს გუნდს უხელმძღვანელებს. სენიორ მანუელმა ჩვენი პირობები უპრობლემოდ მიიღო და განაცხადა, რომ „ვილიარეალში“ უდიდესი სიამოვნებით გააგრძელებს მუშაობას.“*

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ენრიკე სერესოსთან

# რეალსა და ბარსელონას ცხოვრებას გავურთულებთ

## როხიბლანკოს პრეზიდენტი ხეტაფესთან მატჩის მთავარი არბიტრის მუშაობით უკიდურესად აღშფოთებულია

„ატლეტიკო“ ესპანეთის მიმდინარე ჩემპიონატის უდიდესი აღმოჩენაა. რა თქმა უნდა, „როხიბლანკო“ უდიდესი ტრადიციების მქონე გუნდია და მის შესახებ ყველამ ყველაფერი იცის, მაგრამ ამ კლუბის ასეთი თამაში და ფანტასტიკური შედეგები მართლაც დიდი აღმოჩენაა. ხავიერ აგირეს ბიჭები ურთულეს თამაშებს იგებენ და საჩემპიონო მარათონში ღირსეულად იბრძვიან. ბუნებრივია, პროგრესში პრეზიდენტ ენრიკე სერესოს უდიდესი ღვაწლი მიუძღვის. „ატლეტიკოს“ უმაღლესი ხელისუფალი ბოლო წლების განმავლობაში თანმიმდევრულ და ეფექტურ პოლიტიკას აწარმოებს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსი, ალბათ სატრანსფერო პოლიტიკაა. სეზონის დაწყების წინ მადრიდელებმა არაერთი მაღალი კლასის მქონე ფეხბურთელი შეიძინეს. ერთი სიტყვით, სენიორ სერესოს მუშაობით ყველა კმაყოფილია. აი, თავად პრეზიდენტი კი „ხეტაფესთან“ წინა ტურის შეხვედრის მთავარი არბიტრის მუშაობითაა უკმაყოფილო. მისი აზრით, სერხიო აგუერო სრულიად უსამართლოდ გააძევეს...

**- აქტივს მორიგი ქულები შემატეთ. ახლა უკვე მესამე ადგილზე ხართ. როგორ ფიქრობთ, სად გადის „ატლეტიკოს“ შესაძლებლობების ზღვარი?**

- მე პროფესიონალი ვარ და გეტყვით, რომ ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმი მომდევნო ტურში „რეკრეატივოსთან“ მატჩს უნდა მოვახმაროთ. მხოლოდ ასე, ნაბიჯ-ნაბიჯ წინ სვლით შეიძლება დიდი შედეგის მიღწევა. თუ უელვაში გავიმარჯვებთ, ყველა პირობა გვექნება იმისთვის, რომ ტურის შემდეგ ვიფიქროთ, ვიდრე მხოლოდ ჩემპიონთა ლიგის საგზურზე. საბედნიეროდ, უკვე თასზეც ღირსეულად ვასპარეზობთ. მალე ესპანეთის სამეფო თასის პრინციპული დაპირისპირებები დაიწყება. მჯერა, ამ ფრონტზეც არ შევირცხვენთ თავს. მიხარია, რომ „ატლეტიკო“ ბრძოლისუნარიან კოლექტივად ჩამოყალიბდა. მართლაც შესამჩნევი პროგრესის მიუხედავად, დაუშვებლად მიმაჩნია, რომ სადღესასწაულო ზარები შემოვკრათ და წინასწარ ვიზეიმოთ. მეორე მხრივ, წარმატებებისაც არ უნდა შეგვეშინდეს და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რათა ამბიციურ ამოცანებს ხორცი შევასხათ.

**- „ხეტაფესთან“ გიჟური მატჩი ჩაატარეთ. ალბათ, ძალიან ბევრი ინერვიულეთ...**

- ეს აშკარად არ იყო ჩვენი საუკეთესო შეხვედრა. მეტოქემ ძალიან კარგად ითამაშა. „ხეტაფე“ თავმოყვარე და სოლიდური გუნდია, თუმცა მიუხედავად ამისა, პირველ ტაიმში მრავალი საგოლე მომენტი შევქმენით. მატჩი ჩვეულებრივი, მშვიდი სცენარით მიმდინარეობდა, მანამ აგუეროსა და აბონდანსიერის მონაწილეობით შემდგარი ეპიზოდი არ ვიხილეთ. სერხიო გააძევეს, სტუმრები კი იძულებულები გახდნენ, კარში ეგრეთ წოდებული მინდვრის მოთამაშე ჩაეყენებინათ. რა თქმა უნდა, ეს არაორდინალური, ან მართლაც გიჟური მოვლენაა.

**- საპრეზიდენტო ლოჟიდან ეს ეპიზოდი როგორ ჩანდა?**

- არ მინდა, მიკერძოებული ადამიანის შთაბეჭდილება დავტოვო, მაგრამ აშკარად დავინახე, რომ [illegible] პირდაპირ ვიტყვი, ჩვენი არგენტინელი ფორვარდის გაფრთხილება შეურაცხყოფად მივიღე. მას ეს არ დაუმსახურებია. არადა, მეორე ეპიზოდშიც არ დაურღვევია წესები. მიუხედავად ამისა, სერხიოს ყვითელი ბარათი ორჯერ უჩვენეს და მოედანი აბსოლუტურად დაუმსახურებლად დაატოვებინეს. წარმოგიდგენიათ, ერთხელაც კი არავისთვის ჩაურტყამს, მაგრამ მაინც წითელი ბარათი უჩვენეს. ნამდვილად გამაოგნებელია.

**- ხომ არ გეჩვენებათ, რომ მსაჯებმა მას შემდეგ აითვალწუნეს, რაც „რეკრეატივოსთან“ მატჩში გოლი ხელით გაიტანა?**

- არ ვიცი მსაჯების ბრალია, თუ ვისი, მაგრამ ფაქტია, რომ სერხიოს გარშემო ძალიან არაჯანსაღი სიტუაცია შეიქმნა. არ უარვყოფ, მან ხელით შეაგდო, მაგრამ განა მესიმაც იგივე არ გააკეთა? ამის შემდეგ ლეო არავის აუთვალწუნებია. პირიქით, ამბობენ, რომ პლანეტის საუკეთესო მოთამაშეა და თაღლითობაშიც არავინ ადანაშაულებს. რა გაეწყობა, ეს ფეხბურთია და მას უფრო კურიოზული და უსამართლო ისტორიებიც ახსოვს.

**- თქვენი ძალიან კარგად მესმის, მაგრამ თავადაც უნდა აღიაროთ, რომ მსაჯს ჰქონდა ეჭვის საფუძველი.**

- ჩემი შეფასებით ორივე შემთხვევაში პენალტი უნდა დაენიშნათ. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, არბიტრი გადაწყვეტილებას მხოლოდ ეჭვის საფუძველზე არ უნდა იღებდეს. მით უმეტეს, როცა ამდენად სერიოზულ გადაწყვეტილებასთან გვაქვს საქმე. ამ დროს ნებისმიერი მსაჯი ბოლომდე უნდა იყოს დარწმუნებული.

**- მაინც ვის, ან რას ადანაშაულებთ იმაში რაც ხდება?**

- ყველაზე ცუდი ის არის, რომ აგუეროს თაღლითისა და ლაჩარი ადამიანის იმიჯი ჩამოუყალიბდა. ვიცი, მსაჯების დიდი ნაწილი მასზე სწორედ ასე ფიქრობს. ფეხბურთში საკამათო ეპიზოდებს თავს ვერასოდეს დააღწევ. იმის შიშით, რომ შენი და შენი კოლეგების მიერ თაღლითად შერაცხულმა ადამიანმა არ გაგაცუროს და თავის დაზღვევის მიზნით წითელ-ყვითელი ბარათები აფრიალო სრულიად უდანაშაულო ფეხბურთელს ურთულეს მდგომარეობაში აგდებ. უდავო ფაქტია, რომ აგუეროს იმის მეასედსაც არ პატიობენ, რისთვისაც სიტყვიერადაც კი არ საყვედურობენ. კიდევ ერთხელ გავიმეორებ, რომ „ხეტაფესთან“ ის სრულიად დაუმსახურებლად გააძევეს.

**- ძალიან ცუდია, როცა ფიქრობ, რომ ადამიანს უსამართლოდ მოეპყრნენ, მაგრამ ამავდროულად ერთ დადებით მხარეზეც უნდა ვისაუბროთ. აგუეროს გაძევების შემდეგ „ატლეტიკომ“ ურთულეს გამოცდას გაუძლო. თქვენმა გუნდმა მართლაც ძალიან ღირსეულად ითამაშა...**

- გეთანხმებით. წინა წლებში სტუმარ გუნდებს „კალდერონზე“ გამარჯვება არ უჭირდათ. „ხეტაფესაც“ მოუგია და სხვა კლუბებს, მაგრამ წელს მათ სულ სხვა სცენარი და თამაში იხილეს. არ შემიძლია, ამ ტრანსფორმაციით გამოწვეული ბედნიერება არ გამოვხატო. ცხადია, გულშემატკივრებიც ყველაფერს კარგად ხედავენ და კმაყოფილებას გამოთქვამენ. ჩვენ ხომ ყველაფერს მათთვის ვაკეთებთ. როგორც იქნა, „ვისენტე კალდერონზე“ სიმშვიდემ დაისადგურა.

**- ინჩასებს ყველაზე მეტად ალბათ ის ახარებთ, რომ „ატლეტიკო“ გამარჯვებებს ლამაზი ფეხბურთის თამაშით იპოვებს.**

- ამჯერადაც აბსოლუტურად გეთანხმებით. განვლილი 15 ტურის განმავლობაში არაერთი სანახაობრივი მატჩი ჩავატარეთ, თუმცა სეზონის დასაწყისში სერიოზულ პრობლემებს გადავეყარეთ. ქულას ქულაზე ვკარგავდით. პრესაში ჭორები გაჩნდა, სერესო ხავიერ აგირეს გათავისუფლებას აპირებსო. სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ მსგავსი რამ აზრადაც არ გამივლია. ჩვენს მწვრთნელს უსიტყვოდ ვენდობოდი და ვაცნობიერებდი, რომ მისი იდეებისთვის ხორცის შესხმას დრო სჭირდებოდა. ასეც მოხდა, შემადგენლობა შეთამაშდა. ახალწვეულებმა ადაპტაციასთან დაკავშირებული პრობლემების დიდი ნაწილი დაძლიეს. ყოველივე ამის შედეგს თითოეული ჩვენგანი ხედავს.

**- ხომ არ გეჩვენებათ, რომ ტრანსფერებში ძალიან დიდი ფული დახარჯეთ?**

- დიეგო ფორლანი დღეს 22 მილიონ დოლარად გვყავს შეფასებული. ვფიქრობ, ეს სრულიად ადეკვატური თანხაა. ფორლანი სწორედ 22 მილიონი ღირს. არადა, სეზონის დაწყების წინ ჩვენ ის უფრო იაფად ჩავიგდეთ ხელში. შესაძლოა, მართლაც ბევრი ფული დავხარჯეთ, მაგრამ ამბიციური მიზნების მისაღწევად ნიჭიერი ფეხბურთელები გვჭირდებოდა. რომ არა ეს შემადგენლობა, „ხეტაფესთან“ მატჩს წავაგებდით. ლაუდრუპის ბიჭებმა შესანიშნავად ითამაშეს, მაგრამ „ატლეტიკომ“ მაინც მოიგო. დარწმუნებული გახლავართ, რომ „ხეტაფე“ ასეთი თამაშით მრავალ გუნდს გაამწარებს.

**- ბოლო ოთხი თამაშია, გოლი არ გაგიშვიათ. არადა, სულ ცოტა ხნის წინ სამ მატჩში ერთბაშად 10 ბურთი მიიღეთ. მართალია, იმავე ორთაბრძოლებში თავად 11 გოლი გაიტანეთ, მაგრამ მაშინ თავადვე აღიარეთ, რომ გასამარჯვებლად მოწინააღმდეგეთა კარის ოთხჯერ დალაშქვრა არ უნდა გჭირდებოდეთ. უმცირეს დროში ეს სერიოზული პრობლემა აღმოიფხვრა. ვიმეორებ, ზედიზედ ოთხ მატჩში ერთი გოლიც არ გაგიშვიათ.**

- მხოლოდ დაცვის პროგრესზე საუბარი დაუშვებლად მიმაჩნია. ჩემი აზრით, მატჩიდან მატჩამდე ვიზრდებით და ვპროგრესირებთ. ბიჭები საკუთარ საქმეს უდიდესი პასუხისმგებლობით ეკიდებიან. ისინი სინდისის ქენჯნას გრძნობენ, როცა რაიმე კარგად არ გამოსდით. ყველა თავს იკლავს და ბოლომდე იხარჯება. რა თქმა უნდა, არ შემიძლია, რომ ბიჭების შრომა არ დავაფასო. ბოლოს და ბოლოს პრეზიდენტი გახლავართ. წარმოუდგენლად ბედნიერი გახლავართ, რომ „როხიბლანკოს“ მოთამაშეები განურჩევლად ასაკისა და ამპლუისა ყველა ბურთისთვის იბრძვის. მოკლედ, უკვე თამამად შემიძლია განვაცხადო, რომ ევროპული დონის გუნდი ჩამოვაყალიბეთ.

**- აქვე ისიც უნდა თქვათ, რომ ფორტუნა გწყალობთ...**

- განა დრო არ იყო, ფორტუნას წყალობის თვალით გადმოეხედა? „ატლეტიკო“ უიღბლობის გამო წლების განმავლობაში იტანჯებოდა. ადრე 300-ჯერ მაინც უნდა დაგვერტყა კარში, რომ ბურთი ძელისთვის გაგვერტყა. გოლის გატანას კი კიდევ უფრო მეტი ძალისხმევა სჭირდებოდა. ამის გათვალისწინებით, ყველას ვთხოვ, ნუ დაგვაყვედრიან, თუ რომელიმე მატჩში მეტოქეზე ოდნავ მეტად გაგვიმართლებს.

**- ყველაზე ძლიერ კონკურენტებად „რეალსა“ და ბარსელონას მიიჩნევთ?**

- რა თქმა უნდა, ისინი წელსაც უმთავრეს ფავორიტებად არიან შერაცხულები, მაგრამ გულშემატკივრებს პირობას ვაძლევ, რომ მადრიდელებსა და კატალონიელებს ცხოვრებას გავურთულებთ. [illegible] რა რომ პირველ წრეში ორი[illegible] ცხდით. ჯერ ყველაფერი წინ[illegible]

ილია ნიკოლაიშვილი




ატლეტიკოს პრეზიდენტი ენრიკე სერესო




სერხიო აგუერო

ატლეტიკო

## აგუერო თავს დაჩაგრულად გრძნობს

### მადრიდელები იჩივლებენ

**სერხიო აგუეროს** სატკივარზე **ენრიკე სერესოს** ინტერვიუშიც ვისაუბრეთ, მაგრამ საჭიროდ მივიჩნიეთ, რომ ეს თემა განვავრცოთ და რამდენიმე დეტალზე გავამახვილოთ ყურადღება. შეგახსენებთ, აგუერომ „ხეტაფესთან“ მატჩში ყვითელი ბარათი ორჯერ მიიღო. ერთხელ სიმულაციისთვის, მეორედ კი ხელით თამაშის ბრალდების გამო. მადრიდული კლუბის ხელმძღვანელები ვერდიქტს არ ეთანხმებიან და ესპანეთის ფეხბურთის სამეფო ფედერაციის სადისციპლინო კომიტეტში აპელაციის შესატანად ემზადებიან. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით, „როხიბლანკოს“ ერთ-ერთი მსხვილი აქციონერის, **მიგელ ანხელ ხილის** განცხადებას გაგაცნობთ: „ასეთი უსამართლობა იშვიათად თუ მინახავს. დიდი ხანია მსგავსი ფაქტის შესახებ არც კი მსმენია. აბსოლუტურად გაუგებარი და რაც ყველაზე მტკივნეულია, უსამართლო მიზეზის გამო ჩვენი ერთ-ერთი წამყვანი ფეხბურთელი მოედნიდან გააძევეს და ერთმატჩიანი დისკვალიფიკაციითაც დასაჯეს. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე სერხიო მომდევნო შეხვედრაშიც ვერ ითამაშებს. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ სადისციპლინო კომიტეტმა ჩვენი აპელაცია დააკმაყოფილოს. გუნდის იურისტები სარჩელზე მუშაობენ და როგორც კი დოკუმენტი მზად იქნება, საქმეს მსვლელობას მივცემთ.“

ინციდენტს, რა თქმა უნდა, თავად აგუეროც გამოეხმაურა. კომენტარი მან „კადენა კოპეს“ სატელევიზიო ეთერის საშუალებით გააკეთა: „ვფიქრობ, მსაჯმა ორივე შემთხვევაში არასწორი გადაწყვეტილება მიიღო. პირველ ეპიზოდში ძალიან სწრაფად მოვრბოდი და ამ დროს მოწინააღმდეგე შემეხო. სრულიად ბუნებრივად წავიქეცი. ეს მომენტი მოგვიანებით ვიდეო ჩანაწერის საშუალებით ვიხილე და გულწრფელად ვიტყვი, რომ პენალტი არ ყოფილა, თუმცა არც სიმულაციას ჰქონია ადგილი. შესაბამისად ყვითელ ბარათს არ ვიმსახურებდი. საინტერესოა, რა მოუვიდოდა თავად არბიტრს იმ სისწრაფით რომ გამოქცეულიყო და ამ დროს ვინმე შეხებოდა. მერწმუნეთ, წონასწორობის შენარჩუნება შეუძლებელი გახლდათ. მეორე ეპიზოდშიც უსამართლოდ დამსაჯეს. ლიხტმა ხელი მკრა. ეს კი აშკარა პენალტი გახლდათ. როგორც შემდეგ გავიგე, არბიტრმა ჩათვალა, რომ ხელით ვცდილობდი გოლის გატანას. სრული აბსურდია. ვიმეორებ, ხელი მკრეს და შემდეგ რა მოხდა აბსოლუტურად არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. ინერციით შესაძლოა, ბურთს მართლაც შევეხე ხელით, მაგრამ ეს მიზნობრივად არ გამიკეთებია. კვლავ წონასწორობა დავკარგე და ვცდილობდი, მოხერხებულად წავქცეულიყავი. თუ ამ დროს ბურთი გადამელობა, რა ჩემი ბრალია?“

და მაინც, „ატლეტიკოსა“ და „ხეტაფეს“ დაპირისპირების მთავარ არბიტრს, **კარლოს გომესს** მომხდართან დაკავშირებით სრულიად განსხვავებული მოსაზრება აქვს: „აგუერო ყველაფერს აკეთებდა იმისთვის, რომ მოვეტყუებინე და არარსებული 11-მეტრიანები დამენიშნა. საფახბურთო კანონების მიხედვით მსგავსი ქმედება ყოველთვის ყვითელი ბარათით ისჯება. არგენტინელმა ეს ორჯერ გააკეთა და ბუნებრივია, [illegible] გავაფრთხილე. მათი უფლებაა აპელაცია შემოიტანონ, მაგრამ მე თავს დამნაშავედ არ მივიჩნევ.“

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# ოსეთის სახელით, კატალონიის წინააღმდეგ

თბილისში გუშინ ქართველ მოჭადრაკეთა ერთი ნაწილი დაბრუნდა ესპანეთიდან. როგორც ადრე მოგახსენეთ, ესპანეთში, კერძოდ, კატალონიის რამდენიმე ქალაქში ჩვენებურმა მოჭადრაკეებმა რამდენიმე ტურნირში მიიღეს მონაწილეობა და წარმატებებიც მოიპოვეს.

მთავარი იყო გუნდური ტურნირი, სადაც ჩვენმა გუნდმა - **თამარ ხმიადაშვილმა, მაკა ფურცელაძემ, ნინო ანაკიძემ** და **დეა გოგიშვილმა** სამხრეთი ოსეთის სახელით იასპარეზა კატალონიის, ბასკეთისა და შოტლანდიის გუნდების წინააღმდეგ და გაიმარჯვა კიდეც.

გუშინვე, ჭადრაკის სასახლეში მათ შეხვედრა მოუწყვეს და იქაური შთაბეჭდილებებზე გაესაუბრნენ. „ლელოს" ცალკე ესაუბრნენ **ნინო ანაკიძე** და **დეა გოგიშვილი** და, ცხადია, ამ საუბრის შინაარსს ქვემოთ გაგაცნობთ, თუმცა იქამდე გვსურს, რამდენიმე მომენტს გავუსვათ ხაზი: პირველ რიგში იმას, რომ გუშინ დელეგაციას არ ჩამოჰყოლია **მაკა ფურცელაძე**. მიზეზი საკმაოდ უჩვეულო და სამწუხაროა: მაკამ ბარსელონის ავტოვაგზალში, ნოუთბუკი და მასთან ერთად პასპორტი, ბილეთები, დაზღვევა და სხვა საჭირო დოკუმენტაცია დაკარგა. იგი იქაური ქურდბაცაცების მსხვერპლი გახდა. სამწუხაროდ, საბუთების და ბილეთის აღდგენა დროზე ვერ მოესწრო, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ერთი კვირა იყო დრო. დღეისთვის ფურცელაძე ბარსელონაშია ნათესავთან შეკედლებული და საჭირო საბუთებს ელის. სავარაუდოდ იგი თბილისში სამიოდ დღეში დაბრუნდება. გუშინდელ შეხვედრაზე არ იმყოფებოდა **თამარ ხმიადაშვილიც**, რომელიც ხანგრძლივ მგზავრობას დაელალა მოსვლა ვერ შეძლო.

**- ნინო, დეა, კარგა გვარიანი ისტორია გადაგხდენიათ ესპანეთში...**

**დეა გოგიშვილი:** - ვიზიტი მართლაც საინტერესო გამოდგა და უამრავი ემოციით იყო დატვირთული. სამწუხაროდ, უსიამოვნებებიც თან გვახლდა, მაგრამ დადებითი ბევრად სჭარბობდა და ამიტომ ძალიან კმაყოფილები ვართ. მაკას ამბავი იცით - ის ჩვენთან ერთად ვერ ჩამოვიდა; თუმცა გეტყვით, რომ ბარგი მეც დავკარგე - ხუთი დღე ჩემი ჩემოდანი არსად ჩანდა. აღმოჩნდა, რომ თბილისიდან არ დაუკრავთ ბარგზე სათანადო იარლიყი და ამიტომ ბარსელონაში ვერ ჩამოვიდა. მადლობა ღმერთს, რომ ხუთი დღის შემდეგ ვიპოვეთ. დადებითზე მრავლად შეიძლება საუბარი: პირველ რიგში აღმაფრთოვანა მასპინძელთა ყურადღებამ, სტუმარმასპინძლობამ. ქუჩაში თუ შენობაში ყველა - ნაცნობი თუ უცნობი გიღიმის და გესალმება...

**ნინო ანაკიძე:** - მართლაც საოცარი ხალხია, დიდი პატივით მიგვიღეს და მთელი ტურნირის მანძილზე პატივისცემას და ყურადღებას ვგრძნობდით. ძალიან მომეწონა ბარსელონა; ანტონიო გაუდის არქიტექტურით აშენებული ეკლესია და სხვა ბევრი რამ. ბარსელონას დათვალიერებისას გიდობას ანა მათნაძე მიწევდა, რომელიც იყო კიდეც ამ ვიზიტის მთავარი ინიციატორი და ორგანიზატორი. ანას იქამდე არ ვიცნობდი და ძალიან ბედნიერი ვარ, რომ გავიცანი, - დიდებული ადამიანი ყოფილა. ულრმესი მადლობა მსურს ვუთხრა ანას გამოჩენილი ყურადღებისთვის. ისეთი კმაყოფილი ვარ, რომ ესპანურის შესწავლის სურვილი გამიჩნდა.

**დეა გოგიშვილი:** - ანას არც მე ვიცნობდი და მართლაც შესანიშნავი ადამიანი ყოფილა. დიდი მადლობა მას. ბარსელონა მეც დავათვალიერე, თუმცა ამ საქმეში იქ მცხოვრები ნათესავები დამეხმარნენ. ამ ქალაქში უამრავი რამ არის, რაც აღფრთოვანებას იწვევს, მაგრამ უფრო მაინც პორტს გამოვყოფ; გაუდის შემოქმედებამაც ძალიან მომხიბლა...

**- ბარსელონაში მხოლოდ ოთხი დღე იყავით, ამის შემდეგ გადახვედით ბენიდორმში, სადაც საკმაოდ წარმატებით ითამაშეთ, თუმცა რაღაც უცნაური წესი მოქმედებდა ტურნირზე. აგვიხსენით, როგორი იყო ეს წესი.**

**დეა გოგიშვილი:** - ბენიდორმში საერთაშორისო ტურნირი ჩატარდა; ქალები და ვაჟებიც ერთად თამაშობდნენ. ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს, რომ 2300-ზე მეტი რეიტინგის მქონეებს არ მიეღოთ მონაწილეობა; ის კი არა, ვისაც ერთხელ მაინც ჰქონდა 2300-ზე მეტი, მას არ შეეძლო თამაში. ამის გამო ვერ ითამაშა მაკა ფურცელაძემ. გამოყოფილი იყო 16-წლამდელთა შედეგებიც. ნინომ მეცხრე ადგილი დაიკავა საერთო ჩათვლაში, მე - მეხუთე. ხლო 14 წლამდელებში ანაკიძემ მეორე ადგილი ილო, მე 12 წლიანებში გავხდი პირველი. ამის გარდა გადმომცეს სპეციალური პრიზი, რომელიც საპრიზოზე გასულ ყველაზე უმცროსი მოჭადრაკისთვის იყო განკუთვნილი.

**- რახან მასპინძლებმა კარგად მიგიღეს და თქვენც წარმატებით ითამაშეთ. ალბათ ურთიერთობის გაგრელებაც შემოგთავაზეს...**

**ნინო ანაკიძე:** - მათი სურვილი ნამდვილად არის, მომავალ წელსაც ვესტუმროთ კატალონიას, მაგრამ მოხერხდება თუ არა, რთული სათქმელია. წელს, როგორც იცით, სამხრეთი ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელობის ფინანსური დახმარებით გავემგზავრეთ. ამისთვის დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ფედერაციის პრეზიდენტს მაია ცაბოშვილს და ვიცე-პრეზიდენტს მურად იზორიას.

**დეა გოგიშვილი:** - მადლობა მეც მინდა ვუთხრა სამხრეთი ოსეთის ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელობას და განსაკუთრებით ანა მათნაძეს, რომლის დახმარებითაც ორ კვირაზე მეტი შეღავათიანი პირობებით ვიცხოვრეთ და ვითამაშეთ ესპანეთში. იმედია, მომავალ წელსაც შევძლებთ გამგზავრებას და კვლავაც კარგი შედეგებით დავბრუნდებით.

**ზვიად შათირიშვილი**



ფურცელაძე, ხმიადაშვილი, ანაკიძე, გოგიშვილი



კატალონია-ოსეთი. მარჯვნივ მაკა ფურცელაძე

ძიუდო



ზურაბ ზვიადაური

# ზვიადაური ბაკურიანით დაიწყებს

საქართველოს ჩემპიონატის შემდეგ ძიუდოისტები მხოლოდ რამდენიმე დღე დაისვენებენ, 16 დეკემბერს კი ბაკურიანში გაემგზავრებიან შეკრებაზე. ეს მომავალი სეზონისთვის მზადების პირველი ეტაპია, რომელსაც, სხვებთან ერთად, ოლიმპიური ჩემპიონი **ზურაბ ზვიადაურიც** იწყებს.

მიზეზთა გამო, 2005 წლის მსოფლიო პირველობის შემდეგ ზვიადაური აქტიურ სპორტს, პრაქტიკულად, ჩამოშორდა - დაკარგა ნაკრებში ადგილი და ვერც დიდ ტურნირებზე გამოდიოდა. ბუნებრივია, დაკარგული პოზიციების აღდგენა ყველა სპორტსმენის ოცნებაა და გამონაკლისი არც ზვიადაურია - წლევანდელ სეზონსაც ნაკრებში დაბრუნების იმედით შეხვდა, მაგრამ აქ უკვე ჯანმრთელობამ უმუხთლა. ზოგადად, იგი ძალზე ფათერაკიანი მოჭიდავეა და ტრავმები მის კარიერაში იშვიათობა არაა. ახლაც ძველმა სატკივარმა - წელის ტკივილმა შეაწუხა, რომელიც არათუ დაუამდა, პირიქით, გაუძლიერდა კიდეც. რაკი მდგომარეობაც თანდათან უარესდებოდა და ვერც ნაკრებში ხვდებოდა, ოპერაციის გაკეთება გადაწყვიტა. იგი სამკურნალოდ გერმანიაში, ჩვენთვის არცთუ კარგად მოსაგონარ ძიუდოს კლუბ „აბენსბერგში" გაემგზავრა, სადაც ოპერაცია კლუბის ექიმებმა გაუკეთეს. იგი უკვე შეუდგა ვარჯიშს, თუმცა ჯერ ძალზე მსუბუქად იტვირთება.

ზვიადაური მთელი ამ გაცდენილი პერიოდის განმავლობაში ნაკრებში დაბრუნებით იქადნებოდა. რაღა დაგიმალოთ და ამისი დიდად არ გვჯეროდა, რადგან მსგავსი რამ ადრეც ბევრჯერ განუცხადებია, თუმცა უმეტესად დანაქადნად რჩებოდა, რადგან არაა მკაცრი რეჟიმისტი და სავარჯიშო რიტმში ჩაჯდომა ყოველთვის უჭირდა. თუმცა როგორც ნაკრების თავკაცი შოთა ხაბარელი და ნაკრების სამზარეულოში ჩახედული სხვა მწვრთნელები ამბობენ, ამჟამად ზვიადაურის მიდგომა აშკარად განსხვავებულია და მართლა გულითაა მონადინებული დიდ სპორტში დასაბრუნებლად.

როგორც გითხარით, ზვიადაური ჯერ ძალზე მსუბუქად ვარჯიშობს და სრულ დატვირთვებამდე კვლავაც შორია. მისი სავარჯიშო გრაფიკი ძირითადად სირბილით შემოიფარგლება, ხალიჩაზე კი ვერ შედის. ბაკურიანის შეკრება საერთო ფიზმომზადებისთვისაა განკუთვნილი, თუმცა ზვიადაური საგანგებო განრიგით ივარჯიშებს - აქცენტი კვლავაც სირბილზე და ფუნქციონალურ მომზადებაზე გაკეთდება, რადგან ტრენაჟორებზე, შტანგებზე და ამგვარებზე ვარჯიშს ჯერ ვერ შეძლებს. ამის მიუხედავად, ექიმები იმედოვნებენ, რომ თბილისის ტურნირამდე ყველა პრობლემა მოგვარდება და შეჯიბრებისთვის სრულად მოემზადება. რაც მთავარია, წელი აღარ აწუხებს და ცოტა ხნის წინ ნატკენი თითიც მოურჩა. მცირე პრობლემაა ფეხზეც, სადაც ადრე ნაოპერაციებ მუხლზე მცირე სისხლჩაქცევაა, მაგრამ სერიოზული არც ეს ტრავმაა. ხაბარელი მის გამოყვანას თითქოს საქართველოს ჩემპიონატზეც აპირებდა, მაგრამ ასე მალე ვერ გამოჯანმრთელდა. იმედია, თბილისის ტურნირამდე პრობლემები მართლაც მოგვარდება.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ისევ რჩება ერთი, ზემონახსენები და სერიოზული პრობლემა - ვარჯიშებისადმი მიდგომა. უფრო სწორად, გარემომცველი სინამდვილისგან გაქცევა, რადგან რეჟიმის დაცვას ხშირად სამეგობროს გამო ვერ ახერხებს. ამ საფრთხეს ხაბარელიც ხედავს, თუმცა შეკრებებისა ეიმედება, სადაც იმდენი შემწუხებელი არ ეყოლება. ამბობდნენ, რომ წყნარ ვითარებაში მოსამზადებლად იგი თითქოს მშობლიურ ახმეტაში დაბრუნებას აპირებდა, მაგრამ ხაბარელი ამ ვარიანტს თითქმის ბოლომდე გამორიცხავს. მისი თქმით, ზვიადაური მშობლიურ ქალაქს ხანმოკლე ვიზიტებით თუ ესტუმრება და ახმეტაშიც მხოლოდ მაშინ წაივარჯიშებს, მაგრამ მზადების ეტაპს ნაკრებთან ერთად გაივლის.

ზვიადაურმა კი გადაწყვიტა ნაკრებში დაბრუნება, მაგრამ იქ ლიდერის ადგილი უკვე მყარად დახვდა დაკავებული - მის არყოფნაში ირაკლი ცირეკიძე მსოფლიო ჩემპიონი გახდა. თუ ზვიადაური ისევ ტრავმებმა არ გატანჯეს და ვარჯიშებსაც სერიოზულად მოეკიდა, ამათი მეტოქეობით ძიუდოს ქომაგთ წინ დიდი სიამოვნება გველოდება. ამ წონაში ანგარიშგასაწევი ფალავნები სხვებიც არიან, მაგრამ მხოლოდ ამ დუეტის კონკურენციაზე რომ ვილაპარაკოთ, ესეც რად ღირს. როგორი საქმეა - ერთ წონაში ადგილისთვის ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონი იბრძვიან!!! ასეთ კონკურენციას მსოფლიოს ნებისმიერი ნაკრების მწვრთნელი ინატრებდა.

**ირაკლი თავაძე**

თარიღი

**ნელი სალაძე**. დაიბადა 12.12.1939, თბილისი. მხატვრული ტანვარჯიში. სსრკ ორგზის ჩემპიონი ჯგუფურ ვარჯიშში (1961, 62), სსრკ უნივერსიადაში გამარჯვებული (1964). მწვრთნელად მუშაობა დაიწყო 1971 წლიდან, იყო საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი (1976-93), სსრკ ნაკრების მწვრთნელთა შტაბის წევრი (1977-82). მისი ხელმძღვანელობით საბჭოთა ნაკრები მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი გახდა (1979). ავარჯიშებდა ბელგიისა (1999-2001) და იაპონიის (1992, 96, 2000, 02) კლუბების სპორტსმენებს. მისი აღზრდილები არიან: ირინე გაბაშვილი, ლალი დოლიძე, ირინა ჟემჩუჟინა, მაია ნადიბაი[redacted]ფშიძე, ელისო ბედოშვილ[redacted]ურებული მწვრთნელი. [redacted]ენის კავალერი.



ნელი სალაძე (მარჯვნივ)

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## რაგბი



ლონსი-დომონი. მარჯვნივ რატი ურუშაძე

ლეგიონერები

# დადუნაშვილმა ისევ გაიტანა

**საფრანგეთის ჩემპიონატის ფედერალურ დივიზიონებში გამართული მორიგი ტური ქართველ მორაგბეთა გუნდების უმრავლესობისთვის წარმატებული აღმოჩნდა. ლიდერთა ჯგუფში მყოფებმა პოზიციები კიდევ უფრო გაიმყარეს, რამდენიმემ კი მდგომარეობა გაიუმჯობესა და რეგულარული გათამაშების დასრულებამდე ექვსი ტურით ადრე პლეი ოფში მოხვედრის შანსი გაუჩნდა.**

ფედერალ 1-ის A ჯგუფში კვლავ დამაჯერებლად თამაშობენ ქართველთა გუნდები, „ბობინი“ და „ორლეანი“. **დავით გასვიანისა და შალვა სუთიაშვილის** „ბობინიმ“ შინ დაამარცხა „ვანი“ 21:6. სუთიაშვილი ზედიზედ მეორე მატჩია, მეორე ხაზში თამაშობს, გასვიანი განაცხადში ისევ არ იყო.

საკუთარ მოედანზე, უშუალო კონკურენტ „ტურთან“ ურთულესი ბრძოლა მოიგო **ირაკლი აბუსერიძის** „ორლეანმა“ 12:10. აბუმ თავიდან ბოლომდე ითამაშა.

სტუმრად **სანდრო ესაკიას** „სენ ნაზერთან“ გამარჯვებით (21:18) **სოსო ნიკოლაენკოს** „რუანმა“ საპლეიოფო ოთხეულში შეაღწია. ნიკოლაენკო განაცხადში არ იყო. ესაკია თამაშში მეორე ტაიმიდან ჩაერთო. სტუმრადვე დამარცხდა „პუატიესთან“ **დიმა ხოჭოლავას** „სერჟი პონტუაზი“ 6:9.

A ჯგუფი. 1. **ბობინი - 28 ქულა, 2. ორლეანი - 26,** 3. ტრი - 23, **4. რუანი - 21,** 5. ვანი - 19, **6. სენ ნაზერი - 15, 7. სერჟი პონტუაზი** - 12, 8. პუატიე - 9.

B ჯგუფში საგრძნობლად გაიუმჯობესა სატურნირო მდგომარეობა **რატი ურუშაძის** „ლონსმა“. ლონსელებმა შინ **ზურაბ მჭედლიშვილის, გიორგი ნემსაძისა** და **ალექსანდრე მარგველაშვილის** „დომონი“ დაამარცხეს 22:12. ურუშაძემ ისევ მეორე ხაზში ითამაშა. თავიდან ბოლომდე ითამაშეს პარიზელთა გუნდში მჭედლიშვილმა და მარგველაშვილმა. ნემსაძე 65-ე წუთზე შეცვალეს.

საკუთარ მოედანზე „დიჟონს“ მინიმალური ანგარიშით სძლია **პალიკო ჯიმშელაძის** „შამბერიმ“ 13:12. ჯიმშელაძე განაცხადში არ იყო. ასევე შინ მოიგო შეხვედრა **ელიზბარ ყუფარაძის** „ვილერბანთან“ **ვიქტორ დიდებულიძის, გიორგი ჩხაიძისა** და **დავით დადუნაშვილის** „მასიმ“ 14:9. მასელებმა დადუნაშვილის დაბრუნების შემდეგ ზედიზედ მეორე შეხვედრა მოიგეს. ზედიზედ მეორე ლელო მიითვალა დადუნაშვილმაც შეხვედრის 63-ე წუთზე. მან თავიდან ბოლომდე ითამაშა. დიდებულიძე 44-ე წუთზე შეცვალეს. ჩხაიძე განაცხადში არ იყო. ყუფარაძე 57-ე წუთზე შეცვალეს.

B ჯგუფი. 1. ბურგ ან ბრესი - 26 ქულა, 2. შალონი - 23, 3. დიჟონი - 21, **4. ლონსი - 18, 5. დომონი - 16, 6. მასი - 15,** 7. ვილერბანი - 15, **8. შამბერი - 13.**

C ჯგუფში ხუთმატჩიანი წაგებების სერიის შემდეგ, ბოლოსდაბოლოს გაიმარჯვა **დიმა პავლოვის** „ნიცამ“. ჩვენებურის გუნდმა შინ დაამარცხა „ლა სეინი“ 16:8. „ნიცას“ 14 ქულა აქვს და ახლა ბოლოსწინა მე-7 ადგილზეა.

D ჯგუფში კვლავ არ მოუგია **ირაკლი გუნდიშვილის** „მიიოს“, რომელმაც ამჯერად შინ წააგო „შატორენართან“ 9:15. გუნდიშვილმა თავიდან ბოლომდე ითამაშა. „მიო“ 5 ქულით ბოლო ადგილზეა.

F ჯგუფში კვლავ გაიმარჯვა **თედო ზიბზიბაძის** „პერიგომ“. ამჯერად ჩვენებურის გუნდმა სტუმრად დაამარცხა აუტსაიდერი „მირანდი“ - 14:13. ზიბზიბაძემ თავიდან ბოლომდე ითამაშა. „პერიგო“ 26 ქულით ახლა მესამე ადგილზეა და ჯგუფის ლიდერი „ტიროსი“ მას მხოლოდ ორი ქულით უსწრებს.

ფედერალ 2-ში მერვე ტურში ქართველ მორაგბეთა სამივე გუნდმა გაიმარჯვა. A ჯგუფში **დავით ბოლქვაძე**ვილის „ლილმა“ შინ დაამარცხა გათამაშების ლიდერი „სურესნე“ 12:9 და ახლა 21 ქულით მეორე ადგილზეა. „სურესნეს“ 22 ქულა აქვს.

C ჯგუფში **ლევან დათუნაშვილისა** და **რეზო გიგაურის** „მონლუსონმა“ შინ დაამარცხა „ვიში“ 30:10. „მონლუსონს“ 21 ქულა აქვს და მე-3 ადგილზეა. ჯგუფის ლიდერს ჩვენებურთა გუნდი „მონმელიანს“ ორი ქულით ჩამორჩება.

H ჯგუფში **ბადრი ხეხელაშვილის** „კონიაკმა“ შინ დაამარცხა „მურონი“ 15:9 და 17 ქულით მე-5 ადგილზეა.

**ბესიკ ჯანგავაძე**



მარკ ევანსი

# საქართველო დავპატიჟოთ

ბრიტანული სარაგბო კლუბის „ჰარლექინზის“ პრეზიდენტმა **მარკ ევანსმა** ახლახან ევროპის მთავარი საკლუბო ტურნირის - „ჰაინეკენის თასის“ რეორგანიზაციაზე ისაუბრა და საკმაოდ თამამი იდეაც გამოქვა: „ჰაინეკენის თასის“ დღევანდელი სტრუქტურა შესაცვლელია, საჭიროა 24-დან 40 კლუბამდე გავზარდოთ მონაწილეთა რაოდენობა: იყოს რვა ხუთგუნდიანი პული. სამაგიეროდ, საჭირო აღარ იქნება ისეთი ტურნირი, როგორიც „ჩელენჯ კაპია“. ამსთანავე მიმაჩნია, რომ ტურნირზე აუცილებლად უნდა დავპატიჟოთ საქართველო და პორტუგალია და სტრუქტურაც ისეთი ჩამოვაყალიბოთ, რომ რაგბის განვითარებას შევუწყოთ ხელი ევროპის მეტ ტერიტორიაზე“. ამჟამად პრემიერშიფში მოთამაშე „ჰარლექინზი“ 21 ქულით მეხუთე ადგილზეა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

## კალათბურთი

# ფაცაცია ეჩვევა და ტრავმებს იშუშებს

## ფარლალავა და საყვარელიძე ლიდერობენ

ამერიკული კოლეჯების ლიგის (NCAA) უმაღლეს დივიზიონში ერთადერთი ქართველი კალათბურთელი თამაშობს, **დიმიტრი ფაცაცია** ერთ-ერთი ყველაზე ძლიერ გუნდში - „არკანზას როზერბეკსში“ ირიცხება. 23-ნომრიანი მაისურით მოასპარეზე ქართველი მცველი ჯერჯერობით ვერ ახერხებს ლიგაში თავის დამკვიდრებას, რისი მიზეზიც ნაწილობრივ ტრავმაა. ნოემბერში დიმიტრიმ კოჭის ტრავმის გამო ზედიზედ სამი მატჩი გამოტოვა რეგულარულ ჩემპიონატში. „არკანზასი“ კოლეჯთა ლიგის სამხრეთ-აღმოსავლეთ (დასავლეთი) კონფერენციაში თამაშობს.

ნოემბრის ბოლოს ფაცაცია „დელეივერთან“ მატჩში ქართველი კალათბურთელი 6 წუთით გამოჩნდა (მხოლოდ ერთი მოხსნა), „არკანზასმა“ კი 89:67 მოიგო. ამ მატჩში ფაცაციას კოჭის ტრავმა გაუმიზეზდა, რის გამოც მას კიდევ ორი მატჩი გაუცდა. ახლახან დიმიტრი ისევ დაუბრუნდა მოედანს, „არკანზასმა“ კი „მისური“ 70:51 გაანადგურა. ქართველის წვლილი ამ საქმეში მცირეა, მან მხოლოდ ორი წუთი დაჰყო მოედანზე. დიმიტრი ფაცაცია NCAA-ში სამ მატჩში გამოვიდა მოედანზე და ჯერ ქულა არ მოუპოვებია.

NCAA-ს ახალგაზრდულ ტურნირში თამაშობს „პენსაკოლას“ კოლეჯი, სადაც ორი ქართველი თამაშობს: **დავით ერქვანია** და **ლაშა ფარლალავა**. განსაკუთრებით კარგად თამაშობს მსროლელი ფარლალავა, რომელმაც ამას წინათ TCI-ის კოლეჯთან მატჩში 91:78 25 ქულა ჩააგდო. ამასთან მან 7 მოხსნა და 3 შედეგიანი გადაცემა მიითვალა. სასტარტიო ხუთეულში იყო ცენტრის პოზიციაზე მოთამაშე ერქვანიამაც, რომელმაც გუნდს 4 ქულა და 6 მოხსნა მოუტანა. ამ მატჩის შემდეგ „პენსაკოლა“ ორჯერ დამარცხდა ჯერ IMG აკადემიასთან 63:65, შემდეგ ABAC-თან 72:75. პირველ მატჩში ლაშა ფარლალავამ 12 ქულა და 6 პასი მიითვალა, ხოლო ერქვანიამ - 4-4 ქულა და მოხსნა. მეორე მატჩში ფარლალავა სასტარტო ხუთეულში ვერ მოხვდა, მან მხოლოდ 1 მოხსნა მიითვალა. ერქვანია კვლავ სასტარტო ხუთეულში იყო, თუმცა მანაც ცუდად ითამაშა - 2 ქულა და 1 მოხსნა.

ბოლო მატჩში „პენსაკოლამ“ „ფოლკნერის“ კოლეჯს მოუგო - 67:62. ლაშამ კარგად ითამაშა, მიუხედავად იმისა, რომ კვლავ არ იყო სასტარტოში, მან 16 ქულა ჩააგდო (სამი სამქულიანი). ერქვანიამ სასტარტო შემადგენლობაში დაიწყო, თუმცა ჯამში მოედანზე მხოლოდ შვიდი წუთი იყო - მის ანგარიშზე ერთი მოხსნაა.

ნიუ იორკის „დომინიკან ჩარჯერსში“ თამაშობს **დავით საყვარელიძე**. კოლეჯი 16 ნოემბრიდან მცირე ტურნირში ჩაება, სადაც სამივე მატჩი მოიგო. „ჩარჯერსმა“ ჯერ „მოლოი“ დაამარცხა - ფორვარდის პოზიციაზე მოთამაშე საყვარელიძემ 30 წუთში 16 ქულა, 9 მოხსნა და 4 პასი მიითვალა, ერთი ეგაა, ამას 6 დაკარგვა დაერთო. დათო გუნდის ბომბარდირი იყო. მეორე მატჩში დომინიკანელებმა „ადელფაი“ დაამარცხეს - 75:63. საყვარელიძის მონაგარი ნაკლები იყო - 9 ქულა, 5 მოხსნა, 4 პასი და დაფარება. მინიტურნირის ბოლო მატჩში „ჩარჯერსმა“პუერტორიკოს „რიო პიედრესს“ მოუგო - 73:67. ამ შეხვედრაში საყვარელიძემ გაიბრწყინა - 21 ქულით და 7 მოხსნით.

1 დეკემბერს „ჩარჯერსმა“ „ბლუმფილდი“ დაამარცხა - 82:76. გამარჯვებულთა რიგებში 10 ქულით ქართველი ფორვარდი გამოირჩა. 8 დეკემბერს საყვარელიძის გუნდმა პირველი მარცხი იგემა, სტურმად მასაჩუსესტის უნივერსიტეტთან - 52:65. დათოს ანგარიშზე 10 ქულა და 5 მოხსნაა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



დიმიტრი ფაცაცია



დავით ერქვანია



ლაშა ფარლალავა





დავით საყვარელიძე

# საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი წარმოგიდგენთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი



მანუჩარ მარკოიშვილი

რას წერენ ქართველ ლეგიონერებზე

# ღვინო, ცეკვა, ქალები და... გოლფი

გუშინ მანუჩარ მარკოიშვილის უკრაინის ნოემბრის საუკეთესო კალათბურთელად აღიარება გაცნობეთ. ისიც გითხარით, რომ თვის ლაურეატთან ინტერვიუ გაზეთ „ბოლელშჩიკის" მომდევნო ნომერში უნდა გამოქვეყნდესო. ჰოდა, გუშინ ამ უკრაინულ გაზეთში მანუს საინტერესო საუბარი ამოვიკითხეთ და, ვფიქრობთ იგი ქართველ ქომაგსაც დააინტერესებს. ჩვენი მხრივ მხოლოდ იმას დავძენთ, რომ მარკოიშვილს ინტერვიუ ჟურნალისტმა ალექსეი ეფიმოვმა ჩამოართვა.

„მამისთვის მერიდებოდა იმის თქმა, რომ ცეკვის ნაცვლად კალათბურთზე უნდა წავსულიყავი." - ასე დაასათაურა ეფიმოვმა თავისი ნაშრომი.

- იგი პირველი ქართველი კალათბურთელია უკრაინის ჩემპიონატში. ამასთან, ის ლეგიონერთა შორის ყველაზე ახალგაზრდაა, მაგრამ ამას მანუჩარ მარკოიშვილისთვის ხელი არ შეუშლია, ნოემბრის საუკეთესო კალათბურთელის წოდების მიღებაში. მანუმ უკვე მოასწრო ნებისმიერი მეტოქისთვის საშიშ კალათბურთელად და კიევური პუბლიკის საყვარელ მოთამაშედ ქცევა. დედაქალაქელი გულშემატკივრები მარკოიშვილს „ჩვენს პაპალუკასს" უწოდებენ. გარდა ფიზიკური მსგავსებისა ამ ორ კალათბურთელს კიდევ ბევრი რამ აქვთ საერთო - როგორც თეოდოროსი, მანუჩარიც მუდმივად სათადარიგოთა სკამიდან ერთვება მატჩში, ის ტომო მაჰორიჩის ერთგვარი ჯოკერია...

„კიევის" უკანახაზელთან საუბარი მილოცვით დავიწყეთ.

- გმადლობთ, ძალიან სასიამოვნოა ასეთი აღიარება, მაგრამ პირველ რიგში საკუთარ მონაგარს კი არა, გუნდის შედეგებს ვაყენებ. მიხარია, რომ „კიევი" წარმატებული გუნდია.

**- ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად არაერთ ქვეყანაში გითამაშია, უკრაინაში გადმოსვლისას ხომ არ ორჭოფობდი?**

- გამოგიტყდებით, ცოტას ვყოყმანობდი. მქონდა ძლიერ ჩემპიონატებში თამაშის შანსი, იტალიაში, ესპანეთში, ან ბალტიისპირულ კლუბში... მაგრამ ტომო მაჰორიჩმა ამიხსნა, რომ უკრაინაში საქმეს პროფესიონალურად უდგებიან, თან მაღალ მიზნებს ისახავენ და დამარწმუნა, რომ „კიევის" ვარიანტი ყველაზე მისაღები იყო. დღეს შემიძლია ვთქვა, რომ მწვრთნელი არ ცდებოდა.

**- კონტრაქტზე ხელის მოწერის წინ კონსულტაცია ვისთან გაიარე?**

- რა თქმა უნდა. „კიევის" შესახებ გავესაუბრე გილერმო ჯოვანონისა და კრასიმირ ლონჩარს, მათ გუნდი დადებითად დამიხასიათეს. ლონჩართან დიდი ხნის მეგობრობა მაკავშირებს - 2003-03 წლების სეზონში იტალიურ „ბენეტონში" ვთამაშობდით. მას მანქანა ჰყავდა და ვარჯიშებზე მუდმივად ერთად დავდიოდით.

**- 21 წლის ასაკში როგორ მოასწარი საქართველოს, იტალიის, სლოვენიის ჩემპიონობის მოპოვება და ევროთასის მოგება?**

- ამაზე აქამდე არ დავფიქრებულვარ. მედლების დათვლა კარიერის დასრულების შემდეგ სჯობს. ახლა კი მხოლოდ იმაზე ვფიქრობ, ჩემს გუნდს მაქსიმალური სარგებელი როგორ მოვუტანო.

**- როგორ გადაწყვიტე კალათბურთელობა?**

- ოოო... საინტერესო ისტორიაა. მამაჩემი კალათბურთელი იყო, შემდეგ მწვრთნელობას მოკიდა ხელი. ცხადია, ჩემი უფროსი ძმაც კალათბურთს თამაშობდა. მე კი ქართულ ცეკვაზე მივედი - ბიძაჩემი ცნობილი მოცეკვავეა. ერთხელ უფროს ძმას ტურნირზე საქომაგოდ წავყევი. მისმა გუნდმა შეჯიბრება მოიგო, ძმა კი საუკეთესო კალათბურთელად აღიარეს. მას ჯილდოდ მუსიკალური სტატუეტი ერგო - უკნიდან გასაღებს გადაატრიალებ და მუსიკა ირთვება. დარბაზიდან შინ მიმავალს საჩუქრისთვის თვალი არ მომიშორებია. სახლში რომ მივედი დადაჩემს გამოვუცხადე: ხვალ ცეკვაზე აღარ მივდივარ, კალათბურთელი უნდა გამოვიდე-მეთქი. დედაჩემს გაუკვირდა და მკითხა, მამას რატომ არ უთხარიო? მეშინია-მეთქი. ეს ამბავი მამაჩემს დედამ გაანდო და მასაც გაუხარდა. აი, ასე მოვხვდი კალათბურთზე.

**- ალბათ, როგორც ყველა ქართველს, შენც გიყვარს ღვინო.**

- ალკოჰოლურ სასმელთა შორის წითელ ღვინოს ყველაზე დიდ პატივს ვცემ. სწორად გამიგეთ, ღვინის სიყვარული არ ნიშნავს, რომ მსმელი ვარ. ქართული ღვინო, რა თქმა უნდა საუკეთესოა, მაგრამ ურიგოდ არც იტალიაში, საფრანგეთში და სლოვენიაში აკეთებენ. ფრანგული და იტალიური ღვინის მოყვარულებს შეიძლება ჩემი საუბარი გაუკვირდეთ, მაგრამ ქართულ სასმელზე მეტს იმიტომ ვსაუბრობ, რომ საქართველო მენატრება და შინაური ღვინო მახსენდება.

**- საქართველოში ადრეულ ასაკში ქორწინდებიან. ამაზე არ გიფიქრია?**

- მართალი ბრძანდებით. ბევრი ჩემი მეგობარი დაოჯახდა, მაგრამ მე ჯერ არ მიპოვნია ის ერთადერთი, რომელსაც ცხოვრებას დავუკავშირებ. ჩვენებური ქორწილი ძალიან საინტერესო რამაა. სხვათა შორის, ახლახან მეგობარმა დამირეკა და მეჯვარეობა მთხოვა. სამწუხაროდ სამშობლოში ჩასვლა არ მიხერხდება და მითხრა, ვეცდებით ქორწილის თარიღი შევცვალოთო. კარგი იქნებოდა ზაფხულში გამართულიყო...

**- ღვინო, გართობა... ახლა ლოგიკურად ჩნდება კითხვა გოგონების შესახებ, უკრაინელების...**

- ამ კითხვას ყველა რატომ მისვამს? აქაური გოგონების სილამაზის ასაღწერად სიტყვები არ არის საკმარისი. მთელი ევროპა მოვლილი მაქვს და სრული პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა რომ უკრაინელი გოგონები ყველაზე ლამაზები არიან. შეიძლება, რუსეთშიც ამდენივე ლამაზმანია, მაგრამ არა - აქაურები სჯობიან და წერტილი! *(მართალია, მანუჩარმა დასაწყისში მთხოვა, ინგლისურად გვესაუბრა, ბოლო ფრაზა მაინც რუსულად თქვა - ავტორი.)*

**- თავისუფალ დროს როგორ ატარებ?**

- ძალიან მიყვარს წიგნების კითხვა და ფილმების ყურება, განსაკუთრებით კომედიური ჟანრის - სიცილი მიყვარს. ამასთან არ ვაცდენ კინოფილმებს დენზელ ვაშინგტონის მონაწილეობით. ახლახან გოლფის სათამაშოდ ვიყავი. გამოგიტყდებით, დიდი სიამოვნება მივიღე.

მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**

# ზაზას ტრავმების ამბავი

„ორლანდო"-"ატლანტას" ოქმში **ზაზა ფაჩულიას** გასწვრივ საინტერესო დიაგნოზი ეწერა - მუხლის, კოჭის, თავის ტრავმა.

ერთი კვირის წინ „ფილადელფიასთან" მატჩში ზაზას სახე **სამუელ დალამბერმა** დაუზიანა. ტვინის შერყევის სიმპტომების გამო ფაჩულიას ერთი კვირით მოუწია დასვენება. ბოლო ინფორმაციებით იგი ამ კვირას დაუბრუნდება მოედანს.

ზაზა ფაჩულიას საკუთარ ვებ-საიტზე გამოქვეყნდა მისი ვრცელი მონათხრობი, რომელშიც ძირითადად ტრავმებზეა საუბარი:

*„ტრავმიანობის თვალსაზრისით აქამდე იღბალი ჩემსკენ იყო, სერიოზული დაზიანება არ მიმიღია. ახლა, პირველად მოხდა ისე, რომ ერთმანეთს სამი ტრავმა გადაება.*

*სეზონის დასაწყისში მუხლისა და კოჭის ტრავმები მივიღე და რამდენიმე კვირით მომიწია დასვენება. გასულ ორშაბათს კი სახის დაზიანება მივიღე, რაც ერთი-ორად რთული ყოფილა: თუ ვთქვათ, ფეხს იტკენ, იცი, რომ რეაბილიტაციის შემდეგ ყველაფერი წესრიგში იქნება, ტვინის მსუბუქი შერყევის შედეგად არ იცი თავი როდის აგტკივდება და საბოლოოდ როდის მომჯობინდები.*

*„ფილადელფიასთან" მატჩის შემდეგ შინ რამდენიმე დღე დავისვენე და პარასკევს პირველი ვარჯიში ჩავატარე. ახლა თავს უკეთესად ვგრძნობ და ვიმედოვნებ, რომ „ატლანტას" მალე დავუბრუნდები. ძალიან მინდა თანაგუნდელებს შევუერთდე და მათთან ერთად შევიტანო წვლილი გუნდის წარმატებაში. იქნებ, ამის მერე მაინც დასრულდეს ტრავმიანობა, რომელმაც თავი მომაბეზრა."*

„ატლანტა ჰოქსი" ბოლო კვირას თამაშს-თამაშზე იგებს. 3 დეკემბრის შემდეგ ჯორჯიელებმა 5 მატჩი ჩაატარეს და 4 თავის სასარგებლოდ დაასრულეს. განსაკუთრებით სასიამოვნოა ბოლო გამარჯვება, რომელსაც „ჰოქსმა" ორლანდოში მიაღწია - 98:87. „ორლანდო მეჯიქმა" ეს სეზონი ეფექტურად დაიწყო - 22-დან 16 მატჩი აქვს მოგებული და სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონში პირველ პოზიციაზეა. „მეჯიქის" ძლევის შემდეგ „ატლანტას" 10 მოგება დაუგროვდა (20 შეხვედრაში) და დივიზიონის მეორეადგილოსან „ვაშინგტონს" გაუთანაბრდა(10 მოგება, 10 წაგება).

„ჰოქსი" მორიგ მატჩს დღეს გამთენიისას ატლანტაში გამართავს. მისი მეტოქე „ტორონტო"იქნება.

**ვახტანგ ტყეშელაშვილი**



ზაზა ფაჩულია



ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰოკეი

## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

**ბაფალო–ბოსტონი 1:4**

1:3, 0:0, 0:1

**გოლები:** 0:1 სავარი-6, 0:2 აქსელსონი-4 (სავარი-29, ვიდემანი-8), 1:2 შპაჩეკი-7 (გოსტადი-8, ტ. კონილი-18), 1:3 შეფერი-5 (ლუჩიჩი-2), 1:4 მეტროპოლიტი-7 (ლუჩიჩი-3, ხარა-14).

**ვაშინგტონი–ნიუ ჯერსი 3:2**

1:1, 2:0, 0:1

**გოლები:** 0:1 მადენი-8 (ჯონტა-13, ზუბრუსი-11), 1:1 ბექსტრიომი-4 (ვიქ. კოზლოვი-14, პოტი-9), 2:1 შულტცი-3 (ოვეჩკინი-15, ერსკინი-4), 3:1 ლეინგი-1 (ერსკინი-5, ბრედლი-3), 3:2 კლარკსონი-4 (პელეი-3).

**კოლამბუსი–ანაჰაიმი 3:4 (ო)**

1:0, 1:3, 1:0, 0:1

**გოლები:** 1:0 კლესლა-3 (პეკა-11), 1:1 პერი-16 (გეტცლაფი-21), 2:1 ბიჩი-2 (ჟერდიოვი-12), 2:2 პერი-17 (პრონგერი-20, შნაიდერი-9), 2:3 პალსონი-3 (ბულიტი), 3:3 ჟერდიოვი-12 (პეკა-12, კლესლა-5), 3:4 პრონგერი-4 (გეტცლაფი-22, შნაიდერი-10).

**ტორონტო–ტამპა ბეი 6:1**

0:0, 4:1, 2:0

**გოლები:** 1:0 ჯ. ბლეიკი-5 (უელვუდი-3, ვოუნიევსკი-6), 2:0 სუნდინი-15 (ტ. კაბერლე-15, ტისკალა-1), 3:0 ანტროპოვი-15 (უელვუდი-4, სუნდინი-23), 4:0 კილგერი-6 (კუბინა-13, ბელი-4), 4:1 ულეტი-6 (კუბა-12, გრეტონი-6), 5:1 სტაიანი-8 (დევერო-5, გილი-12), 6:1 კილგერი-7 (ანტროპოვი-16, გილი-13).

**ნეშვილი–დეტროიტი 1:2**

0:2, 1:0, 0:0

**გოლები:** 0:1 კოპეცკი-2 (დაციუკი-24, ლილია-4), 0:2 ფილპულა-6 (ბულიტი), 1:2 გელინასი-4 (ლეგვანდი-15).

**დალასი–ედმონტონი 5:4 (ო)**

3:2, 1:1, 0:1, 1:0

**გოლები:** 0:1 სემ განიე-3 (რ. ნილსონი-8, პიზანი-1), 1:1 რიბეირო-13 (მიეტინენი-3, ნისკანენი-8), 2:1 ნისკანენი-2 (ზუბოვი-22, ჰალპერნი-3), 2:2 პენერი-7, 3:2 მოდანო-10 (ი. იოკინენი-7, ზუბოვი-23), 3:3 გილბერტი-5 (ტორესი-6, სტოლი-10), 4:3 ზუბოვი-4 (მიეტინენი-4, რიბეირო-14), 4:4 პორკოფი-14 (პენერი-10, ჰემსკი-14), 5:4 მოროუ-10 (ზუბოვი-24, ნისკანენი-9).

**ლოს ანჯელესი–ვანკუვერი 4:2**

2:1, 1:0, 1:1

**გოლები:** 1:0 ბ. სტიუარტი-3 (ვიშნოვსკი-17, ო'სალივანი-6), 1:1 პიატი-7 (ბ. მორისონი-11, ნესლუნდი-16), 2:1 კოპიტარი-14 (დ. ბრაუნი-13, კამალერი-12), 3:1 დ. არმსტრონგი-2 (რ. ბლეიკი-9, ჯ. ჯონსონი-4), 4:1 დ. ბრაუნი-14 (დ. არმსტრონგი-13, ვიშნოვსკი-18), 4:2 ედლერი-2 (პიატი-9, ბ. მორისონი-12).

### კვირის სამი ვარსკვლავი

გასული კვირის სამივე საუკეთესო მოთამაშე ევროპელი გახლავთ. როგორც მოსალოდნელი იყო, პირველი ვარსკვლავი გახდა „კოლორადოს" ჩეხი ფორვარდი **მილან ჰეიდუკი**, რომელმაც „სენტ ლუისთან" მატჩში 6 ქულა მიითვალა, სულ კი, ოთხ შეხვედრაში 9 ქულა (5 გოლი+4 პასი) მოაგროვა და წინა 7 დღის საუკეთესო ბომბარდირი გახდა.

კვირის მეორე ვარსკვლავიც ასევე ჩეხეთის წარმომადგენელია - „დეტროიტის" მეკარე **დომინიკ ჰაშეკი**. 42 წლის გოლკიპერი საკუთარ კარში 1.00 შაიბას უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 94.2 პროცენტს იგერიებდა. გარდა ამისა, „დომინატორმა" კარიერაში 77-ე შატაუტი მიითვალა და ყველა დროის სიაში მერვე ადგილზე გადაინაცვლა.

რაც შეეხება მესამე ვარსკვლავის სტატუსს, ის „ლოს ანჯელეს კინგზის" 20 წლის სლოვენიელმა ფორვარდმა **ანჟე კოპიტარმა** დაიმსახურა, რომელმაც 4 მატჩში 2 გოლი და 6 შედეგიანი პასი ჩაიწერა აქტივში.

**აღმოსავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ოტავა* | 28 | 18 | 7 | 3 | 39 |
| 2. ნიუ ჯერსი* | 30 | 16 | 11 | 3 | 35 |
| 3. კაროლინა* | 31 | 16 | 12 | 3 | 35 |
| 4. ბოსტონი | 29 | 16 | 10 | 3 | 35 |
| 5. რეინჯერსი | 30 | 16 | 12 | 2 | 34 |
| 6. ფილადელფია | 27 | 15 | 10 | 2 | 32 |
| 7. პიტსბურგი | 29 | 15 | 12 | 2 | 32 |
| 8. მონრეალი | 29 | 14 | 11 | 4 | 32 |
| 9. ტორონტო | 31 | 13 | 12 | 6 | 32 |
| 10. აილენდერსი | 28 | 14 | 12 | 2 | 30 |
| 11. ატლანტა | 29 | 14 | 14 | 1 | 29 |
| 12. ტამპა ბეი | 30 | 13 | 14 | 3 | 29 |
| 13. ბაფალო | 28 | 13 | 14 | 1 | 27 |
| 14. ფლორიდა | 29 | 13 | 15 | 1 | 27 |
| 15. ვაშინგტონი | 30 | 11 | 17 | 2 | 24 |

**დასავლეთი**

| | თ | მ | წ | ოწ | ქ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. დეტროიტი* | 30 | 22 | 6 | 2 | 46 |
| 2. დალასი* | 31 | 16 | 11 | 4 | 36 |
| 3 ვანკუვერი* | 30 | 16 | 11 | 3 | 35 |
| 4 სან ხოსე | 28 | 15 | 9 | 4 | 34 |
| 5 მინესოტა | 29 | 16 | 11 | 2 | 34 |
| 6 ანაჰაიმი | 32 | 15 | 13 | 4 | 34 |
| 7 სტ. ლუისი | 27 | 16 | 10 | 1 | 33 |
| 8. კოლორადო | 29 | 16 | 12 | 1 | 33 |
| 9. კოლამბუსი | 30 | 13 | 11 | 6 | 32 |
| 10. ნეშვილი | 28 | 14 | 12 | 2 | 30 |
| 11. ჩიკაგო | 29 | 14 | 13 | 2 | 30 |
| 12. კალგარი | 30 | 12 | 13 | 5 | 29 |
| 13. ედმონტონი | 31 | 13 | 16 | 2 | 28 |
| 14. ფინიქსი | 28 | 13 | 15 | 0 | 26 |
| 15. ლოს ანჯელესი | 30 | 12 | 16 | 2 | 26 |

** - დივიზიონის ლიდერი*

**გოლი+პასი**

| | |
|---|---|
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 45 (19+26) |
| ზეტერბერგი (დეტ) | 41 (21+20) |
| ალფრედსონი (ოტა) | 40 (19+21) |
| კროსბი (პიტ) | 40 (14+26) |
| კოვალჩუკი (ატლ) | 40 (23+17) |

**გოლეადორები**

| | |
|---|---|
| კოვალჩუკი (ატლ) | 23 |
| ზეტერბერგი (დეტ) | 21 |
| ოვეჩკინი (ვაშ) | 21 |
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 19 |
| ალფრედსონი (ოტა) | 19 |

**ასისტენტები**

| | |
|---|---|
| სავარი (ბოს) | 29 |
| სენტ ლუისი (ტ-ბეი) | 26 |
| კროსბი (პიტ) | 26 |
| ლეკავალიე (ტ-ბეი) | 26 |
| შჩასტნი (კოლორ) | 26 |

# სხვადასხვა

**კალათბურთი**

## რაილის 1200 მოგება აქვს

NBA-ის რეგულარული ჩემპიონატის წინა ტურში, „მაიამი ჰიტმა" სტუმრად დაამარცხა „ლოს ანჯელეს კლიპერსი" (100:94). ამ გამარჯვებით, „მაიამის" დამრიგებელი **პატ რაილი** ასოციაციის ისტორიაში მესამე მწვრთნელი გახდა, ვისაც კარიერაში 1200 გამარჯვება დაუგროვდა.

რაილი NBA-ში 24 წელია მუშაობს. მას ლიგაში 1200 გამარჯვების მისაღწევად, მწვრთნელის რანგში 1842 მატჩის ჩატარება დასჭირდა.

## მონტეპასკის რეკორდი

გასულ უიქ ენდზე, იტალიის ჩემპიონატის მორიგ ტურში მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა. სიენას „მონტეპასკიმ" საკუთარ მოედანზე 92:76 დაამარცხა რომის „ლოტომატიკა", რითაც სეზონის სტარტზე ზედიზედ მე-13 გამარჯვებას მიაღწია.

შესაბამისად, სიენელებმა გაიმეორეს ჩემპიონატის სტარტზე სიდიდით მეორე მოგებათა სერია, რომელიც 1997-98 წლებში „კინდერ ბოლონიამ" დააფიქსირა.

ყველა დროის რეკორდამდე კი, „მონტეპასკის" 13 მოგება სჭირდება. 1962-63 წლების სეზონში, „სიმენტალ მილანმა" ჩემპიონატის საწყისი 26 მატჩი ერთმანეთის მიყოლებით მოიგო.

**რაგბი**

## ავსტრალია ადგილობრივ მწვრთნელს ითხოვს

ავსტრალიური რაგბის სამყარო შეშფოთებულია იმით, რომ ამ ქვეყნის ნაკრების მთავარი მწვრთნელი შესაძლოა გახდეს ზელანდიელი სპეციალისტი **რობი დინსი**. როგორც სააგენტო „როიტერი" იტყობინება, ნაკრების ყოფილი მოთამაშეები და მწვრთნელები თხოვნით მიმართავენ ავსტრალიის რაგბის კავშირს, რათა მან ამ პოსტზე ადგილობრივი სპეციალისტის დანიშნოს.

*„რა თქმა უნდა, ისინი იპოვნიან შესაფერის კანდიდატს. ეჭვი მეპარება, რომ დინსს ჩვენი ნაკრების გაწვრთნის დიდი სურვილი ჰქონდეს. საჭიროა ადამიანი, რომელსაც მხოლოდ „ვოლაბებთან" მუშაობა ენდომება და არა ისეთი მწვრთნელი, რომელიც მზად არის ავარჯიშოს ჩვენი გუნდი მხოლოდ იმიტომ, სხვა წინადადება არ გააჩნია"*, - განახადა Daily Telegraph-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ავსტრალიის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა **ედი ჯონსმა**.

**კრივი**

## კალზაგე ბრიტანელთა რჩეულია

ტელეკომპანია BBC-მ ბრიტანელებს შორის გამოკითხვა ჩაატარა, რითაც 2007 წლის სპორტული შედეგები შეაჯამა.

გამოკითხვის შედეგად, ბრიტანეთის საუკეთესო სპორტსმენის ტიტული ერგო მოკრივე **ჯო კალზაგეს**, რომელიც სუპერსაშუალო წონაში მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი გახლავთ.

კალზაგემ ამ ნომინაციაში უკან ჩამოიტოვა ფორმულა 1-ის ვიცე-ჩემპიონი **ლუის ჰემილტონი** და კიდევ ერთი მოკრივე - **რიკი ჰატონი**. ამ სპორტსმენებმა შესაბამისად მეორე და მესამე ადგილებს დაიკავეს.

*„მიუხედავად იმისა, რომ გასული წელი წარმატებული იყო, ეს გამარჯვება ჩემთვის დიდი მოულოდნელობა გახლდათ. ამ მომენტში უდიდესი პასუხისმგებლობა ვიგრძენი"*, - განაცხადა მოკრივემ.

BBC-იმ პრიზები სხვა ნომინაციებშიც დაარიგა. მაგალითად, „წლის გუნდის" სტატუსი ინგლისის მორაგბეთა ნაკრებს ერგო, რომელმაც მსოფლიო თასის ფინალში ითამაშა, საუკეთესო უცხოელი სპორტსმენი შვეიცარიელი ჩოგბურთელი **როჯერ ფედერერი** გახდა, ხოლო წლის მწვრთნელის ტიტული ჯო კალზაგეს მამამ, **ენცო კალზაგემ** დაიმსახურა.

**ავტოსპორტი**

## ტრაგედია ინტერლაგუშზე

ბრაზილიის ქალაქ სან პაულუში, „ინტერლაგუშის" ცნობილ ტრასაზე ტრაგედია მოხდა. Stock Car Light-ის სერიის მორიგი ეტაპის დროს დაიღუპა ბრაზილიელი ავტომრბოლი **რაფაელ სპერაფიკო**.

26 წლის მრბოლელმა მანქანაზე კონტროლი მეექვსე წრის გავლისას დაკარგა, ბეტონის კედელს შეასკდა, შემდეგ ტრასაზე დაბრუნდა, სადაც მას **რენატო რუსოს** ბოლიდი შეეჯახა. თავად რუსო საავადმყოფოში მძიმე, მაგრამ სტაბილურ მდგომარეობაში მიიყვანეს. რაც შეეხება სერაფიკოს, ის თავის ტრავმების გამო გარდაიცვალა.

**ჩოგბურთი**

## გრონეფელდი მწვრთნელს გამოეთხოვა

გერმანელი ჩოგბურთელი **ანა-ლენა გრონეფელდმა** საბოლოოდ თქვა უარი თავისი მშვრთნელის, **რაფაელ ფონტ დე მორას** სამსახურზე. *„მე მის ხელში უბრალო მარიონეტი ვიყავი. დღეში სამჯერ მაყენებდა სასწორზე და თუ რამდენიმე გრამი მომატებული მქონდა, ამის გამო საჯარიმო ვარჯიშებს მინიშნავდა"*, - ამბობს 22 წლის გერმანელი.

ჯერ კიდევ წლის დასაწყისში, გრონეფელდი WTA-ს კლასიფიკაციაში მე-14 ადგილს იკავებდა, ახლა კი, 204-ე პოზიციამდე ჩამოქვეითდა. *„2008 წელს აუცილებლად დავიბრუნებ დაკარგულ პოზიციებს"*, - განაცხადა გრონეფელდმა, რომელმაც მწვრთნელთან ურთიერთობის გაწყვეტის შემდეგ, საგრძნობლად მოიმატა წონაში.

## შარაპოვა როდიკთან გაერთო

გუშინ, ამერიკელი ჩოგბურთელის **ენდი როდიკის** საქველმოქმედო ფონდის ეგიდით საინტერესო საჩოგბურთო შეხვედრა გაიმართა. ფლორიდაში რუსი ჩოგბურთელი **მარია შარაპოვა** ამერიკელ **ჯეიმს ბლეიკს** შეუწყვილდა, კორტის მეორე მხარეს კი, როდიკს გვერდს უმშვენებდა სამხრეთაფრიკელი **ბრენდა შულც-მაკარტი**.

მატჩი გართობას უფრო ჰგავდა, ვიდრე სერიოზულ საჩოგბურთო შეხვედრას. ერთ-ერთ ეპიზოდში როდიკმა შარაპოვასკენ გაგზავნა ბურთი, რუსმა კი, შეგნებულად წელს ქვემოთ დაუმიზნა ბურთი ამერიკელს. მატჩის წინ კი, მოთელვა გაიმართა, სადაც შარაპოვამ როდიკსა და სხვებს თავისი საფეხბურთო თვისებები წარმოუდგინა.



# კალათბურთი

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

## ანდრე, ანუ ჯულიუსი

"სიქსერზის" ახალგაზრდა ლიდერ **ანდრე იგუოდალას** ლეგენდარულ **ჯულიუს ირვინგამდე** უზომოდ ბევრი უკლია და ალბათ, კარიერის დასრულებამდეც ასე იქნება, მაგრამ ფილადელფიაში ამ უნივერსალ ყმაწვილს მშველელად განიხილავენ და ანდრეც თავისი არცთუ მწირი შესაძლებლობების მაქსიმუმს ავლენს.

იგუოდალას "ჰიუსტონთან" შეხვედრაში ურთულესი მისიის შესრულება მოუხდა - უნდა ამოეკეტა ტეხასელთა ვარსკვლავი **ტრეისი მაკგრეიდი** და შეტევაშიც ეყოჩალა, რაც, მასპინძლეთა ფორვარდმა წარმატებით შეასრულა.

ანდრეს 16 ქულა სასწაული შედეგი ნაღდად არ არის და მასზე მეტი მისსავე გუნდში ორმა მოთამაშემ მოიმკო, მაგრამ "როკეტსისთვის" მაკგრეიდის ინერტულობა წაგების ტოლსწორია და მთავარი სწორედ ეს იყო. იქამდე, სანამ ტრეისი მიკროტრავმას მიიღებდა, ანდრემ მას მაქსიმალურად შეუზღუდა სათამაშო სივრცე და ლიგის ერთ-ერთ საუკეთესო მექულეს ურთულესი ადგილებიდან ასროლინა, ხოლო როდესაც მაკგრეიდიმ მოედანი დატოვა, იგუოდალა **იაო მინზე** გადაერთო და **სემი დალემბერს** ჩინელი გიგანტის განეიტრალებაში შეეშველა.

ტრეისიმ 25 წუთში 4 შეცდომა დაუშვა და ანდრეს პრესინგის ქვეშ რომ მოექცა, ბურთის თანაგუნდელებისთვის შეჩეჩებას ცდილობდა, თუმცა მეორე ტაიმში **ბონზი უელსის** 7-წუთიან უხვქულიანობას თუ არ ჩავთვლით, "ჰიუსტონში" იმ დღეს თამაში არავის არ წაუვიდა, რისი მთავარი მიზეზიც მასპინძელთა ძალიან კარგი დაცვა და თავდადება იყო.

"ფილადელფიამ" ერთბაშად ორი სასიამოვნო სერია გამოაცხო - 2005 წლის მერე, გუნდმა პირველად მოახერხა და ზედიზედ ოთხ შეხვედრაში 100 და მეტი ქულა დააგროვა, ხოლო მიმდინარე რეგულარულში კი ასევე პირველად მოიგო ზედიზედ სამი მატჩი.

რაც შეეხება იაოს, მან დალემბერს ასეც ვერაფერი მოუხერხა და ბოლო დროს არასტაბილურმა ჩინელმა 11 "ცოცხალი" ტყორცნიდან მხოლოდ სამი გამოიყენა, დალემბერმა კი მას ორჯერ მიაფარა.

ირვინგს კი იგუოდალა **უილი გრინმა** შეადარა: *"ირვინგი ფილდელფიაში ყველა დროის უდიდესი სპორტსმენია და მისი მიღწევების გამეორება ნებისმიერისთვის წარმოუდგენლად რთული იქნება, მაგრამ Aნდრეს შეუძლია ქალაქს გამარჯვებული გუნდი დაუბრუნოს და ჯულიუსს სწორედ ამაში გაუტოლდეს"*.

### კვირის მოთამაშეები

გასული კვირის შედეგების მიხედვით, აღმოსავლეთი კონფერენციის საუკეთესო მოთამაშედ „ატლანტა ჰოქსის" ფორვარდი **ჯოშ სმიტი** დასახელდა. ის საშუალოდ მატჩში 22.0 ქულას, 6.3 მოხსნას, 3.3 პასსა და 3.3 დაფარებას აგროვებდა. სმიტის კარგი თამაშის წყალობით, გასულ კვირას „ატლანტამ" 4-დან 3 შეხვედრა მოიგო.

უფრო შთამბეჭდავი სტატისტიკა ჰქონდა დასავლეთი კონფერენციის რჩეულს, „პორტლენდის" მცველ **ბრენდონ როის**. გასულ კვირას „პორტლენდს" 100-პროცენტიანი მაჩვენებელი (3-დან 3 მოგება) ჰქონდა, რაშიც როის 25.7 ქულამ, 7.3 მოხსნამ და 3.7 პასმა დიდი წვლილი შეიტანა.

ლაურეატობაზე სხვა ნომინანტები იყვნენ: **ალენ აივერსონი** („დენვერი"), **ჩონსი ბილაპსი** („დეტროიტი"), **კრის პოლი** („ნიუ ორლეანი") და **კერონ ბატლერი** („ვაშინგტონი").

**ნიუ იორკი–დალასი 89:99**

19:28, 17:21, 27:30, 26:20

**ნიუ იორკი:** ზ. რენდოლფი (24 ქ. 11 მ), ჯ. კროუფორდი (19 ქ. 5 პ), ფ. ჯოუნსი (16 ქ. 5 მ. 4 პ).
**დალასი:** ნოვიცკი (36 ქ. 7 მ. 4 პ. 2 ჩ), ჯოშ ჰოვარდი (22 ქ. 6 მ. 4 პ. 2 დ), სტექჰაუზი (13 ქ. 4 პ).

**ორლანდო–ატლანტა 87:98**

19:29, 22:20, 22:20, 24:20

**ორლანდო:** თურქოღლუ (22 ქ. 7 მ. 5 პ), რ. ლიუისი (15 ქ. 7 მ), დ. ჰოვარდი (14 ქ. 18 მ. 2 ჩ. 2 დ), ბოგანსი (12 ქ. 4 მ).
**ატლანტა:** ჯოშ სმიტი (25 ქ. 16 მ. 5 პ. 4 ჩ. 4 დ), ჯო ჯონსონი (24 ქ. 4 მ. 4 პ), ე. ჯონსონი (15 ქ. 6 მ. 5 პ. 4 ჩ), შელდენ უილიამსი (12 ქ. 7 მ), მერვინ უილიამსი (12 ქ).

**ფინიქსი–მაიამი 113:117**

29:40, 34:27, 17:22, 33:28

**ფინიქსი:** ა. სტაუდმაიერი (19 ქ. 9 მ), რ. ბელი (19 ქ. 5 პ. 2 დ), მერიონი (19 ქ. 6 მ. 4 პ. 4 ჩ. 4 დ), გ. ჰილი (19 ქ. 3 პ), სკინერი (13 ქ. 5 მ), ნეში (11 ქ. 14 პ. 2 ჩ), ბარბოსა (11 ქ. 4 პ).
**მაიამი:** უეიდი (31 ქ. 6 პ. 3 მ. 3 ჩ), პასლემი (21 ქ. 12 მ), შ. ონილი (18 ქ. 11 მ. 5 პ), დ. რაიტი (16 ქ. 12 მ. 4 პ. 2 ჩ), ქვინი (12 ქ. 4 პ), რ. დევისი (12 ქ. 4 მ. 4 პ).

**ფილადელფია–ჰიუსტონი 100:88**

30:24, 26:18, 30:18, 14:28

**ფილადელფია:** უ. გრინი (20 ქ. 6 მ. 4 პ), ა. მილერი (17 ქ. 12 პ. 3 ჩ), იგუოდალა (16 ქ. 2 ჩ), კორვერი (14 ქ. 3 ჩ), რ. ევანსი (11 ქ. 2 ჩ), დალემბერი (8 ქ. 13 მ. 2 დ).
**ჰიუსტონი:** უელსი (24 ქ. 10 მ. 2 ჩ), ჰედი (18 ქ), მ. ჯეიმსი (12 ქ. 7 მ), მინი (12 ქ. 9 მ), მაკგრეიდი (12 ქ).

**საკრამენტო–მილუოკი 96:93**

26:26, 21:23, 19:25, 30:19

**საკრამენტო:** სალმონსი (22 ქ. 5 პ. 2 დ), ბ. მილერი (17 ქ. 10 მ), გარსია (15 ქ. 4 მ. 3 პ. 3 ჩ), უდრიხი (14 ქ. 6 მ. 3 პ), არტესტი (11 ქ. 7 მ. 5 პ. 4 დ).
**მილუოკი:** რედი (24 ქ. 4 მ. 3 ჩ), ბოგუტი (14 ქ. 9 მ. 4 პ), მო უილიამსი (12 ქ. 9 მ), ვილიანოვა (11 ქ. 7 მ).

სიახლე

## ლიგაში მიყურადება ინყება

ამ დღეებში, ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ ერთი სიახლე შემოგვთავაზა. ზოგიერთ გუნდის მწვრთნელს, მატჩების დროს პატარა მიკროფონი უკეთია, რომელთა მეშვეობითაც შეხვედრის მსვლელობისას მისი საუბრები, რეპლიკები და ლანძღვა-გინება იწერება. ლიგის ფუნქციონერთა განცხადებით, ეს კეთდება იმის გამო, რომ ტელემაყურებელმა მაქსიმალურად შეიგრძნოს თამაშის ატმოსფერო. პირველად მსგავსი მიკროფონების დამაგრება „დალას მავერიქსისა" და „დენვერის ნაგეტსის" მწვრთნელებს - **ეივერი ჯონსონსა** და **ჯორჯ კარლს** მოუწიათ. ორივე სპეციალისტმა აღიარა, რომ ეს ნაბიჯი მხოლოდ იმის გამო გადადგეს, რომ ამას ლიგის ხელმძღვანელობა ითხოვდა.

*„ვერ ვიტყვი, რომ მზად ვიყავი ამისთვის, მაგრამ ჩემი დამქირავებელი ასე ითხოვს და იძულებული ვარ, მას დავემორჩილო"*, - განაცხადა ეივერი ჯონსონმა.

*„მე დიდი ხელფასი მაქვს, კომისარმა დევიდ სტერნმა უდიდესი სამუშაო გასწია ლიგის პოპულარობის ასამაღლებლად, ასე რომ, მომიწევს მიკროფონის გაკეთება"*, - დიპლომატიურად აღნიშნავს „კლივლენდ კავალიერზის" დამრიგებელი **მაიკ ბრაუნი**. მაყურებელს ამ უკანასკნელის რეპლიკების მოსმენა 20 დეკემბერს, „ლოს ანჯელეს ლეიკერსთან" მატჩის დროს შეეძლება.

მწვრთნელებზე დამაგრებული მიკროფონები - ეს არ არის ერთადერთი სიახლე, რომელიც ტელემაყურებელს მატჩებთან მიახლოების უფრო მეტ საშუალებას მისცემს. გათვალისწინებულია აგრეთვე გასახდელებში ვიდეოკამერების დამონტაჟება, რაც თამაშის დროს და მის შემდეგ, შიდაგუნდური გარჩევების მოსმენის საშუალებას მოგვცემს;

მიკროფონები მოთამაშეებსაც ექნებათ. სხვათა შორის, ტელემაყურებელთან ურთიერთობის ბედნიერება უკვე ჰქონდათ დალასელ **ჯეისონ ტერისა** და დენვერელ **ედუარდო ნახერას**.

გათვალისწინებულია მატჩის დროს მწვრთნელებთან ინტერვიუები: სტუმართა დამრიგებლები ჟურნალისტთა შეკითხვებს პირველ და მეორე მეოთხედებს შორის შესვენებისას უპასუხებენ, მასპინძელთა მწვრთნელები - მესამე და მეოთხე მეოთხედებს შორის.

ქვემძიმე წონა

# კალძაგეს ჰოპკინსთან შეხვედრა სურს

ზესაშუალო წონაში მსოფლიოს აბსოლუტური (ოთხივე პრესტიჟული გაერთიანების) ჩემპიონი, უელსელი **ჯო კალძაგე** იმედოვნებს, რომ თავის მომდევნო ბრძოლას, საშუალო წონის ყოფილ აბსოლუტურ ჩემპიონთან, ამერიკელ **ბერნარდ ჰოპკინსთან** გამართავს.

ორივე მოკრივე გასულ უქმეებზე ამერიკელი **ფლოიდ მეივეზერისა** და ბრიტანელი **რიკი ჰატონის** ბრძოლას დაესწრო. კალძაგე თანამემამულეს ქომაგობდა, ჰოპკინსი კი საპრომოუტერო კომპანია "გოლდენ ბოი პრომოუშნის" თანამფლობელია და როგორც ბრძოლის თანაორგანიზატორი, ლას ვეგასში მისი ყოფნა სავალდებულოც კი იყო. პარალელურად, მისი ხალხი უელსელის ბანაკთან მოლაპარაკებასაც აწარმოებს.

ჰატონისა და მეივეზერის ბრძოლის შემდგომ პრესკონფერენციაზე, "გოლდენ ბოის" (შეგახსენებთ, რომ ეს კომპანია **ოსკარ დე ლა ჰოიას** ეკუთვნის და მის მეტსახელსაც ატარებს) მთავარმა აღმასრულებელმა **რიჩარდ შეფერმა** განაცხადა, რომ კალძაგეს ბანაკთან მოლაპარაკება უკვე მიმდინარეობს და მას კარგი პირი უჩანს.

*"მე მის პრომოუტერებს რამდენჯერმე შევხვდი და მინდა ვთქვა, რომ ორივე მხარე შეხვედრით დაინტერესებულია. ვიმედოვნებ, რომ წლის ბოლომდე შეთანხმებას მივაღწევთ. ორივე მოკრივე თანახმაა, შემოსავლის ნახევრისთვის იბრძოლოს. ალბათ, ამის საწინააღმდეგო არც ჯოს პრომოუტერს ექნება რაიმე".*

კალძაგეს საქმეებს ცნობილი პრომოუტერი **ფრენკ უორენი** განაგებს, ვინც ასევე დაინტერესებულია თავისი პროტეჟესა და ჰოპკინსის შეხვედრით.

ის იმედოვნებს, რომ ეს ბრძოლა მერმის, წლის დასაწყისში შედგება.

აღსანიშნავია, რომ კალძაგე და ჰოპკინსი ერთმანეთს პირისპირ პირველად ლას ვეგასში, მეივეზერ-ჰატონის ბრძოლისწინა პრესკონფერენციის წინ შეხვდნენ. შეხვედრას გუთბილად არ ჩაუვლია – მომავალმა მეტოქეებმა ერთმანეთი ბრძოლის ჩაშლის მცდელობაში დაადანაშაულეს.

შეგახსენებთ, რომ კალძაგემ თავის ბოლო ბრძოლაში, რომელიც კარდიფის (უელსი) "მილენიუმ სტედიუმზე" შედგა, დანიელი **მიკელ კესლერი** დაამარცხა და მას WBA-ისა და WBC-ს საჩემპიონო ქამრები დააყრევინა (მანამდე "მხოლოდ" WBO-ისა და IBF-ის სარტყლებს ფლობდა).

*"დარწმუნებული არ ვარ, რომ მას (ჰოპკინსს) ჩემთან შეხვედრა სურს. პროფესიულ რინგზე ორი ბრძოლის გამართვასღა ვაპირებ და მინდა, საუკეთესოთა შორის საუკეთესოებს შევხვდე. ამ ორ ბრძოლას კი ქვემძიმე წონაში გავმართავ. აქ რიკის საქომაგოდ ჩამოვედი. პარალელურად, ამერიკელებს დავენახე და მათ გასაგონად ვთქვი, რომ ბერნარდთან შეხვედრა მსურს",* - განაცხადა კალძაგემ.

ჰოპკინსსაც ბრძოლა სურს და მასაც საუკეთესოებთან შეხვედრა სწყურია. კაცი, ვინც საშუალო წონაში ათი წელი არავის უთმობდა ჩემპიონის წოდებას, აცხადებს, რომ კალძაგეს დიდი სიამოვნებით შეხვდება ღია არენაზე. სავარაუდოდ, მათი ბრძოლა ან ნიუ იორკის ბეისბოლის არენა "იანკი სტედიუმზე", ანაც კარდიფის "მილენიუმზე" შედგება. თუმცა, ბერნარდს ამ იდეას მეტოქე პრომოუტერი **ბობ არუმი** უწუნებს.

"ჰოპკინსი ამბობს, რომ ჯოსთან "იანკი სტედიუმზე" შეხვედრა სურს. ეს სისულელეა. ისინი ტრიბუნებს ვერ გაავსებენ. უმჯობესი იქნება, თუ ბრძოლას უელსში დანიშნავენ. იქ ტრიბუნების გავსება გარანტირებულია. შეხვედრის ადგილს კი რა მნიშვნელობა აქვს, რინგი ყველგან ერთნაირია. ბრძოლა იქ უნდა ჩაატარო, სადაც მეტ შემოსავალს მიიღებ. ასეთი ადგილი კი უელსია", - ამბობს არუმი.

აღსანიშნავია, რომ კალძაგეც ათი წელი ინარჩუნებდა თავის ტიტულებს, მაგრამ ყველა ბრძოლას შინ ატარებდა. ჰოპკინსი ამბობს, თუ ჯოს სახელის გათქმა სურს, მაშინ აქ უნდა ჩამოვიდეს, როგორც ეს მერ რამდენჯერმე გავაკეთეო - ჰოპკინსი იმ ორ ბრძოლას გულისხმობს, რომლებიც აშშ-ის გარეთ გამართა. ამ ორიდან კი ერთი საჩემპიონო იყო. ის ბრძოლა 1994 წელს, IBF-ის ვაკანტური ტიტულისთვის, ეკვადორის დედაქალაქ კიტოში გაიმართა და მასში ეკვადორელ **სეგუნდო მერკადოს** მოუგო.

*"მოკრივე სახელგანთქმული მხოლოდ მას შემდეგ ხდება, რაც ისეთ რამეს მოიმოქმედებს, რაც ჰოპკინსმა გააკეთა. მე მაშინ ზღვის დონიდან დიდ სიმაღლეზე ვიბრძოლე და ყველას დავუმტკიცე, რომ საუკეთესო ვიყავი. მაინტერესებს, აპირებს ოდესმე ჯო თავისი სახლის გარეთ ბრძოლას? მე მთელს მსოფლიოში მიცნობენ, მას კი – არა. და ეს იმიტომ, რომ მხოლოდ შინ იბრძვის. წაიყვანეთ ეს კაცი ბროდვეიზე და ნაძლევს ჩამოვდივარ, რომ სანამ დაბრუნდება, ათი კაციც კი ვერ იცნობს. მე კი ნიუ იორკის ქუჩაში რომ გავიარო, ნახევარი ქალაქი ამედევნება",* - ამბობს ჰოპკინსი.



ფორმულა 1

# ალონსო ისევ რენოშია

ფორმულა ერთის ფრანგულ გუნდ "რენოში" მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, ესპანელი **ფერნანდო ალონსოს** დაბრუნებას ბევრი ელოდა. ეს მოლოდინი მით უფრო ძლიერი იყო, რომ ესპანელ პილოტს წასასვლელი აღარსად ჰქონდა – ყველა ძლიერ გუნდს ვაკანსიები შევსებული აქვს.

მოლოდინი მას შემდეგ გაორმაგდა, რაც საერთაშორისო საავტომობილო ფედერაციის (ფია) მსოფლიო მოტორ სპორტის საბჭომ, ფორმულა ერთის ფრანგული გუნდი "რენო", მეტოქე "მაკლარენის" ტექნიკური ინფორმაციის არალეგალურად ფლობის მიუხედავად, სანქციისთვის არ გაიმეტა. ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნებისთანავე შეიძლებოდა იმის თქმა, რომ "უძღები შვილი" ალონსო იმ გუნდს დაუბრუნდებოდა, რომელთან ერთადაც, ზედიზედ ორჯერ, 2005 და 2006 წლებში გახდა მსოფლიოს ჩემპიონი.

*"გადაწყვეტილება არც ისე იოლი მისაღები იყო, როგორც შეიძლება ეს ერთი შეხედვით ჩანდეს. "რენოზე" ჩემი არჩევანი, ამ გუნდის უკლებლივ ყველა წევრის უსაზღვრო მოტივაციამ, გუნდის შემართებამ და გამოცდილებამ განაპირობა. იმავდროულად, მინდა, მადლობა გადავუხადო ყველა იმ გუნდს, რომლებმაც ადგილი შემომთავაზეს",* - განაცხადა ალონსომ, ვინც "რენოდან" მაკლარენში შარშანდელი სეზონის ბოლოს, მას შემდეგ გადაინაცვლა, რაც ზედიზედ მეორედ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი.

თუ "რენოში" ალონსოს დაბრუნება მოსალოდნელი იყო, ბევრი ელოდა, რომ ფრანგულ გუნდში მეორე მონოპოსტს ფინელი **ჰეიკი კოვალაინენი** შეინარჩუნებდა, ვინც გასულ სეზონში არცთუ ურიგოდ იასპარეზა და მასზე გაცილებით გამოცდილი თანაგუნდელი, იტალიელი **ჯანკარლო ფიზიკელა** დაჩრდილა.

"რენოს" იტალიელმა შეფმა **ფლავიო ბრიატორემ** ფიზიკელას ჯერ კიდევ სეზონის ბოლოს განუცხადა, რომ კონტრაქტს აღარ გაუგრძელებდა. მაშინვე სავარაუდო იყო, რომ იტალიელს ალონსო შეცვლიდა. კოვალაინენის გაშვება კი მოსალოდნელი არ იყო.

ასეა თუ ისე, ფინელი პილოტის ადგილს მომავალ სეზონში ბრაზილიელი **ნელსინიუ პიკე** დაიკავებს. მსოფლიოს სამგზის ჩემპიონ **ნელსონ პიკეს** შვილმა გასული სეზონი "რენოს" ტესტ და სათადარიგო პილოტად "იმუშავა", უფრო ადრე კი გრანპრი ორის სერიაში მეორე ადგილი დაიკავა. მაშინ მას მხოლოდ ბრიტანელმა **ლუის ჰემილტონმა** აჯობა, ვისაც გასულ სეზონში, ფორმულა ერთში ბრწყინვალე დებიუტი ჰქონდა. მერმის "რენოს" მესამე, სათადარიგო პილოტი იქნება ფრანგი **რომენ გროჟანი**, ვინც შარშან ფორმულა სამის ევროსერიის ჩემპიონი გახდა.

შეგახსენებთ, რომ ალონსომ "მაკლარენი" მას შემდეგ დატოვა, რაც ამ გუნდის ხელმძღვანელობას, კერძოდ კი, გუნდის შეფ **რონ დენისს** ვერ შეეწყო. თუმცა, განხეთქილების მიუხედავად, "მაკლარენი" ჩემპიონს მაინც ბოლომდე პირნათლად ემსახურა და ალონსოს მეტი იღბალი რომ ჰქონოდა, ჩემპიონი ზედიზედ მესამედ გახდებოდა. საბოლოოდ, მან და ჰემილტონმა "ფერარის" ფინელ პილოტ **კიმი რაიკონენთან** მხოლოდ ქულა წააგეს.

*"მოხარული ვარ, რომ ამ შესანიშნავ გუნდთან მუშაობის საშუალება კიდევ ერთხელ მომეცემა. ვიმედოვნებ, რომ ერთად დავუბრუნდებით მოწინავეთა რიგებს. ეს ის გუნდია, რომელშიც მე ტოპ პილოტად ჩამოვყალიბდი. ახლა კი ჩვენი ურთიერთობის სრულიად ახალი ეტაპი იწყება. გუნდს გასულ სეზონში კრიზისი ჰქონდა, მაგრამ მჯერა, რომ მათ სწრაფი, საიმედო ტექნიკის მომზადება შეუძლიათ",* - განაცხადა ალონსომ, ვინც ფრანგულ გუნდში პირველი პილოტის სტატუსით ისარგებლებს, რასაც ვერაფრით მიაღწია "მაკლარენში".

რაც შეეხება პიკეს, მას ბრიატორე შემდეგნაირად ახასიათებს: *"ნელსინიუ თანამედროვე მოტორსპორტში ერთ-ერთი ყველაზე პერსპექტიული ახალგაზრდა პილოტია. გრანპრი ორში წარმატებული სეზონის შემდეგ, როგორც ტესტ პილოტმა, ერთი სეზონი ჩვენთან გაატარა და გუნდს სრულად შეეწყო. ახლა კი მის კარიერაში ახალ ეტაპზე გასვლის ჯერი დადგა".*

ამგვარად, ძლიერ გუნდებში ერთადერთი ვაკანსიაღა რჩება – შევასებია ალონსოს მიერ "მაკლარენიდან" წამოსვლის შემდეგ, ამ გუნდში გათავისუფლებული ადგილი. რაც "რენომ" ახალი შემადგენლობა გამოაცხადა, ბევრი ვარაუდობს, რომ "მაკლარენში" კოვალაინენი გადავა. თუმცა, გამორიცხული არც ისაა, რომ ალონსოს ადგილზე დენისმა თავისი გუნდის ტესტპილოტი, ესპანელი **პედრო დე ლა როსა** მიიწვიოს.

რაც შეეხება ფიზიკელას. იტალიელმა პილოტმა ცოტა ხნის წინ, "ფორს ინდიას" ბოლიდი გამოსცადა და არაა გამორიცხული, რომ მისი პილოტი გახდეს.

დაბოლოს, "რენომ" გამოაცხადა, რომ თავისი ახალი ბოლიდის, R28-ს ოფიციალურ პრეზენტაციას 31 იანვარს პარიზში ჩაატარებს.



ალონსო "რენოში" დაბრუნდა



## 12 დეკემბერი. ოთხშაბათი

### რუსთავი 2

23:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. რეინჯერსი-ლიონი (LIVE).
02:20 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტურის მიმოხილვა.
03:20 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ეინდჰოვენი-ინტერი.

### НТВ-პლუსი (ფეხბურთი)

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. რეალი-ლაციო.
15:15 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:15 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
17:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:30 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. მარსელი-ლივერპული.
19:25 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ოლიმპიაკოსი-ვერდერი.
21:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
21:40 მსოფლიო ჩემპიონატი კლუბებს შორის. 1/2 ფინალი.
23:25 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ON-LINE. ყველა მატჩის საუკეთესო მომენტები (LIVE).
01:45 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. რომა-მანჩესტერი.

### SPORT 1 (უკრაინა)

07:55 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ჰანოვერი-ვერდერი.
09:40 მინი-მოედანი.
09:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ტორინო.
11:40 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:30 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ბაფალო-ბოსტონი.
14:20 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
14:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. მარსელი-ლივერპული.
16:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. რეალი-ლაციო.
18:30 ოლიმპიზმი. პეკინი 2008.
19:00 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.
20:40 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:40 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. რედინგი-ლივერპული.
23:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ეინდჰოვენი-ინტერი (LIVE).
01:35 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. რომა-მანჩესტერი.
03:30 სპორტდოსიე. ხელბურთი.
03:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-ტორინო.
05:55 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
06:45 ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი.

### EUROSPORT

11:30 ექსტრემალური სპორტი.
12:00 მულტისპორტი.
12:30 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. სეზონის მიმოხილვა.
13:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS131. ტრონდჰეიმი. ნორვეგია.
14:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ესტაფეტა. ჰოჰფილცენი. ავსტრია.
15:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. ესტაფეტა. ჰოჰფილცენი. ავსტრია.
16:30 სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. IV დღე. ტელფორდი.
17:30 სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. V დღე. ტელფორდი (LIVE).
21:00 ევროგოლი - ყოველკვირეული საფეხბურთო მიმოხილვა.
21:15 მულტისპორტი.
21:20 ცხენოსნობა. მსოფლიო თასი. ჟენევა. შვეიცარია.
22:20 ცხენოსნობა. ახალი ამბები.
22:25 მულტისპორტი.
22:30 გოლფ-კლუბი.
22:35 აფროსნობა.
23:05 აფროსნობა. იახტ-კლუბი.
23:10 მულტისპორტი.
23:15 სნუკერი. ბრიტანეთის ჩემპიონატი. V დღე. ტელფორდი (LIVE).
02:00 ბრძოლა წესების გარეშე.

### EUROSPORT-2

10:30 ახალი ამბები.
13:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. რეგულარული სეზონი. VI ტური. ბეშიქთაში (თურქეთი)-ვენტსპილსი (ლატვია).
14:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. რეგულარული სეზონი. VI ტური. ბოლონია (იტალია)-დინამო (რუსეთი).
15:00 ახალი ამბები.
17:00 ექსტრემალური სპორტი.
18:00 ავტოსპორტი. მსოფლიო ჩემპიონატი ტურიზმის კლასში. სეზონის მიმოხილვა.
19:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. რეგულარული სეზონი. VI ტური. ბეშიქთაში (თურქეთი)-ვენტსპილსი (ლატვია).
20:00 კალათბურთი. ULEB-ის თასი. რეგულარული სეზონი. VI ტური. ბოლონია (იტალია)-დინამო (რუსეთი).
21:00 ახალი ამბები.
21:30 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ციურიხი (შვეიცარია)-ანკარა (თურქეთი) (LIVE).
23:30 ფრენბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ქალები. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ნოლიკო (ბელგია)-დინამო (რუსეთი) (LIVE).
01:15 რესტლინგი.
02:30 მულტისპორტი.
03:00 ექსტრემალური სპორტი.
03:30 ახალი ამბები.

## ცხელი ხაზი

### ფეხბურთი

| | |
|---|---|
| **ინგლისი** | |
| **ჩემპიონატი** | |
| ბლეკპული-კარდიფი | 0:1 |
| ბარნსლი-ქუინზ პარკი | 0:2 |
| იფსვიჩი-ლესტერი | 3:1 |
| **ინგლისის თასი** | |
| ბარნეტი-ბარტონი | 1:0 |
| ჩეისთაუნი-პორტ ვეილი | 1:0 |
| ლუტონი-ნოტინგემი | 1:0 |
| საუთენდი-ოქსფორდი | 3:0 |
| უოლსოლი-ნორთჰემპტონი | 1:0 |
| **იტალიის თასი** | |
| ასკოლი-ფიორენტინა | 1:1 |
| **გერმანია** | |
| **რეგიონალლიგა (ჩრ)** | |
| დორტმუნდი A-ბაბელსბერგი | 1:0 |
| **შოტლანდია** | |
| სელტიკი-ფალკირკი | 4:0 |
| **პოლონეთი** | |
| **ლიგის თასი** | |
| სოსნოვეცი-ბელხატოვი | 3:0 |

### კალათბურთი

| | |
|---|---|
| **ULEB-ის თასი** | |
| აზოვმაში-ანვილი | 89:83 |
| ლუკოილი-ასკ რიგა | 93:77 |
| ტრიუმფი-ბუდუჩნოსტი | 75:65 |
| ტურკ ტელეკომი-შიაულაი | ო.ტ. 102:99 |
| ბეშიქთაში-ვენტსპილსი | ო.ტ. 84:77 |
| ცრ. ზვეზდა-ნიმბურკი | 74:96 |
| პანიონიოსი-კალევი | 90:66 |
| კიევი-ბენეტონი | 73:89 |
| ზადარი-უნიქსი | 76:64 |
| მრს-ასესოფტი | 81:95 |
| ალბა-ხუვენტუდი | 65:80 |
| გმუნდენი-ჰაპოელი (გ) | 90:83 |
| ნანსი-ხიმკი | 77:80 |
| სკაილაინერსი-ვალენსია | 68:76 |
| ეიფელ ტაუერსი-ტუროვი | 70:77 |
| შარლერუა-ჰემოფარმი | 64:78 |
| ანტვერპენი-ფრიბურგი | 58:50 |
| ვილერბანი-ლუდვიგსბურგი | 81:74 |
| გილდფორდი-ბოსნა | 85:98 |
| კლიმამიო-დინამო (მ) | 81:62 |
| ოსტენდე-პანელინიოსი | 83:71 |
| პო ორტეზი-არტლანდი | 61:79 |
| სტრასბური-ჰაპოელი (თ) | 81:72 |
| შალონი-კიოლნი | 81:87 |
| ხირონა-გალათასარაი | 89:78 |
| გრან კანარია-შლიონსკი | 82:71 |
| ოვარენსე-ჟელეზნიკი | 70:80 |

### ხელბურთი

| | |
|---|---|
| **მს. ჩემპიონატი** | |
| **ქალები** | |
| რუსეთი-ანგოლა | 40:27 |
| ს. კორეა-უნგრეთი | 31:26 |
| რუმინეთი-გერმანია | 32:24 |
| საფრანგეთი-ნორვეგია | 26:24 |
| ესპანეთი-პოლონეთი | 29:30 |
| ხორვატია-მაკედონია | 29:29 |




## ვარსკვლავური ახირებები

# სექსი სუფთა ფეხებით

ფორმულა 1-ის წლევანდელი სეზონის მთავარი სენსაცია, „მაკლარენის“ პილოტი **ლუის ჰემილტონი** სილამაზის დედოფალს, 20 წლის თურქ **ქიმრი მირელს** დაცილდა. თავისთავად, ეს სიახლე შესაძლოა შეუმჩნეველი დარჩენილიყო, რომ არა მირელის მიერ ტაბლოიდ „სანისთვის“ მიცემული გულახდილი ინტერვიუ.

კერძოდ, თურქმა გოგონამ გაზეთს უამბო, რომ ლონდონის ღამის კლუბში ლუისთან პირველი შეხვედრის დროს, ავტომრბოლი მას ტრანსნაციონალური კურიერული კომპანია DHL-ის მძღოლად გაეცნო. თუმცა ჰემილტონმა დიდი ხანი ვერ დამალა თავისი ვინაობა და ბოლოს და ბოლოს გამოუტყდა მირელს, თუ ვინ იყო სინამდვილეში და რას საქმიანობდა.

ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ქიმრი ლუისს სახლში გაყვა, იქ კი გაირკვა, რომ ჰემილტონს ჰიგიენასთან, კერძოდ კი, ფეხებთან დაკავშირებით საკუთარი განსაკუთრებული მოსაზრებები ჰქონია. *„მას „ჭუჭყიანი ფეხების“ ფობია აწუხებს. სანამ საწოლში დავწვებოდით, ლუისმა მაიძულა სპეციალურად გამეკეთებინა პედიკიური. გარდა ამისა, სექსის ყოველი სეანსის შემდეგ, ის გულდაგულ აკვირდებოდა, თუ როგორ ვიბანდი ფეხებს“*, - მოჰყავს მირელის სიტყვები გაზეთ „სანს“.

ქიმრისთან დაშორების შემდეგ, ჰემილტონი ცნობილ სუპერმოდელს **ნაომი კემპბელს** ხვდება. საინტერესოა, რა რეაქცია ექნება იმპულსურ და ემოციურ ლამაზმანს ახალგაზრდა ბრიტანელის პილოტის ახირებულ მოთხოვნებზე.

# კიმის ალერგია

ყოფილი მის სკანდინავია **ჯენი დალმანი**, რომელიც 2004 წლიდან ფორმულა 1-ის ამჟამინდელი მსოფლიო ჩემპიონის, **კიმი რაიკონენის** მეუღლე გახლავთ, საცხენოსნო სპორტში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული ტურნირის, Muchen-Indoor-ის 165 მონაწილეთა შორის ირიცხება. ეს ტურნირი მიუნხენის Olympiahalle-ში უნდა გაიმართოს.

სავარაუდოდ, ამ ღონისძიებას დაესწრება თავად „ფერარის“ პილოტიც, თუმცა ცნობილია, რომ კიმის ცხენების მიმართ ალერგია აქვს. სხვათა შორის, ჯენის ოთხი ცხენი ჰყავს და აქედან სამი, მას პირადად მეუღლემ უყიდა. ცხენები გერმანიის ქალაქ რიზენბეკეს საჯინიბოში არიან დაბანაკებულნი.

*„რა თქმა უნდა, მე ყველაფერში გვერდით ვუდგავარ ჩემს მეუღლეს. უნდა ნახოთ, რა გატაცებით მისდევს ჯენი ცხენოსნობას. მას ამ სპორტისადმი ისეთივე მიდრეკილება აქვს, როგორიც მე ავტოსპორტისადმი, თუმცა ჩემს განკარგულებაში უფრო მეტი ცხენის ძალაა,* - ხუმრობს რაიკონენი. - *ჯენისთან ერთად ცხენებით გასეირნება ვცადე, მაგრამ ამ ცხოველზე ისეთი ძლიერი ალერგია მაქვს, რომ არ შემიძლია მეუღლის ეს გატაცება გავიზიარო“.*

UEFA CHAMPIONS LEAGUE

# ფეხბურთი

## ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. VI ტური

### A ჯგუფი

**მარსელი-ლივერპული 0:4**

**მარსელი:** მანდანდა, ტაივო, როდრიგესი, ჟივე (46. ფატი), ბონარი, კანა, შეირუ (34. ნასრი), ზიანი, ვალბუენა, ზენდენი (46. ჯ. სისე), ნიანგი.

**ლივერპული:** რეინა, არბელოა, კარაგერი, ჰიიპია, რიისე, ბენაიუნი, ჯერარდი, მასკერანო, კიუელი (67. ფაბიო აურელიო), კუიტი (86. ლეივა), ფერნანდო ტორესი (77. ბაბელი).

**გოლები:** 0:1 ჯერარდი (4), 0:2 ფერნანდო ტორესი (11), 0:3 კუიტი (48), 0:4 ბაბელი (90)

*მე-4 წუთზე ჯერარდმა ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**მაყურებელი:** 60 000

**არბიტრი:** ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** ლივერპული
**პირველი ჯარიმა:** ლივერპული
**პირველი კუთხური:** ლივერპული
**პირველი გაფრთხილება:** ლივერპული

| | | |
|---|---|---|
| 10 (1) | **დარტყმა** | 15 (6) |
| 1 | **გაფრთხილება** | 2 |
| 11 | **ჯარიმა** | 19 |
| 6 | **კუთხური** | 2 |
| 64% | **ბურთის ფლობა** | 36% |

**პორტუ-ბეშიქთაში 2:0**

**პორტუ:** ელტონი, ბოსინგვა, პედრო ემანუელი, ბრუნო ალვეში, ფუჩილე (75. მ. ჩეხი), პაულო ასუნსაო, მეირელეში, ლუჩო გონსალესი (81. ბოლატი), სექთიუი (74. პოშტიგა), კვარეშმა, ლისანდრო ლოპესი.

**ბეშიქთაში:** რუშთუ, ალი თანდოგანი, ბაქი (46. აქინი), იბრაჰიმ თორამანი, იბრაჰიმ უზულმეზი, ოზქანი, ე. სისე, ბურაქ ილმაზი, ტელო (84. ფ. იგუაინი), დელგადო, ბობო.

**გოლები:** 1:0 ლუჩო გონსალესი (44), 2:0 კვარეშმა (62)

**მაყურებელი:** 45 000

**არბიტრი:** პეტერ ფროიდფელდტი (შვედეთი)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** პორტუ
**პირველი ჯარიმა:** ბეშიქთაში
**პირველი კუთხური:** ბეშიქთაში
**პირველი გაფრთხილება:** პორტუ

| | | |
|---|---|---|
| 14 (8) | **დარტყმა** | 11 (2) |
| 1 | **გაფრთხილება** | 3 |
| 14 | **ჯარიმა** | 14 |
| 6 | **კუთხური** | 7 |
| 53% | **ბურთის ფლობა** | 47% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პორტუ | 6 | 3 | 2 | 1 | 8-7 | 11 |
| 2. ლივერპული | 6 | 3 | 1 | 2 | 18-5 | 10 |
| 3. მარსელი | 6 | 2 | 1 | 3 | 6-9 | 7 |
| 4. ბეშიქთაში | 6 | 2 | 0 | 4 | 4-15 | 6 |

### B ჯგუფი

**ჩელსი-ვალენსია 0:0**

**ჩელსი:** პ. ჩეხი, პაულო ფერეირა (72. ბელეტი), ტერი, ბენ ჰაიმი, ბრიჯი, რაიტ-ფილიპსი, ესიენი, ლემპარდი (62. ჯ. კოული), კალუ, პისარო, შევჩენკო (46. მაკელელე).

**ვალენსია:** კანისარესი, მიგელი (65. ფერნანდესი), ალბიოლი, ივან ელგერა, მორეტი, სუნი, მარჩენა, ვილია (50. არისმენდი), მორიენტესი, ვისენტე (75. მატა გარსია).

**მაყურებელი:** 42 166

**არბიტრი:** გჟეგოჟ გილევსკი (პოლონეთი)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** ჩელსი
**პირველი ჯარიმა:** ჩელსი
**პირველი კუთხური:** ჩელსი
**პირველი გაფრთხილება:** ვალენსია

| | | |
|---|---|---|
| 18 (10) | **დარტყმა** | 5 (2) |
| 0 | **გაფრთხილება** | 1 |
| 6 | **ჯარიმა** | 9 |
| 7 | **კუთხური** | 2 |
| 58% | **ბურთის ფლობა** | 42% |

**შალკე-რუსენბორგი 3:1**

**შალკე:** ნოიერი, რაფინია, ბორდონი, როდრიგესი, ვესტერმანი, გროსმიულერი, ერნსტი, ბაირამოვიჩი, იოზილი (86. კობიაშვილი), ასამოა (90. ჰიოვედესი), კურანი (88. ალთინთოფი).

**რუსენბორგი:** ჰირშფელდი, სტოორი, კვარმე, რიზეტი, ბასმა, საპარა, ტეტეი, სკილბრედი, სტრანდი (61. ტრაორე), ივერსენი, კონე (77. კონანი).

**გოლები:** 51 270

**მაყურებელი:** 1:0 ასამოა (12), 2:0 რაფინია (19), 2:1 კონე (23), 3:1 კურანი (36)

**არბიტრი:** მაიკლ რაილი (ინგლისი)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** შალკე
**პირველი ჯარიმა:** რუსენბორგი
**პირველი კუთხური:** შალკე
**პირველი გაფრთხილება:** შალკე

| | | |
|---|---|---|
| 23 (8) | **დარტყმა** | 11 (4) |
| 2 | **გაფრთხილება** | 1 |
| 16 | **ჯარიმა** | 20 |
| 2 | **კუთხური** | 0 |
| 51% | **ბურთის ფლობა** | 49% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ჩელსი | 6 | 3 | 3 | 0 | 9-2 | 12 |
| 2. შალკე | 6 | 2 | 2 | 2 | 5-4 | 8 |
| 3. რუსენბორგი | 6 | 2 | 1 | 3 | 6-10 | 7 |
| 4. ვალენსია | 6 | 1 | 2 | 3 | 2-6 | 5 |

### C ჯგუფი

**რეალი-ლაციო 3:1**

**რეალი:** კასილიასი, სერხიო რამოსი, კანავარო, პეპე, მარსელო, სნეიდერი (46. რობენი), დიარა, ჟულიო ბაპტიშტა, რობინიო (46. გუტი), რაული, ვან ნისტელროი (73. ა. იგუაინი).

**ლაციო:** ბალოტა, სკალონი, სივილია, კრიბარი, ძაური, მუდინგაი, კრისტიან რ. ლედესმა (46. ბარონიო), მუტარელი, მეგნი (63. მანფრედინი), პანდევი (81. მაკინვა), როკი.

**გოლები:** 1:0 ჟულიო ბაპტიშტა (13), 2:0 რაული (15), 3:0 რობინიო (36), 3:1 პანდევი (80)

*90-ე წუთზე როკიმ ვერ გაიტანა პენალტი (მეკარე)*

**მაყურებელი:** 70 000

**არბიტრი:** მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** რეალი
**პირველი ჯარიმა:** ლაციო
**პირველი კუთხური:** რეალი
**პირველი გაფრთხილება:** –

| | | |
|---|---|---|
| 18 (6) | **დარტყმა** | 11 (8) |
| 0 | **გაფრთხილება** | 0 |
| 15 | **ჯარიმა** | 18 |
| 9 | **კუთხური** | 3 |
| 57% | **ბურთის ფლობა** | 43% |

**ოლიმპიაკოსი-ვერდერი 3:0**

**ოლიმპიაკოსი:** ნიკოპოლიდისი, პანტოსი, ანცასი, ჟევლაკოვი, ტოროსიდისი, პაცაცოლლუ (24. მენდრინოსი), კრისტიან მ. ლედესმა, სტოლტიდისი, გალეტი (85. ნუნიესი), კოვაჩევიჩი (82. მიტროღლუ), ლუა ლუა.

**ვერდერი:** ვიზე, ფრიტცი, ბაუმანი (82. ტოშიჩი), ნალდო, პასანენი, იენსენი, ვრანიეში (58. ჰანტი), ბოროვსკი, დიეგო, სანოგო (67. უგო ალმეიდა), როზენბერგი.

**გოლები:** 33 000

**მაყურებელი:** 1:0 სტოლტიდისი (12), 2:0 კოვაჩევიჩი (70), 3:0 სტოლტიდისი (74)

**არბიტრი:** ლორან დუამელი (საფრანგეთი)

სტატისტიკა

**მატჩი დაიწყო:** ოლიმპიაკოსი
**პირველი ჯარიმა:** ვერდერი
**პირველი კუთხური:** ვერდერი
**პირველი გაფრთხილება:** ვერდერი

| | | |
|---|---|---|
| 8 (5) | **დარტყმა** | 17 (7) |
| 2 | **გაფრთხილება** | 2 |
| 17 | **ჯარიმა** | 16 |
| 3 | **კუთხური** | 8 |
| 42% | **ბურთის ფლობა** | 58% |

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. რეალი | 6 | 3 | 2 | 1 | 13-9 | 11 |
| 2. ოლიმპიაკოსი | 6 | 3 | 2 | 1 | 11-7 | 11 |
| 3. ვერდერი | 6 | 2 | 0 | 4 | 8-13 | 6 |
| 4. ლაციო | 6 | 1 | 2 | 3 | 8-11 | 5 |



შალკე-რუსენბორგი. ბასმა კურანის შეჩერებას ცდილობს


ლელო
სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

დირექტორი
პაატა გელაშვილი

რედაქტორები
მამუკა ჩიხლაძე
გია თვალაბეიშვილი

ქართული სპორტი
ნიკოლოზ ნეფარიძე
პაატა თოთაძე
მერაბ მამულაშვილი
დავით ცაგაძე
ლევან ჯანეზაშვილი
გია ტუხაშვილი
ირაკლი თავაძე
ვაჟა სიმონიშვილი
ზვიად შათირიშვილი
კობა ხატისაშვილი
ბესიკ ჯანგავაძე

უცხოური სპორტი
შალვა ბიბილაშვილი
გოტფრიდ ლენცი
ილია ნიკოლაიშვილი
მერაბ ლორთქიფანიძე
დავით ჩუბინიძე
ზურაბ თალაკვაძე

რეგიონული კორესპონდენტები:
დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ქანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაყელიშვილი

ფოტო
ალექსანდრე კოტორაშვილი
ნუგზარ სუარიძე

ტექნიკური რედაქტორი
მიხეილ ჯაში

ტექნიკური ჯგუფი:
მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი

კორექტურა
ლელა ხომასურიძე
ლევან ბიბილაშვილი

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
დავით მაისურაძე (დირექტორის მოადგილე), გივი ვეშაპიძე, ქეთევან დიდბერიძე

მარკეტინგის სამსახური
თამარ ჯიშკარიანი (ტ: 46 34 48)
ბაქარ გაჩეჩილაძე (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

სპორტი

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 64-76)
ერემო მახათაძე (1952-53)
ირაკლი უგულავა (1953-64)
ანზორ ბასილაია (1976-83)
არჩილ გოგელია (1984-85)
თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან)

დამფუძნებლები: შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია

პარტნიორი: საქართველოს ოლიმპიური ფონდი



მისამართები
მ. კოსტავას 14,
0108 თბილისი
ტელეფონი: 99 56 14, 46 30 98, 46 30 56, 46 32 62, 98 23 94, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი).
ახმეტელის 10ა,
0159 თბილისი
(დილომი, ახ. კინოსტუდია, პირველი სართული);
ფაქსი: +995 32 46 30 97
e-mail: sporti@sporti.ge; gazeti_lelo@mail.ru



ინდექსი 66435 INDEX

გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა


ეროვნული ბიბლიოთეკა